N 6 2023

მასწავლებელი

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს: „დილემებით სწავლება“

მასწავლებელი

№6(97), 2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაკლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, ქრისტინა სურგულაძე, ქეთევან კობალაძე, მაია მენაბდე, ლელა კოტორაშვილი, ანა ღვინიანიძე, მარიამ გოდუაძე, თინათინ ზარდიაშვილი, მარიამ ჯამდელიანი, ქეთევან ოსიაშვილი, ნაირა ცხვედიანი, ირმა ტაველიძე, ნინო ლომიძე, სოფიო კუბლაშვილი, შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან



ნატო ინგოროყვა

ვაღიარებთ, რომ განათლებაში ტექნოლოგიები და ინოვაციები ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ სასწავლო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანი გახადეს. თუმცა, ამ ინსტრუმენტებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გაცილებით მეტი ფუნქცია და დატვირთვა აქვთ, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგენთ.

უკვე ხშირად და ღიად ვსაუბრობთ იმაზე, ჩაანაცვლებს თუ არა მასწავლებელს ხელოვნური ინტელექტი გაკვეთილზე და ამ საუბარში შიშიც იგრძნობა.

შიში შესაძლოა, უსაფუძვლო არ გახლავთ, მაგრამ იმისათვის, რომ გავიაზროთ ხელოვნურ ინტელექტსა და განათლებას შორის არსებული კავშირები, კარგად უნდა ვიცოდეთ მისი შესაძლებლობები, სიკეთეები და საფრთხეები.

ხელოვნური ინტელექტის მკვლევრები გამოთქვამენ იმედს, რომ ხელოვნური ინტელექტი დაზოგავს მასწავლებლის დროს. არის ვარაუდიც, რომ ხელოვნური ინტელექტი, რაღაც მომენტში, მასწავლებლის უსარგებლობას გამოიწვევს ან მისი ფუნქცია ტექნოლოგიების მართვა იქნება და დაევალება მხოლოდ მოსწავლის ყოფაქცევის კონტროლი, ან მოწყობილობის ტექნიკური მართვა.

განათლების მკვლევრები და ექსპერტები მსჯელობენ იმაზეც, რა უნდა იცოდნენ მასწავლებლებმა ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რათა მომზადებულები შეხვდნენ ახალ გამოწვევებს.

ჯერჯერობით ხელოვნური ინტელექტი დამხმარე ინსტრუმენტია სწავლებისთვის და არა მთავარი მოთამაშე. ამიტომ აუცილებელია, გადამოწმდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც მისგან მივიღებთ. ყველაფერი, რასაც ჩატბოტები ამბობენ, ხელოვნური ინტელექტის პროდუქტია და არა ადამიანის ნაზრევი.

თუკი ChatGPT-ს მასწავლებლის პროფესიაზე დაუსვამთ შეკითხვებს, არ დაიზარებთ და ამ შეკითხვებს დროის სხვადასხვა ინტერვალში გადაამოწმებთ, ნახავთ, რომ ის მასწავლებელს სხვადასხვა დანიშნულებას უძებნის. აქ ნამდვილად არ ცდება. ჩვენი პროფესია მართლაც ასეთი უნდა იყოს, დროის თანამედროვე.

„მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია ვიყო დამხმარე ინსტრუმენტი მასწავლებლებისა და პროფესორებისთვის, აუცილებელია ჩემი გამოყენება გააზრებულად და პასუხისმგებლობით, ტრადიციული სწავლების მეთოდებსა და კრიტიკული აზროვნების პრაქტიკასთან ერთად“ – ესეც ChatGPT -ის პასუხია.

„შესაძლებელია თუ არა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს მოსწავლის არსებულ ცოდნას და ათვისების უნარს, ხარვეზებს მის წინარე ცოდნაში და შექმნის მასზე მორგებულ საუკეთესო სწავლების მოდელს და კურიკულუმს? შეძლებს თუ არა ასეთი სისტემა, მხედველობაში მიიღოს მოსწავლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განწყობა, ინტერესები და კვალიფიციურ მასწავლებელზე უკეთ ასწავლოს? ამ ტიპის „ჭკვიანი მასწავლებლის სისტემის“ (Intelligent Tutoring System) შექმნაზე დღეს ბევრი კვლევითი ცენტრი და მაღალტექნოლოგიური კომპანია მუშაობს“ – ამბობს ალტე უნივერსიტეტის ციფრული ტრანსფორმაციის ცენტრის დირექტორი, პროექტის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ნანა დიხამინჯია სტატიაში – „როგორ გარდაქმნის განათლებას ხელოვნური ინტელექტი“.

ჯერჯერობით, რაზეც განათლებისა და ხელოვნური ინტელექტის მკვლევრები თანხმდებიან ისაა, რომ, ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, უფრო ბუნდოვანი გახდება ზღვარი ფორმალურ, სასკოლო განათლებასა და თვითმართვად, ინდივიდუალურ განათლებას შორის. აკრძალვებითა და წინააღმდეგობის გაწევით ამ პროცესს ვერ შევაჩერებთ, უმჯობესია, ვისწავლოთ და ვასწავლოთ.

მოსაზრება

მაია ჯალიაშვილი

4 | გაკვეთილის დასაწყისი და დასასრული

გაკვეთილის დასაწყისიც და დასასრულიც ერთგვარ ჩარჩოს ქმნის, რომელმაც შეიძლება, როგორც ნახატს, ისე შეუცვალოს ელფერი მთელ საგაკვეთილო პროცესს.

მაია ფირჩხაძე

7 | როგორ გამოვიყენოთ მრავალდონიანი დავალებები ისტორიის სწავლებაში

მრავალდონიანი ამოცანების ეფექტური განხორციელებითა და შეფასებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან დინამიკური და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც აკმაყოფილებს მათი მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებს, ხელს უწყობს აკადემიური შედეგების გაზრდას და „წარმატების სიტუაციის“ შექმნას გაკვეთილზე.

მაია მენაბდე

18 | „ულმობელი საქმის კაცი“ და თანამედროვე მოზარდები

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით – მოზარდების სამყაროში, თითქოს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა განათლების უალტერნატივობა. რა საჭიროა განათლება, წიგნებში გადაშვება, გამუდმებით მუშაობა საკუთარ თავზე, თუ დღეს უბრალო, ყოფით თემებზე ტიკტოკერობითაც შესაძლებელია, ფულიც იშოვო და ცნობილიც გახდე? – დაახლოებით ასეთ კითხვებს სვამენ ისინი.

ნაირა ცხვედიანი

49 | „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების გააზრებისთვის“

I ნაწილი

ეს წერილი პასუხია მოსწავლის კითხვაზე: „რატომ ვერ ისვენებს თინათინი, რატომ იწყებს უცხო მოყმის ძებნას, როცა მეფემაც და ავთანდილმაც ის უკვე დაივიწყეს?“

გამოცდილება

ქრისტინა სურგულაძე

12 | პოზიტიური შეფასებისას დაშვებული შეცდომა

პატარამ თითქმის არასდროს იცის და გამუდმებით ეძებს ხელჩასაჭიდს უფროსებისგან – სიტყვას, საქციელს, ქებას, ნიშნად იმისა, რომ ის, რაც გააკეთა, თუნდაც იოლად, კარგი და საკმარისია. თუ ვერ იპოვა, ნელ-ნელა „კარგი მოსწავლეც“ დაკარგავს მოტივაციას.

ლელა კოტორაშვილი

25 | გავაცოცხლოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისადმი ყველა საფეხურის მოსწავლეები ერთნაირად დიდ ინტერესს იჩენენ. სავარაუდოდ, ძიების პროცესი მოსწონთ. რაც ლექსიკონისადმი ბავშვების უჩვეულო ცნობისმოყვარეობა შევამჩნიე, მას შემდეგ უფრო აქტიურად ვიყენებ მას საგაკვეთილო პროცესში.

მარიამ გოდუაძე

35 | აუდიოაღწერა და მისი რამდენიმე მოდელი

აუდიოაღწერა, სხვაგვარად – ვიზუალური აღწერა, არის თხრობის ფორმა, რომელსაც მიმართავენ ვიზუალური ელემენტების გადმოსაცემად კინოში, თეატრში, სატელევიზიო გადაცემებში თუ ვებპორტალებზე უსინათლო ადამიანების ინფორმირების მიზნით.

თინათინ ზარდიაშვილი

38 | ტალღის შიგნით

ყველა მუსიკალური ბგერა ტალღაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ ტალღასთან დაკავშირებულ რესურსებს და შეგვეძლოს მათი გამოყენება ფიზიკის გაკვეთილზე, ინტეგრირებულ გაკვეთილზე, პროექტზე მუშაობისას.

მარიამ ჯამდელიანი

42 | როდესაც პერსონაჟი შენი უბნელია

მასწავლებლისთვის წიგნის ყველა პერსონაჟი შეიძლება შთაგონების წყაროდ იქცეს – წერა-კითხვის უნარის განვითარების მიზანს მოარგოს, მოსწავლეებს კი განსხვავებული დავალებები მისცეს.

ირმა ტაველიძე
27 კაფკა და მთავარი კითხვები

ნინო ლომიძე
28 ნოველა – ამოფრქვევა

სოფიო კუბლაშვილი
29 იცნობ ამ ხალხს?

შორენა ტყეშელაშვილი
30 უცნობი მასწავლებლის პორტრეტი

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან კობალაძე

15 | აღზრდა – თანამედროვე მიდგომები

მშობლებთან ურთიერთობა გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე. მისი სულიერი, ემოციური და ფიზიკური განვითარება სწორედ ამ ურთიერთობის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

ანა ღვინიანიძე

32 | „სად ხარ?“ – არარსებულის მონატრებაზე

უგულებელმყოფი აღზრდის შედეგი როგორც საკუთარი, ისე სხვების მოთხოვნილებებისადმი განურჩეველი, გამაუფასურებელი დამოკიდებულებაა, ზოგჯერ მტრულიც კი, რადგან ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავშივე არ აღიარებს ძირეული მოთხოვნილებების მნიშვნელობას.

ქეთევან ოსიაშვილი

46 | ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება – სიმპტომები, მიზეზები, დაძლევის გზები

დღეს სერიოზულ პრობლემად არის ქცეული ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება, რაც უამრავ თავსატეხს უჩენს მშობლებსაც და პედაგოგებსაც. სამწუხაროდ, ასეთი ბავშვების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

მაია ჯალიაშვილი

გაკვეთილის დასაწყისი და დასასრული

გაკვეთილსაც აქვს თავისი სტილი და რიტმი, ამიტომ მისი დინამიკისა და ექსპრესიისთვის მასწავლებელს გარკვეული ძალისხმევის გაღება სჭირდება. გაკვეთილს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან.

როგორც ნებისმიერი საქმისთვის, გაკვეთილისთვისაც მნიშვნელოვანია კარგი დასაწყისი და დასასრული, ერთგვარი პროლოგი და ეპილოგი. მასწავლებლის მიერ დაგეგმილმა და ღრმად გააზრებულმა დასაწყისმა, სასურველია, მოსწავლეებს გაუჩინოს ახლის გაგების, შემეცნების წყურვილი, მისცეს სტიმული, მოტივაცია, გაუღვივოს ცნობისმოყვარეობა, რათა დასასრულს ჰქონდეთ ერთგვარი კმაყოფილების განცდა და იმის შეგრძნება, რომ საგაკვეთილო დროს უქმად არ ჩაუვლია – კვალი დატოვა. ამისთვის კი წინასწარ მომზადებაა საჭირო, თუმცა ხშირად ისეც ხდება, რომ მოულოდნელ გარემოებათა გამო მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისის სცენარს ცვლის.

გაკვეთილი მით უფრო უკეთესი გამოვა, რაც უფრო შემოქმედებითად მიუდგება პედაგოგი განსახილველ თემას, საკითხს, პრობლემას. ხანდახან შეიძლება მოსწავლეებსაც დაეკითხოს, რით დაიწყონ: საშინაო დავალების გამოკითხვით თუ ახალი მასალის გაცნობითა და ახსნით. ეს საგაკვეთილო პროცესში მონაწილე ორივე მხარეს ყოველდღიურობის რუტინას შეუცვლის და ერთფეროვნების თანამდევ მოწყენილობას დააძლევინებს. როგორც ცნობილია, საქმის სულ ერთი და იმავე თანმიმდევრობით კეთება არა მხოლოდ გონებას ადუნებს, არამედ ხალისსაც უკარგავს ყოველგვარ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით, კარგი იქნებოდა, გაგვეხსენებინა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების დასაწყისს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა: „ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა. ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება. სტილისა და რიტმის შეცვლა ძნელიც არის და სახიფათოც, ამიტომ მე დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს. ნათქვამია, მოზვერს ერთბაშად სტაცე ხელი რქებშიო. მეც კარგა ხანს ვუტრიალებ მოზვერს და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ, უცბად დავწვდე რქებში და აღარ მოვადუნო.

დასასრული სიძნელის მხრივ დასაწყისს არ ჩამოუვარდება. ადვილი არ არის უკანასკნელი წერტილის დასმა. ეს ლურსმანი ყველაზე უფრო ღრმად უნდა იქნეს ჩარჭობილი. ავტორი ყველა მკითხველზე უფრო ულმობელი და ჟინიანი მკითხველია და ამიტომ ის თვითონვე უნდა იყოს დასასრულით კმაყოფილი“ („როგორ ვმუშაობ“).

გაკვეთილსაც აქვს თავისი სტილი და რიტმი, ამიტომ მისი დინამიკისა და ექსპრესიისთვის მასწავლებელს გარკვეული ძალისხმევის გაღება სჭირდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაკვეთილს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ქმნიან. პედაგოგის სადირიჟორო ჯოხს ისინი ისე თავისუფლად უნდა აჰყვნენ, რომ ყოველი მოსწავლე თავისი ინდივიდუალურობით ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის მრავალხმიან ჰარმონიაში.

მასწავლებელი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვათა გამოცდილების საფუძველზეც ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს საგაკვეთილო სტრატეგიებს. რა შეიძლება გაკეთდეს გაკვეთილის ეფექტური დასაწყისისა და დასასრულისთვის? კარგი იქნება შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

- ნებისმიერი საგნის სწავლებისას სასურველია გაკვეთილზე ისეთი უცხო მასალის შეტანა,

რომელიც მოსწავლეებს დააინტერესებს. ეს შეიძლება იყოს მოცემულ თემაზე მათთვის უცნობი კონცეფციები. გაკვეთილის ბოლოს კი დრო უნდა დაეთმოს განხილული თუ შესწავლილი მასალის შეჯამებასა და განმტკიცებას.

- მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს: გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეთათვის მხოლოდ იმის შეხსენება, რომ დავალება აქვთ შესასრულებელი, შესაძლოა საკმარისი არ იყოს. უფრო ეფექტური იქნება ამასთან ერთად მარტივი კითხვის დასმაც იმის შესახებ, რაც გაკვეთილზე განიხილეს.
- გაკვეთილის დასაწყისს ენერგიას მატებს ან წინა მასალის ორიოდე კითხვით გააქტიურება, ან გონებრივი იერიშის სტრატეგიით ახალი თემის შემოტანა.
- შეიძლება, მასწავლებელმა წინასწარ მომზადებული ციტატა დაწეროს დაფაზე, მოსწავლეებს აზრი ჰკითხოს ავტორის შეხედულებაზე და იმის საშუალებაც მისცეს, მოკლედ იმსჯელონ, ეთანხმებიან თუ არა.
- თუ გაკვეთილზე ახალი ტერმინებისა თუ ლექსიკური ერთეულების გაცნობაა დაგეგმილი, მასწავლებელს შეუძლია, ისინი წინასწარ ჩამოწეროს დაფაზე და წყვილებსა თუ ჯგუფებს მათი განმარტება სთხოვოს. ეს მოსწავლეებს ცნობისმოყვარეობას გაუღვივებს.
- დასაწყისისთვის დამახასიათებელი ერთგვარი დაძაბულობის გასაფანტავად შეიძლება მარტივი ტესტის ან ვიქტორინის შეთავაზებაც, რათა მოსწავლეები წახალისდნენ უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.

ერთმა მასწავლებელმა გაკვეთილის ბოლოს შუქნიშნის მოდელი გამოიყენა. მან ბავშვებს სთხოვა, კედელზე გაკრული „შუქნიშნის“ წითელი, ყვითელი და მწვანე ფერების ქვეშ მიეკრათ სამივე ფერის სტიკერები (გვარ-სახელის მინიშნებით); მწვანეზე დაეწერათ ერთი რამ, რაც გაკვეთილიდან მოეწონათ ან კარგად გაიგეს, ყვითელზე – რაც აეჭვებდათ და რის შესახებ მეცადინეობაც კიდევ სჭირდებოდათ, ხოლო წითელზე – რაც ვერ გაიგეს და რის ახსნაც სურდათ შემდეგ გაკვეთილზე. ეს მეთოდი მასწავლებელს მისცემს ჩატარებული გაკვეთილის ანალიზის საშუალებას და დაგეგმვისას იმის გათვალისწინებაში დაეხმარება, რომელ პრობლემას უნდა დაუთმოს მეტი ყურადღება.

შეიძლება, მასწავლებელმა მოიფიქროს გაკვეთილის შეფასების ორიგინალური, კლასისთვის შესაფერისი სისტემაც, რომელსაც რეგულარულად არა, მაგრამ ხანდახან გამოიყენებს. მაგალითად, სთხოვოს მოსწავლეებს, შეაფასონ ჩატარებული გაკვეთილი 10-ბალიანი სისტემით, ოღონდ ანონიმურად და დასაბუთების გარეშე. ამ პირობებით ბავშვები უფრო თამამად გამოთქვამენ შეფასებას და უფრო კრიტიკულებიც იქნებიან, მასწავლებელს კი შესაძლებლობა მიეცემა, დაინახოს მოსწავლეთა გულწრფელი დამოკიდებულება გაკვეთილის მიმართ. რა თქმა უნდა, ზოგი მოსწავლის დაბალი შეფასება შესაძლოა მოსწავლისვე ბრალი იყოს, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენება მასწავლებელს ბევრ რამეზე დააფიქრებს და რაღაცების შეცვლისკენ უბიძგებს. მრავალფეროვნებისთვის შეიძლება, ხანდახან მოსწავლეებს ქულებთან ერთად მცირე ახსნა-განმარტებაც სთხოვოს. კარგი იქნება, შესაფასებელი კითხვა ისე იყოს დასმული, რომ პასუხში მოსწავლის მიმდინარე თემასთან დაკავშირებული საჭიროებები გამოიკვეთოს. მაგალითად, მან შეიძლება დაწეროს, რომ მასწავლებლის დახმარება სჭირდება, რათა დღევანდელ გაკვეთილზე ახსნილი მასალა უფრო სიღრმისეულად გაიგოს. ამგვარად, ის მასწავლებლის კომპეტენციაში კი არ შეიტანს ეჭვს, არამედ საკუთარ სირთულეებს გაახმიანებს, შეფასების განხილვისას კი დააზუსტებს, რისი გაგება გაუჭირდა. ყველაფერთან ერთად, მასწავლებლის შეფასების შესაძლებლობა სწავლის ერთგვარ სტიმულს მისცემს და მოტივაციას გაუჩენს მოსწავლეს.

გაკვეთილის დასაწყისიც და დასასრულიც ერთგვარ ჩარჩოს ქმნის, რომელმაც შეიძლება, როგორც ნახატს, ისე შეუცვალოს ელფერი მთელ საგაკვეთილო პროცესს.

რა თქმა უნდა, ყველა მასწავლებელმა იცის, რომ ყველა მეთოდი, რაც უნდა სრულყოფილი იყოს, ყველა მოსწავლეზე თანაბარი წარმატებით არ მოქმედებს. ამიტომაც არის, რომ პედაგოგი მუდმივად უნდა ცდილობდეს სწავლების სხვადასხვა ხერხის გაცნობას, მოდიფიცირებასა და გამოყენებას.

რაც მთავარია, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის გაკვეთილზე არ უნდა გაწყდეს ის უხილავი ძაფები, რომლებიც ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და აღიარების საფუძველზეა გაბმული. განსაკუთრებით მასწავლებელს ეკისრება ეს პასუხისმგებლობა. მან თანაბრად არ უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს არც ყურადღება და არც საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა. ის ისე კარგად უნდა იცნობდეს მათ, რომ უყურადღებობის მიზეზსაც მიხვდეს და ისე მოიქცეს, თითქოს არც კი შეუმჩნევია. რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ აუცილებელი. პედაგოგს გამოცდილება შესძენს ამ უნარს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ მისი აუცილებლობა გაცნობიერებული ექნება.

რევაზ ინანიშვილის ცნობილი მოთხრობის ეპიზოდს თუ გავიხსენებთ, უკეთ ჩავწვდებით პრობლემის არსს: მასწავლებელს არ მოსწონს, რომ ბავშვი არ უსმენს და უხეშად მიმართავს, ამ დროს კი მოსწავლე ისეთ ოცნებებს მისცემია, რომლებიც მას შინაგანად ამდიდრებს და ავითარებს. აშკარაა, პედაგოგი არ იცნობს, ან იცნობს და უგულებელყოფს მოსწავლის რომანტიკულ სულისკვეთებას. ბიჭს სულიერი სიმშვიდე ერღვევა. არადა, მისი ფიქრის საგანი ამაღლებულია:

„ჩახორხილი, ტყიანი და ჩამოხვეწილი მთების უკან თეთრ ლამაზ მწვერვალს დაინახავ. ის გასაოცრად ერთფეროვნად დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც – სულ თეთრი. ხანდახან თუ წამოედება ლეგა ღრუბელი, ან მოსცილდება, ანდა მზე მოავარაყებს ოქროსფრად. მაგრამ აუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს. ბიჭი საგანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად ამოდის ხოლმე (თან წალდი მოაქვს, თითქოს ფიჩხზე ან წნელზე იყოს წამოსული). დგას და გაჰყურებს გულისცემით. ასე რომ ვეღარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდეც და ხან თვალებგადიდებული იყურება, ხან თვალებმოჭუტული. ჯიბეში ვაშლები აქვს, ამოიღებს და მადიანად ჩაკბეჩს...

ბიჭმა კლასს გადახედა. მთელი კლასი მას მისჩერებოდა დაინტერესებული, დამცინავი ღიმილით.

– არ გესმის, შინდელაშვილო, – დაუძახა მასწავლებელმა, – გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება.

ბიჭი წამოდგა, ხელები მერხის კალთებს ქვეშ ამოაწყო, თვალებში ისევ გაურკვევლობის ბურუსი ედგა.

– ვაი, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგგზავნა შენც! – ზიზღით თქვა მასწავლებელმა, მაგიდიდან ბლოკნოტი აიღო და წითელი ავტოკალმით რაღაცა ჩაინიშნა.

– გაიკარ ორიანი, ბიჯო?! – კახურ კილოზე გადმოსძახა უკანა მერხიდან ყველაზე დიდმა ბიჭმა. კლასი ახარხარდა.

– რა ამბავია! – იყვირა მასწავლებელმა. შინდელაშვილი დაჯდა, თავი ჩაღუნა და ქვედა ტუჩს კვნეტა დაუწყო. მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წვრილი, შავყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა“ („შორი თეთრი მწვერვალი“).

განათლების ცნობილი ექსპერტისა და ორატორის კენ რობინსონის საჯარო გამოსვლის ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდიც შეიძლება გავიხსენოთ. როცა მასწავლებელმა შეამჩნია, რომ გაკვეთილზე ერთი გოგონა არ უსმენდა, თავი დაეხარა და რაღაცას ხატავდა, ჰკითხა, რას ხატავო. ღმერთსო, უპასუხა გოგონამ, სავსებით დარწმუნებულმა თავის სიმართლეში. მასწავლებელს ხმაში ირონია გაერია: – ღმერთი რომ არავინ იცის როგორიაო? ამის შემდეგ ეცოდინებათო, – არა დაეჭვება, არამედ უფრო მეტი თავდაჯერება გაისმა გოგონას ხმაში და მასწავლებელსაც გაეღიმა.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ყველა მოსწავლეს თავისი განუმეორებელი, უნიკალური სამყარო აქვს. მოზარდის სამყარო კი ისეთი ფაქიზი და მყიფეა, შეიძლება, ერთმა დაუფიქრებელმა, უხეშმა სიტყვამ გაბზაროს. ამიტომ პედაგოგს დიდი სიფრთხილე სჭირდება, რომ ამ ირაციონალურ სამყაროს საფუძველი არ გამოაცალოს და არ დაანგრიოს. ეს მეტაფიზიკური ოცნებები, ხანდახან მოსწავლის ყურადღების გაფანტვითა და კონცენტრაციის უუნარობით რომ მჟღავნდება, ისევე აუცილებელია ადამიანის ჩამოყალიბებისთვის, როგორც რეალური, მატერიალური გამოცდილება.

გაკვეთილის დასაწყისიც და დასასრულიც ერთგვარ ჩარჩოს ქმნის, რომელმაც შეიძლება, როგორც ნახატს, ისე შეუცვალოს ელფერი მთელ საგაკვეთილო პროცესს.

მაია ფირჩხაძე

როგორ გამოვიყენოთ მრავალდონიანი დავალებები ისტორიის სწავლებაში

სწავლის დიფერენცირებული პრინციპებინად გამომდინარე, მასწავლებლები დიდი ხანია აქტიურად მიმართავენ მრავალდონიან, დიფერენცირებულ დავალებებს. ის ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემოს უშუალო შემადგენელი კომპონენტი (http://www.wholeschooling.net/)

მრავალდონიანი ამოცანების გამოყენების ძირითადი მიზანია ტექსტის დამუშავება მისი ცალკეული კომპონენტების ჩართულობით, როგორიცაა, მაგალითად:

მრავალდონიანი დავალებები მოსწავლის საგანმანათლებლო ტრაექტორიაზეა გათვლილი. მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები და შესაძლებლობები, ხელს უწყობს მრავალმხრივი უნარების განვითარებასა და წინარე ცოდნის გააქტიურებას, ეფექტურია კორექციის ჯგუფებში და რემედიაციული მუშაობისას (Notable Work: "The Differentiated Classroom: Responding to the Needs of All



მასწავლებლის ამოცანაა, გამოიწვიოს მოსწავლეებში მაღალი ემოციური მდგომარეობა, შექმნას ისეთი პირობები, სადაც ყველა კმაყოფილი იქნება საკუთარი მიღწევებით. ამ მიზნით, სწავლის დიფერენცირებული პრინციპებინად გამომდინარე, მასწავლებლები დიდი ხანია აქტიურად მიმართავენ მრავალდონიან, დიფერენცირებულ დავალებებს.

Learners." https://files.ascd.org/staticfiles/ascd/pdf/siteASCD/publications/books/differentiated-classroom2nd-sample-chapters.pdf)

მასწავლებლები ხშირად მიმართავან მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე გათვლილ მსგავს დავალებებს, როგორიცაა:

- **პროექტები** (მოითხოვს სხვადასხვა ეტაპებს და თითოეული ეტაპს შესაბამისი, სხვადასხვა უნარი ჭირდება);
- **კეის-მეთოდი** (გათვლილია ინფორმაციის გაანალიზებაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების უნარებზე);
- **კვლევითი პროექტები** (მოიცავს მონაცემთა შეგროვებას, მათ ანალიზს და შედეგების წარდგენას);
- **დებატები ან დისკუსიები** (არგუმენტაციის, კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარებზე გათვლილი დავალებები);
- **და ა.შ.**

ასეთი ტიპის, დიფერენცირებულ დავალებებში კლასის თითოეული მოსწავლეს შეუძლია საკუთარი თავის დანახვა, საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენა.

მრავალდონიანი, დიფერენცირებული დავალებების შეფასებაში სხვადასხვა მიდგომა არსებობს. შესაძლებელია ამ მიდგომებიდან ისეთის არჩევა, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად იმუშავებს ჩვენს საკლასო ოთახებსა და ჩვენს სასკოლო სივრცეებში. მათ შორისაა მრავალდონიანი დავალებების მარტივი, 3 საფეხურიანი სისტემაც (შესაძლებელია დონეებს შევუსაბამოთ შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასებაც):

დონე (ეფუძნება ცოდნის ათვისების ეტაპებს)	დავალების სახეობა დონის შესაბამისად		
	შეკითხვა	**ამოცანა**	**დავალება**
დონე 1 – საწყისი: ამ დონეზე იმყოფებიან ის მოსწავლეები, რომელთაც აქვთ მინიმალური ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები შესასწავლი მასალის გაგებისა და ათვისებისთვის. ცოდნა მასწავლებლის მიერ გადაეცემა მზა სახით, დავალებები კი უნდა იყოს მარტივი, შესაფერისი ინსტრუქციებით.	– რა ეწოდება.. – რომელ წელს.. – ვინ დაწერა.. – რა არის გამოსახული.. – რას ეწოდება...	სხვადასხვა ტიპის ამოცანები მოცემული ალგორითმის შესაბამისად (მასწავლებლის მხარდაჭერით)	**ცოდნა:** – მოიყვანე მაგალითი (ამოიწერე ფაქტები... მტკიცებულებები..) – მოგვითხრეთ... – ჩამოთვალეთ.. – დაასახელეთ, რა მოხდა... – გაანალიზე.. **უნარი:** – დახატე სქემა (ნახატი, გრაფიკი...) – წაიკითხე ნაწყვეტი... – შეადგინე გეგმა... – „ჩასვი გამოტოვებული სიტყვა..." – „გაარჩიე, ჭეშმარიტია თუ მცდარი" და სხვ.
დონე 2 – საბაზო მოსწავლეებს აქვთ გარკვეული დონე, დაეუფლონ შესასწავლად განკუთვნილ მასალას; ძირითადად მიმართულია დავალებებზე, რომლის პირობაშიც ცხადად იკვეთება დავალების შესრულებისთვის საჭირო მინიშნებები	– რა არის მიზეზი?.. – რა აერთიანებთ?.. – რით განსხვავდება?.. – რატომ?.. – რა არის ძირითადი აზრი?.. – რით აიხსენება, რომ..?	ამოცანები, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად შეასრულებს ნიმუშის შესაბამისად, მათ შორის ეტაპების მიხედვით, როგორიცაა: ამოცანის პირობის მიხედვით პასუხის მოძიება.	**ცოდნა:** - დასახელეთ ფაქტები, რომელიც ადასტურებს, რომ... - შეადარეთ... - ახსენით... **უნარები:** - ააგეთ სქემა (დიაგრამა, გრაფიკი) - შეავსეთ ცხრილი... - შეადგინეთ სქემა ნახატის მიხედვით...

დონე 3 – შემოქმედებითი /ცოდნის გამოყენება შემოქმედებითად ესაა მოწინავე, კრეატიული მოსწავლე, რომელსაც შეუძლია დავალებებს გაუმკლავდეს დამოუკიდებლად, მასწავლებლის მითითებების გარეშე. გამოიყენება შედარებაზე, პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები.	– რა განსხვავება იქნება.. – მისაღებია თუ არა მტკიცებულება, რომ... – რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ.. – რა პირობებია აუცილებელი, რომ...	ამოცანები, რომელიც მოითხოვს ცოდნის გამოყენებას არასტანდარტულ ვითარებაში და, ზოგადად, ტრანსფერულ ცოდნას.	**ცოდნა:** – გააკეთეთ შედარებითი ანალიზი (კლასიფიცირება).. – განაზოგადეთ.. – შეაფასეთ მნიშვნელობა.. – მოდელირება.. – პრობლემის გადაწყვეტის გზის შეთავაზება.. – კონსტრუირება.. – დასკვნების გაკეთება.. – თხზულების/ესეს დაწერა.. – პროექტის გაკეთება და სხვ.

სასურველია ამ დროს გამოვიყენოთ ბარათებიც:

დიფერენცირებულ დავალებასთან მუშაობის სამახსოვრო ბარათი

- ამოირჩიეთ 1 დავალება (შემოთავაზებულია, მაგალითადად, 3 დავალება)
- ვისაც უნდა ცოდნის გამტკიცება – ამოირჩიოს N1 დავალება
- ვინც ფიქრობს, რომ მასალა კარგად იცის, ამოირჩიოს დავალება N2
- ვინც მტკიცედაა დარწმუნებული და სურს, შეამოწმოს თავისი ძალები და შესაძლებლობები – ამოირჩიოს დავალება N3

მრავალდონიანი დავალებების პრაქტიკული გამოყენების მაგალითები ისტორიის სასწავლო კურსიდან:

თემა – პრეისტორია / ქვის ხანა

გაკვეთილის თემა / საკითხები	საწყისი დონე	საბაზო დონე	შემოქმედებითი დონე
1. დმანისის აღმოჩენები; 2. პალეოლითური მღვიმეების კულტურა საქართველოსა და ევროპაში; 3. საქართველო – მიწათმოქმედებისა და მეღვინეობის უძველესი კერა.	– ჩამოთვალე შრომის უძველესი იარაღები? – რისგან იყო უძველესი სამუშაო იარაღები დამზადებული? – რა გამოიგონეს „გონიერმა ადამიანებმა“? – რა არის რელიგია? – რა საქმიანობას მისდევდა უძველესი ადამიანი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ? – რატომ მოიშინაურა ცხოველები? – რა ნიშნებით ხასიათდება სახელმწიფო? – რა განსხვავებაა ორ საზოგადოებას შორის?	– რით განსხვავდებოდა უძველესი ადამიანები ერთმანეთისგან? – რით განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისგან? – რა აქვს საერთო უძველეს ადამიანსა და თანამედროვე ადამიანს? – რატომ გამოეყო ხელოსნობა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას? – როგორ წარმოიშვა თემები? რას ნიშნავს სამეზობლო თემი?	– დაწერე თხზულება უძველესი ადამიანის ცხოვრების შესახებ.. (შეგიძლიათ მოთხრობა შეადგინოთ ქვის ხანის შესახებ სურათების საფუძველზეც) – „ვირტუალური ინტერვიუ ქვის ხანის ადამიანთან“... – რაც ვიცით, საიდან ვიცით ქვის ხანის შესახებ? – როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ქვის ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება? – როგორ აღიქვამდა პირველყოფილი ადამიანი სამყაროს? რატომ მისდევდა იგი მაგიას? – რით განსხვავდებოდა ქვის ხანა თანამედროვეობისგან? – რატომ იხსენიებენ მეცნიერები მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გაჩენას „რევოლუციის“ სახელით?

თემა: ბრინჯაოს ხანა / ძველი აღმოსავლეთი

გაკვეთილის თემა / საკითხები	საწყისი დონე	საბაზო დონე	შემოქმედებითი დონე
1. მტკვარ-არაქსის კულტურა; 2. თრიალეთის კულტურა; 3. დიაოხისა და კოლხას ურთიერთობები ძველაღმოსავლურ ქვეყნებთან.	– სად და როდის ჩამოყალიბდნენ პირველი სახელმწიფოები? – როგორი შრომის იარაღები ჰქონდათ ლითონის აღმოჩენის შემდეგ? – რა ვიცით იმდროინდელი ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზე?	– რატომ უწოდებდნენ პირველ სახელმწიფოებს სამდინაროს? მოიყვანეთ არგუმენტი; – რატომ წარმოიშვა ქონებრივი უთანასწორობა? – რა შეცვალა ლითონის გამოგონებამ ადამიანის ცხოვრებაში? – რატომ აგებდნენ ყორღანებს? – რით განსხვავდებოდა ძველაღმოსავლური ხანა თანამედროვეობისგან და/ან სხვა ისტორიული ეპოქებისგან?	– როგორ აღიქვამდა ძველაღმოსავლურ პერიოდში მცხოვრები ადამიანი სამყაროს? – რატომ შეიქმნა დამწერლობა, კანონები, დროის აღრიცხვის სისტემა? – რატომ წარმოიქმნა პირველი ცივილიზაციები დიდი მდინარეების გასწვრივ? – როგორი ურთიერთობა ჰქონდა მომთაბარეებს ძველი აღმოსავლეთის მოწინავე სახელმწიფოებთან? – რატომ იყო დამახასიათებელი ძველაღმოსავლური ეპოქისთვის მონუმენტური არქიტექტურა? – რატომ მარხავდნენ მმართველებს ყორღანებში? – რატომ იხსენიება ძველაღმოსავლურ წყაროებში ბევრი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება? – დაწერეთ თხზულება ძველაღმოსავლეთში მცხოვრები თქვენი თანატოლის საქმიანობის შესახებ (შესაძლებელია მოთხრობის საიუჟეტად გამოიყენო თანამედროვეთა მიერ შექმნილი ნახატები იმდროინდელი საზოგადოების შესახებ)

შესაძლებელია ამ ცხრილის კიდევ უფრო გამარტივება რემედიაციული მუშაობისას, ან საკონსულტაციო შეხვედრებზე. მაგალითად:

- **მუშაობა ისტორიული ცნებების ფორმირებაზე**
  - **დონე 1** – გაკვეთილის ტექსტიდან ამოიწერეთ ცნებები;
  - **დონე 2** – მოცემული მახასიათებლების საფუძველზე შეადგინეთ ცნებები;
  - **დონე 3** – ისტორიული ტექსტის ან ტექსტის ნაწყვეტის საფუძველზე შეეცადეთ, განმარტოთ ტერმინი.
- **ისტორიულ თარიღებსა და ქრონოლოგიაზე მუშაობა**
  - **დონე 1** – ამოიწერეთ მოვლენები ტექსტიდან;
  - **დონე 2** – კონტურულ რუკაზე მონიშნეთ თარიღები და მოვლენები;
  - **დონე 3 – დაალაგეთ ილუსტრაციები მოვლენის ცალკეული ეტაპების შესაბამისად.**

მრავალდონიანი ამოცანების ეფექტური განხორციელებითა და შეფასებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან დინამიკური და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც აკმაყოფილებს მათი მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებს, ხელს უწყობს აკადემიური შედეგების გაზრდას და „წარმატების სიტუაციის“ შექმნას გაკვეთილზე.

- **მუშაობა ისტორიულ პიროვნებებზე**

  დონე 1 – აბზაციდან ამოვიწეროთ ისტორიული პირების სახელები;

  დონე 2 – მოცემული წინადადებების საფუძველზე შეადგინეთ ისტორიული პიროვნებების მოკლე ბიოგრაფია (მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს წინასწარ დაწერილ წინადადებებს, რომლებიც შეიცავენ ფაქტებს ისტორიული პირის მოღვაწეობის შესახებ. მოსწავლეები უსმენენ ვარიანტებს და აანალიზებენ პასუხებს).

  3 დონე – ისტორიული პირის დაკავშირება ფაქტებთან და მოვლენებთან:

ვინ??..	
სოლონი პერიკლე დრაკონი	• ძველი საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე • დაიბადა დაახლოებით ძვ.წ. 640 წ. • აირჩიეს არქონტად • აკრძალა ვალის გამო მონობა • შეიქმნა კანონი მოსამართლეთა არჩევის შესახებ

- **დავალებები მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფორმირებაზე:**

  დონე 1 – გაკვეთილის გეგმის შედგენა ინსტრუქციის მიხედვით. მაგალითად, თემა „ქვის ხანა“:

1. ჰომინიწები:	*2. შრომის იარაღები:*	*3. უძველესი ადამიანის საქმიანობა:*
ა) .....?. (გარეგნობა)	ა).....?	*ა) .....?*
ბ) .....?. (გაწსახლების არეალი)	ბ).....?	*ბ).....?*

დონე 2 – ცხრილების შედგენა. რუკის ანალიზი.

დონე 3 – გაკვეთილის ტექსტის შევსება დამატებითი წყაროებით (მასალები ინტერნეტიდან. დოკუმენტები. ილუსტრაციები.).

მრავალდონიანი ამოცანების ეფექტური განხორციელებითა და შეფასებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან დინამიკური და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც აკმაყოფილებს მათი მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებს, ხელს უწყობს აკადემიური შედეგების გაზრდას და „წარმატების სიტუაციის“ შექმნას გაკვეთილზე.

ქრისტინა სურგულაძე

პოზიტიური შეფასებისას დაშვებული შეცდომა

ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა მოსწავლეს თანაბრად მივაქციოთ ყურადღება, განურჩევლად მათი აკადემიური მოსწრებისა და ხშირად შევაქოთ ისინიც, ვინც, ჩვენი აზრით, ყველაფერს კარგად აკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათგან მივიღებთ უფროსს, რომელიც თავის პროფესიაში შემდგარია, მაგრამ ყველა მიღწევას გამუდმებით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ყოველ წამს სხვებისგან ითხოვს დასტურს, რომ რაღაც გამოუვიდა.

არ ვიცი, იხსენებთ თუ არა მოსწავლეობის დროინდელ ამბებსა და გულისტკივილებს, მე კი მათი გახსენება მეხმარება, მარტივად დავაყენო თავი ჩემი მოსწავლეების ადგილას და შეცდომები არ გავიმეორო. ახალი ამბავი არ არის, რომ როცა თავს სხვის ადგილას წარმოიდგენ, უფრო ადვილად გაიაზრებ, რატომ იქცევა ის სხვა ასე. ადამიანები ამას იშვიათად ვაკეთებთ, უმეტესად განსჯა გვირჩევნია, თუმცა მუდამ ასე რომ მოვქცეულიყავით, უდიდეს შვებას ვიგრძნობდით და ყველაფერი გაცილებით მარტივი გახდებოდა, პირველ რიგში - ჩვენთვის.

კარგი მოსწავლეობა ადვილი არ არის. „კარგი“ მეტისმეტად სუბიექტური ცნებაა, თუმცა, კლასიკური განმარტებით, ეს ნიშნავს მოსწავლეს, რომელიც შედარებით სწრაფად ითვისებს მასალას, გაკვეთილზე ჩართულია მუშაობაში და დავალებებსაც ყოველთვის ასრულებს. კარგი მოსწავლეობის ეს განმარტება თაობებს მოჰყვება, პერიოდულად რაღაცები იცვლება, განსაზღვრებები ემატება ან აკლდება, ძირითადი ფორმა კი უცვლელია: კარგი მოსწავლე ხარ, თუ სისტემატურად სწავლობ და დავალებებსაც ასრულებ ხოლმე. ჰოდა, ეს სულაც არ არის მარტივი! განა იმიტომ, რომ სწავლა და დავალებების შესრულებაა რთული, არამედ იმიტომ, რომ ამას ყველა მიეჩვია.

როცა პროფესიაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ხშირად მირჩევდნენ, შემექო და წამეხალისებინა ყველა მოსწავლე, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც განსხვავებული გამოწვევები ჰქონდა, რათა მოტივაცია ამაღლებოდათ და სხვა, შედარებით ძლიერი ბავშვების ფონზე სწავლის ხალისი არ დაკარგვოდათ. დროთა განმავლობაში პოზიტიური შეფასება ისე გამიჯდა ხასიათში, რომ ჩემი საგაკვეთილო პროცესის ძალიან ორგანულ და, იმავდროულად, გულწრფელ ნაწილად იქცა. მერე კი ერთი რამ შევამჩნიე – კლასი თავისთავად დაიყო ჯგუფებად: მოსწავლეები, რომლებისგანაც ყოველთვის მოველოდი შედეგს, მოსწავლეები, რომლებიც მუშაობისა და ქების ფონზე სწრაფად პროგრესირებდნენ და მოსწავლეები, რომლებიც შედარებით ნელა პროგრესირებდნენ. აღმოჩნდა, რომ ყურადღება და მოტივაციის ასამაღლებელი ქება უმეტესად სწორედ იმ მოსწავლეებისკენ მქონდა მიმართული, რომლებიც მეორე და მესამე კატეგორიებში მოხვდნენ.

შესაძლოა, ამ შეცდომაზე ყურადღება არც კი გამემახვილებინა, რომ არა გოგონა, რომელმაც ერთ ჩვეულებრივ დღეს გაკვეთილზე მკითხა: „მას, მე არ ვარ ყოჩაღი?“ შენ თავისთავად-მეთქი, მივუგე და როგორც კი გაკვეთილი დასრულდა, მთელი სიცხადით მივხვდი, რას ნიშნავდა მისი შეკითხვა. მე ისე მივეჩვიე მის სტაბილურ პროგრესს, რომ ნელ-ნელა გადამავიწყდა აღმენიშნა, როგორი კარგია. ალბათ დავიჯერე, რომ მასაც ისევე უნდა სცოდნოდა თავისი ყოჩაღობის ამბავი, როგორც მე ვიცოდი. ამასობაში კი დამავიწყდა, ხმამაღლა შემეხსენებინა მისთვის, რომ ვენდობოდი და, დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი გამოუვიდოდა. თუმცა პატარები ჩვენს ნდობას ასე ვერ აღიქვამენ და ჰგონიათ, რომ საკმარისად კარგები არ არიან.

სკოლაში მისულმა, კითხვა მალევე ვისწავლე. გამართულად ვკითხულობდი და ჩემი მასწავლე-

ბელი ამას ისე მიეჩვია, თითქოს თანდაყოლილი უნარი ყოფილიყო და არა ჩემი შრომის შედეგი. ჩემი თანაკლასელების უმეტესობა კი ჯერ კიდევ ეჭიდავებოდა ერთად თავმოყრილ ასოებს. ერთ დღეს გაკვეთილზე დირექტორი დაგვესწრო. მახსოვს, ყველას წაგვაკითხეს თითო აბზაცი. სხაპასხუპით ჩავამთავრე და გავჩერდი. ჩემმა თანაკლასელებმაც ჩაკითხეს, მათ შორის ერთმა – ასევე სხაპასხუპით და კარგად. მახსოვს, მასწავლებელი მას მონდომებით აქებდა იმის გამო, რომ კითხვა ასე კარგად ისწავლა. აქებდა, რათა მეტი მოტივაცია მისცემოდა, რადგან მანამდე ბევრი სირთულე ჰქონდა და მასწავლებლის დახმარებით ეტაპობრივად დაძლია. როდესაც მან კითხვა დაამთავრა, მასწავლებელი თავზე დაადგა, მოეფერა და დირექტორსაც უთხრა, აი, რა კარგად ისწავლა

კითხვა, რა ყოჩაღიაო. დირექტორმა ჩემზე ანიშნა, ისიც კარგად კითხულობსო. მასწავლებელმა წამით გამომხედა, ხელი აიქნია: ის ჰო, თავისთავადო, – და ისევ ჩემს თანაკლასელზე განაგრძო საუბარი.

ახლა, როცა უკან ვიხედები, ამ ეპიზოდში უამრავ შეცდომას ვხედავ, თუნდაც ჩემი იმ თანაკლასელების წინაშე დაშვებულს, რომლებმაც ვერც მასწავლებლის ქება დაიმსახურეს და არც დირექტორი გამოესარჩლათ, თუმცა მინდა, უკეთ აგიხსნათ, რატომ დატოვა ჩემს მეხსიერებაში ამხელა კვალი ამ მოგონებამ. მასწავლებელს ვუყვარდი, ძალიან ვუყვარდი. არ გეგონოთ, ის ხელის აქნევა და პასუხი იმას ნიშნავდა, რომ ჩემს უნარებს არაფრად აგდებდა. უბრალოდ, დარწმუნებული იყო, რომ მე ეს მისი პოზიტიური შეფასების გარეშეც უნდა შემძლებოდა და რომ შემეძლო კიდეც. მაგრამ ჩემმა ბავშვურმა გონებამ ვერაფრით გაიაზრა, რატომ არ იყო ჩემი მიღწევა აღნიშვნის ღირსი და ნელ-ნელა საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. ჩემმა თვითშეფასებამ ზემოთ-ქვემოთ დაიწყო მოძრაობა, იმის მიხედვით, თუ როგორ შეაფასებდნენ სხვები ჩემს ნამუშევარს. სხვები კი ხშირად არ მაფასებდნენ. განა იმიტომ, რომ ის, რასაც ვაკეთებდი, არ ვარგოდა, არამედ იმიტომ, რომ ვარგოდა, ამას მოელოდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს მეც უნდა მცოდნოდა. მე ზოგჯერ ვიცოდი და საკუთარი თავით მეტისმეტად ვამაყობდი, ზოგჯერ კი პირიქით, მეგონა, საკმარისი არ იყო, რასაც ვაკეთებდი და მეტი უნდა მეკეთებინა. მერე ვბრაზობდი და საერთოდ არაფრის კეთება აღარ მინდოდა.



პატარამ თითქმის არასდროს იცის და გამუდმებით ეძებს ხელჩასაჭიდს უფროსებისგან – სიტყვას, საქციელს, ქებას, ნიშნად იმისა, რომ ის, რაც გააკეთა, თუნდაც იოლად, კარგი და საკმარისია. თუ ვერ იპოვა, ნელ-ნელა „კარგი მოსწავლეც“ დაკარგავს მოტივაციას.

პატარამ თითქმის არასდროს იცის და გამუდმებით ეძებს ხელჩასაჭიდს უფროსებისგან – სიტყვას, საქციელს, ქებას, ნიშნად იმისა, რომ ის, რაც გააკეთა, თუნდაც იოლად, კარგი და საკმარისია. თუ ვერ იპოვა, ნელ-ნელა „კარგი მოსწავლეც“ დაკარგავს მოტივაციას.

„მას, ჩემს დავალებას არ ამოწმებთ?“ – მკითხა წინა დღეს ერთმა მოსწავლემ. „არასდროს არავინ ამოწმებს ჩემს დავალებას“, – ჩაიბურტყუნა მერე თავისთვის. ამის გაგონებისთანავე მის მერხთან გავჩნდი, თუმცა ვაღიარებ, შესაძლოა, მისი დავალება მართლა არ შემემოწმებინა, სწორედ იმიტომ, რომ ვიცოდი, ყველაფერი უშეცდომოდ ექნებოდა დაწერილი.

ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა მოსწავლეს თანაბრად მივაქციოთ ყურადღება, განურჩევლად მათი აკადემიური მოსწრებისა და ხშირად შევაქოთ ისინიც, ვინც, ჩვენი აზრით, ყველაფერს კარგად აკეთებს. წინაალმდეგ შემთხვევაში მათგან მივიღებთ უფროსს, რომელიც თავის პროფესიაში შემდგარია, მაგრამ ყველა მიღწევას გამუდმებით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და ყოველ წამს სხვებისგან ითხოვს დასტურს, რომ რაღაც გამოუვიდა, რათა ბავშვობაში ჩამოყალიბებული არასტაბილური თვითშეფასება ცოტა ხნით მაინც დაასტაბილუროს.

ქეთევან კობალაძე

აღზრდა – თანამედროვე მიდგომები

გაგაცნობთ გერმანელი ავტორის სუზან მირაუს ნაშრომს „თავისუფალი და უდრეკი“ („Frei und unverbogen“). სუზან მირაუ პედაგოგი და ოჯახური ურთიერთობების კონსულტანტია. ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსპერტია ოჯახის მხარდაჭერის, ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სფეროში. კარიერის დასაწყისში სუზან მირაუ ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში ასწავლიდა, შემდეგ მშობლებისა და სპეციალისტებისთვის კერძო პრაქტიკა დაიწყო. ამასთან ერთად, ის უძღვება ბლოგს, მართავს სემინარებს, სპიკერია კონფერენციებზე, სადაც ოჯახის მხარდაჭერისა და გაძლიერების საკითხებს განიხილავენ.

მშობლებთან ურთიერთობა გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე. მისი სულიერი, ემოციური და ფიზიკური განვითარება სწორედ ამ ურთიერთობის თავისებურებებზეა დამოკიდებული. წიგნის ავტორის აზრით, მშობლების უმრავლესობა ცდილობს, შვილები სწორად აღზარდოს, რათა, ზრდასრულ ასაკს მიღწეულებმა, წარმატებული და ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრონ. აღზრდის მრავალი თეორია არსებობს, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. მაინც როგორია „სწორი აღზრდის“ პრინციპები? როგორ უნდა მოახერხონ მშობლებმა უამრავ რჩევასა და რეკომენდაციას შორის საუკეთესოს არჩევა? ან იქნებ საერთოდ არ არის საჭირო „აღზრდა“? მშობლებს თავად აქვთ შვილად ყოფნის გამოცდილება და მათი მშობლებიც აღზრდის გარკვეული სტილით ხელმძღვანელობდნენ, ამიტომ უფროსები ხშირად ეკითხებიან საკუთარ თავს: „როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, მშობლებს განსხვავებული მიდგომები რომ ჰქონოდათ?“ ეს კითხვები ზრდასრულ ადამიანებს უმეტესად უსიამოვნო განცდებს უჩენს, რადგან ფიქრობენ, რომ მათ თავს მოახვიეს გარკვეული ჩარჩოები, შეზღუდვები ან სულაც ძალიან დაზიანეს.

„უდავოა, რომ აღზრდა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას და მის დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ, – ვკითხულობთ წიგნში, – კერძოდ, იმას, პოზიტიურად აფასებს თუ ნეგატიურად საკუთარ პიროვნებას, საკუთარ შესაძლებლობებს, ართმევს თუ ვერა თავს ცხოვრებისეულ სირთულეებს. ასევე სერიოზული ფაქტორია ბავშვის ცხოვრების დასაწყისში მისთვის მნიშვნელოვანი უფროსისადმი მიჯაჭვულობის განცდის ფორმირება. ბავშვის გადმოსახედიდან, მიჯაჭვულობა მას იცავს, საფრთხეს არიდებს, რაც უზრუნველყოფს მის ფიზიკურ, პიროვნულ და ფსიქოლოგიურ ზრდა-განვითარებას. სამწუხაროდ, თუ ადამიანს ბავშვობიდანვე არ ჩამოუყალიბდა საიმედო, მყარი მიჯაჭვულობა, ის პერიოდულად განიცდის საკუთარი შესაძლებლობების მიმართ უნდობლობას, შესაძლოა, ჰქონდეს უიმედობის განცდა. იმატებს რისკი უფრო სერიოზუ-

აღზრდის მრავალი თეორია არსებობს, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

მშობლებთან ურთიერთობა გავლენას ახდენს ბავშვის ცხოვრებაზე. მისი სულიერი, ემოციური და ფიზიკური განვითარება სწორედ ამ ურთიერთობის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

ლი პრობლემების განვითარებისა (შფოთვითი აშლილობები, დეპრესიული მდგომარეობები და სხვადასხვა სახის სომატური ჩივილები).

აღზრდის შესახებ სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა მრავლად არის. ამ ლიტერატურაში უამრავ რეკომენდაციას თუ მითითებას ამოიკითხავთ: როგორ მოუწესრიგოთ ძილი პატარას; როგორ ასწავლოთ ბრაზის მართვა და თავადაც ისწავლოთ ემოციების ადეკვატურად გამოხატვა. ზოგიერთი ავტორი მშობლებს უხსნის, როგორ მოიქცნენ მცირეწლოვან თუ მოზარდ შვილთან. მიუხედავად ბევრი რჩევა-დარიგებისა, მშობლები მაინც ჩივიან, რომ შვილებთან გაუცხოება სერიოზულ პრობლემად რჩება. ისე გამოდის, რომ ბავშვები, ასე ვთქვათ, თავს კარგავენ, როდესაც სიახლეებთან ადაპტირებას ცდილობენ“.

ყველა ბავშვი და ყველა მშობელი განსხვავებულია, უნიკალურია. პრობლემებიც ყველას კომპლექსური და განსხვავებული აქვს და ტრივიალური, ზოგადი რეკომენდაციებით ისინი ვერ გადაიჭრება. ამდენად, აღზრდის პროცესში ინდივიდუალური მიდგომები უკიდურესად მნიშვნელოვანია. შეუძლებელია, უნივერსალური პასუხი გაეცეს კონკრეტულ სიტუაციებში გაჩენილ კითხვებს. ბავშვები არ არიან ელექტრონული მოწყობილობები, რომ საჭირო ღილაკს თითი დააჭირო და გარანტირებული შედეგი მიიღო. სუზან მირაუს აზრით, ბავშვები არიან ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად რეაგირებენ სხვადასხვა გამღიზიანებელზე, მათ განსხვავებული ტემპერამენტი და უნარები აქვთ, ამიტომ განსხვავებული რეკომენდაციები და ქცევის კორექციისადმი სხვადასხვა მიდგომა თითოეულზე განსხვავებულად მოქმედებს. ჩვილებიც კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ტირილის დროს დასამშვიდებლად ზოგს ხელში აყვანაც ჰყოფნის, ზოგი კი უფრო მეტს მოითხოვს მშობლებისგან.

განსხვავებული მიდგომები, ცხადია, მხოლოდ დამშვიდებისას არ არის საჭირო – ისინი აქტიურობის, აგზნებადობისა და ჰიპერაქტიურობის შემთხვევაშიც შეიძლება განსხვავებული იყოს.

პრობლემის გადაჭრა უმეტესად კონკრეტულ ქმედებას ან მეთოდს გულისხმობს. თავდაპირველად აუცილებელია, მშობელმა/უფროსმა მოახერხოს პრობლემის გამომწვევი მიზეზის ამოცნობა. საქმე ეხება მშობლების/აღმზრდელების შეხედულებას, საზოგადოდ, ბავშვზე, მის მოთხოვნილებებსა და

მშობლების უმრავლესობა ცდილობს, შვილები სწორად აღზარდოს, რათა, ზრდასრულ ასაკს მიღწეულებმა, წარმატებული და ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრონ.

უფროსებთან ურთიერთობაზე. ანუ როგორ იქცევიან ზრდასრულები, როდესაც მშობლის როლში არიან. ამ შემთხვევაში აღზრდის მეთოდებზე საუბარი მეორეხარისხოვანია, ხანდახან კი საერთოდაც არ დგება დღის წესრიგში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მშობელი აღმოაჩენს, რომ აღზრდის არცერთი კონცეფცია არ შეეფერება მის წარმოდგენას საკუთარი შვილის შესახებ.

გერმანელი ავტორი საკუთარ პრაქტიკაზეც გვესაუბრება და ერთ შემთხვევას იხსენებს. ახალგაზრდა მშობლები მთელი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე პრობლემას აწყდებოდნენ: მათი ოთხი წლის გოგონა მაია საღამოობით არაფრით არ იძინებდა. დედას, რომელიც სამსახურში მთელი დღე საპასუხისმგებლო საქმით იყო დაკავებული, შინ დაბრუნებისას იმედი ჰქონდა, რომ მას შემდეგ, რაც მაია დაიძინებდა, მშვიდად მოილევდა საოჯახო საქმეებს და დასვენებასა და განტვირთვასაც შეძლებდა. შვილის ურჩობით შეწუხებულმა მშობლებმა უამრავი რამ სცადეს ბავშვის დასაძინებლად: გოგონას უკითხავდნენ წიგნებს, ამშვიდებდნენ აბაზანით ან მასაჟს უკეთებდნენ; დედა და მამა რიგრიგობით წვებოდნენ საწოლში მაიასთან ერთად, უსმენდნენ აუდიოზღაპრებს. მშობლები მშვიდ, ჰარმონიულ გარემოს ქმნიდნენ, რითაც ცდილობდნენ, გოგონასთვის ჩაძინება შეუმჩნეველი და ბუნებრივი გაეხადათ. სამწუხაროდ, არცერთმა მეთოდმა არ გაჭრა. თითქოსდა ჩაძინებული მაია ისევ თამაშს იწყებდა, მიუხედავად იმისა, რომ ისე ეძინებოდა, გამუდმებით თვალებს ისრესდა. მშობლებმა პედიატრსაც მიმართეს და, მისი რეკომენდაციით, შვილის ერთსა და იმავე დროს დაძინება სცადეს, მაგრამ ისევ უშედეგოდ. გაღიზიანებულმა დედამ საწოლში მაიას ძალით გაჩერებაც მოინდომა. ასეთი მცდელობები იმით სრულდებოდა, რომ დედაც და შვილიც ტირილს იწყებდნენ. დაღლილი მაია ძლივს ახერხებდა ჩაძინებას.

ყველაფერი მაშინ გაირკვა, როდესაც შეწუხებული მშობლები სერიოზულად გაესაუბრნენ პატარას. მაიამ ისინი მიახვედრა, რომ სურდა, თავად მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

„წარმომიდგენია, – წერს ავტორი, – რა ირონიულად ჩაიცინებენ მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები და იფიქრებენ: „ასეთი ციცქნა და უკვე საკუთარი გადაწყვეტილებების მიღება?“ დიახ! სპეციალისტები ამას ავტონომიურობის ფაზას უწოდებენ. საბავშვო ბაღში გატარებული დღის შემდეგ მაიასთვის ძალიან დიდი შეზღუდვა იყო დასაძინებლად გამწესება. მას მშობლებთან დროის გატარება და, ამავე დროს, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების დემონსტრირება სურდა. მშობლებმა გადაწყვიტეს, გოგონასთვის მოესმინათ. ისინი ნებას რთავდნენ პატარას, ვახშმობამდე ეთამაშა მამასთან ერთად, დედა კი ამ დროს მშვიდად აკეთებდა საქმეს. ამის შემდეგ ბავშვი უპრობლემოდ იძინებდა“.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ხშირად მშობლები შვილებს სათანადოდ ვერ აფასებენ. უფროსების თვალთახედვით, მათი შვილები არიან ისეთები, როგორი წარმოდგენაც აქვთ მშობლებს, საზოგადოდ, ბავშვებზე. პრობლემების უმრავლესობა სწორედ ამ მოცემულობიდან წარმოიშობა, – მიაჩნია გერმანელ ექსპერტს.

მაინც რატომ არის, რომ მშობლები უნიკალურ ინდივიდებად ვერ აღიქვამენ შვილებს? რატომ მიიჩნევენ უფროსები, რომ ბავშვები მათ შეხედულებებს უნდა შეესატყვისებოდნენ? რატომ ჰგონიათ, რომ ისინი ყოველთვის ისე უნდა იქცეოდნენ, როგორც საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებით არის განსაზღვრული? იმიტომ ხომ არა, რომ უფროსებს სავალდებულოდ მიაჩნიათ უმცროსების აღზრდა?

საინტერესო კითხვებია, არა? ახლა გაცილებით საინტერესო კითხვებს მოისმენთ, პასუხებს კი ამავე ავტორის სტატიებში ამოიკითხავთ. მაშ ასე: როგორ ვისწავლოთ შვილების ჭეშმარიტი გაგება? როგორ გავთავისუფლდეთ გარკვეული ფიქრებისა და მოლოდინებისგან? რატომ არის, რომ სხვადასხვა ავტორი დღესაც სთავაზობს მშობლებს აღზრდის მზამზარეულ მიდგომებს? როგორ მოახერხონ მშობლებმა, რომ შვილებს პატივისცემით მოეპყრონ, თანაც ისე, რომ არცერთი მხარე არ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად და გამოფიტულად?

მაია მენაბდე

„ულმობელი საქმის კაცი“ და თანამედროვე მოზარდები

ანუ რატომ უნდა ვასწავლოთ სკოლაში ნიკო ნიკოლაძის შესახებ

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით – მოზარდების სამყაროში, თითქოს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა განათლების უალტერნატივობა. რა საჭიროა განათლება, წიგნებში გადაშვება, გამუდმებით მუშაობა საკუთარ თავზე, თუ დღეს უბრალო, ყოფით თემებზე ტიკტოკერობითაც შესაძლებელია, ფულიც იშოვო და ცნობილიც გახდე? – დაახლოებით ასეთ კითხვებს სვამენ ისინი.

ნიკო ნიკოლაძესა და მის საარაკო საქმეებზე ადრეც ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ მისი სახლ-მუზეუმის ნახვის შემდეგ შეპყრობილი გავხდი ამ ადამიანით – რაღაც დამემართა. ის, რაც ამბებად ვიცოდი, ხელშესახები და თითქოს თანადროული გახდა. როცა მუზეუმის გიდს, კომპეტენტურ ადამიანს, ძალიან კარგ მთხრობელს, ვუსმენდი რამდენიმე მეგობართან ერთად, ძალიან დამწყდა გული, რომ იქ არ იდგნენ ჩემი მოსწავლეები. თან საშინლად შემრცხვა, რომ არასოდეს მისაუბრია მათთან დიდ ნიკოზე. მალე სწავლაც იწყებოდა. გამალებით დავიწყე ნიკო ნიკოლაძის შესახებ იმ ყველაფრის კითხვა, რისი მოძიებაც ინტერნეტსა თუ წიგნებში მოვახერხე და პარალელურად – იმაზე ფიქრი, რა და როგორ მიმეტანა ბავშვებამდე. მერე ვეცადე, ნიკოს ფართო დიაპაზონის ინტერესები, საქმეები, ნაფიქრალ-ნაწერი დამევიწროებინა, კონკრეტულ ჭრილში მომექცია და ისე მიმეწოდებინა ჩემი მოსწავლეებისთვის. ავირჩიე სამი საკითხი, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალიან აქტუალურია. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იპოვონ პასუხები ამ კითხვებზე, ნიკოს კი ბევრ კითხვაზე აქვს მზა პასუხი თავისი საქმით თუ ნაწერით. ეს საკითხებია:

- რატომ არის აუცილებელი და რას აძლევს პიროვნებას, ქვეყანას კარგი განათლება?
- რატომ ევროპა და ევროპული არჩევანი?
- რას გულისხმობს ნამდვილი პატრიოტიზმი?

ა) განათლების მნიშვნელოვნება

თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით – მოზარდების სამყაროში, თითქოს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა განათლების უალტერნატივობა. რა საჭიროა განათლება, წიგნებში გადაშვება, გამუდმებით მუშაობა საკუთარ თავზე, თუ დღეს უბრალო, ყოფით თემებზე ტიკტოკერობითაც შესაძლებელია, ფულიც იშოვო და ცნობილიც გახდე? – დაახლოებით ასეთ კითხვებს სვამენ ისინი. ამ მოცემულობაში მცხოვრები მოზარდებისთვის განათლებისადმი ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება შოკის მომგვრელი და ცოტა დამაბნეველიც კი აღმოჩნდა. ნიკოს ცხოვრებისა და ნაზრევის გაცნობისას მოსწავლეები ამ საკითხს სხვადასხვა კუთხით დააკვირდებიან.

პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი: რამდენად გრძელი და მრავალფეროვანი გზა გაიარა ნიკომ, რათა სრულყოფილი განათლება მიეღო, მაშინ როდესაც პირველი გილდიის ვაჭრის შვილი იყო და თუ მამის არჩეულ გზას გაჰყვებოდა, უსწავლელადაც უზრუნველად გალევდა თავის სიცოცხლეს? პეტერბურგის უნივერსიტეტიდან პროტესტის გამო გარიცხული, ჯერ სორბონში სწავლობდა, მერე შვეიცარიაში გადავიდა და ციურიხის უნივერსიტეტში დაწერა სადოქტორო ნაშრომი – სწორედ ნიკო ნიკოლაძე მიიჩნევა პირველ ქართველად, ვინც დოქტორის ხარისხი ევროპაში მიიღო. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ნიკო ნიკოლაძე საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მუდმივად ახლის მაძიებელ, თვითშემმეცნებელ ადამიანად დარჩა. კონსტანტინე გამსახურდია იგონებს: **„ნიკო ნიკოლაძეს მე ორჯერ შევხვდი: ერთხელ ბერლინში და მეორეჯერ პარიზში 1923 წელს. უნდა ითქვას, აღტაცებაში მომიყვანა მისმა დიდმა ერუდიციამ, განსწავლულობამ და გონებამახვილობამ. რა და რა დარგის**

გამო არ გაესაუბრებოდი მას – ბერგსონის „ელან ვიტალის“ მოძღვრება იქნებოდა ეს თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია თუ ინდური ბრაჰმანიზმი, ისლამური მისტიციზმი თუ მასონების მოძრაობა ევროპაში, იტალიური რენესანსისა თუ ძველბერძნული პლასტიკის საკითხები... ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო. პირველხარისხოვანი ევროპელი დიდი მწერლის ან მეცნიერის სიმაღლეზე იდგა მისი გამობრძმედილი ინტელექტი, რომელსაც სიბერე ჯერ არ გაჰკარებოდა“.

ნიკოს ცხოვრების მეორე, ასევე უაღრესად საინტერესო მხარეა, რა სარგებლობა მოუტანა მისმა განათლებულობამ სამშობლოს. ამ უგანათლებულესი კაცის გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი ლამის უსასრულოა და ამ ფორმატში ნამდვილად ვერ ჩაეტევა, მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავ: განათლების აუცილებლობის, პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობიანობის ძალიან კარგი მაგალითია თუნდაც ის ცნობილი ფაქტი, რომ ფოთის მშენებლობისას მან არა მხოლოდ ევროპაში იმოგზაურა რვაჯერ, არამედ ჩრდილოეთ აფრიკის თორმეტი საპორტო ქალაქიც მოუნახულებია, რათა თავის ქვეყანაში ერთი პატარა ქალაქისთვის ნავსადგურის სრულყოფილი პროექტი შეედგინა.

მესამე მიმართულებაა, თავად რას აკეთებდა ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებისთვის – როგორ აქცია მეუღლესთან, ოლღა გურამიშვილთან ერთად დიდი ჯიხაიშის სახლი და მამული თავისი შვილებისა და ქართველი ახალგაზრდების განათლების კერად. ნიკოს მიაჩნდა, რომ განათლების მიღება ადრეული ასაკიდანვე იწყება და ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ოჯახის როლი: **„თუ ყმაწვილს გონება თავის ენაზე გახსნილი არა აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება. მშობელი შვილებზე სკოლაში შესვლამდე უნდა ზრუნავდეს, რომ ყმაწვილს თავისი ენა კარგად ასწავლოს, გონება გაუხსნას და სკოლაში მომზადებული მისცეს. საკვირველია, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება ჩვენს საზოგადოებას აქამდე ვერ შეუგნია. ერთი სიტყვით, ვისაც კი სურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნასა და სწავლაში სწორ გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს, სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილთან უფრო ახლოს არიან, მის გრძნობას იზიდავენ და ადვილად შეითვისებიან“.** სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე ის უკვე ხანში შესულიც მუშაობდა თავის შვილთან, რუსუდანთან ერთად, რომელმაც სწორედ მამის ხელმძღვანელობით შექმნა სკოლამდელი აღზრდის სახელმძღვანელო.

სოფელ დიდ ჯიხაიშში თავდაპირველად ნიკომ გახსნა სამწლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ტექნიკუმად გადაკეთდა. მოგვიანებით ოლღამ, რომელსაც ასევე ძალიან კარგი განათლება ჰქონდა მიღებული ევროპაში, აქვე დააარსა ქალთა გიმნაზია და შემოიღო პოლიტექნიკური სწავლება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კი, ნიკოს დიდი ძალისხმევითა და უშუალო ჩართულობით, სოფელში გაიხსნა უმაღლესი დაწყებითი ტიპის სკოლა. სკოლას ხელმძღვანელობდნენ მისი მეუღლე და

ქალიშვილი რუსუდანი, რომელმაც მენდელეევის ლაბორატორიის ნაწილიც კი ჩამოიტანა თურმე ამ სკოლისთვის.

ამ ძალიან მოკლედ თქმულ დიდ საქმეებთან ერთად ის მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა სახალხო სკოლების საკითხს. მიაჩნდა და მოითხოვდა კიდეც, რომ დაწყებითი უფასო განათლების შესაძლებლობა უკლებლივ ყველას მისცემოდა. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უმაღლეს განათლებასაც, წერდა კავკასიის უნივერსიტეტის აუცილებლობაზე, მისი აზრით, თბილისში უნივერსიტეტის გახსნა გიმნაზიაში სწავლის მსურველებს მოტივაციას გაუჩენდა, მათ რიცხვს გაზრდიდა, რადგან კავკასიის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდებოდა უმაღლესი განათლება.

ამ ყველაფერს დავუმატოთ ისიც, რომ ნიკო ძალიან აფასებდა მასწავლებლის პროფესიას, თითოეული მასწავლებლის ამაგს ქვეყნის წინაშე და მიაჩნდა, რომ მასწავლებელს სჭირდებოდა არა კონტროლი, არამედ თანადგომა ზემდგომთა მხრიდან და ღირსეული ანაზღაურება.

ბ) ევროპისა და ევროპული კურსის მნიშვნელობა ქვეყნისთვის

მეორე საკითხი, რომელზეც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა შევაჩეროთ მოსწავლეების ყურადღება, არის ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ევროპის მიმართ და ევროპაში მიღებული გამოცდილების დაკავშირება სამშობლოსთან. ახლა ჩვენი ქვეყანა განვითარების ისეთ ეტაპზეა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რას ნიშნავს ევროპასთან სიახლოვე და ევროპული კურსი. ამ გააზრებას მოზარდ ასაკში თუ არ ჩაეყარა საფუძველი, ფაქტია, მერე ჭირს რაღაცების მკაფიოდ დანახვა.

არტურ ლაისტი, ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი და საქართველოს დიდი გულშემატკივარი, წერდა: **„იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე ჭკვიანი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ. ეს უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით. მან ათეული წლით განსაზღვრა თავისი ერისათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები და ნათელი გონებით განჭვრიტა“.**

ნიკოს ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მას არ უცდია ველოსიპედის ხელახლა გამოგონება. უბრალოდ, ცდილობდა, ევროპაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა. ოღონდ ზედმიწევნით ითვალისწინებდა ეროვნულ ნიადაგს, ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს, ქართველი ხალხის ინტერესებსა და მზაობას. საკუთარი ხალხისა და ქვეყნის კრიტიკული თვალით დანახვაც შეეძლო და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებსაც დაუცხრომლად ეძებდა. მისი ცხოვრების კრედოც ეს იყო – ფეხზე დაეყენებინა ქვეყანა. გააზრებული ჰქონდა, რომ ამაში სწორედ ევროპაში ნანახ-განცდილის გამოყენება დაეხმარებოდა:

„ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მიგვაჩნდეს... ჩვენთვის მეტის მეტათ შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა იმათ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რანაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლად და გასაძლიერებლათ“.

გ) ჟეშმარიტი პატრიოტიზმი – საქმითა და სიტყვით

ევროპისა და ქართველების მისდამი დამოკიდებულების საკითხს პირდაპირ უკავშირდება ცნება, რომელიც ასევე სულ ცოცხალია, სხვადასხვა კუთხით ვატრიალებთ, ხან გაცვეთილი გვეჩვენება, ხან ყალბი, ხან დრომოჭმული, ხან გადაჭარბებული და, მიუხედავად ამისა, არავინ დავობს, რომ ძალიან საჭიროა: პატრიოტიზმი – საკუთარი ქვეყნის უანგარო და ჯანსაღი სიყვარული. ჩემი აზრით, ნიკო ნიკოლაძე თავისი ოჯახით სწორედ პატრიოტიზმის თვალსაჩინო მაგალითია.

„მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არ მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი,

შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავათ თუ კარგათ, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, როგორც ჩვენი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამულე და ძმა, როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი, ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურღის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებისავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო, შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა... სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული, ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი".

ეს სიტყვები მხოლოდ მას შემდეგ წავუკითხე მოსწავლეებს, რაც ნიკოს საქმეები ასე თუ ისე კარგად გაიცნეს, ამიტომ არცერთს არ გასჩენია განცდა, რომ ამ ვრცელი ციტატის რომელიმე სიტყვა, რომელიმე ფრაზა გადაჭარბებული იყო, მით უმეტეს – ყალბი. დამაფიქრებელი აღმოჩნდა მოზარდებისთვის იმის დანახვა, როგორ დაბრუნდა საქართველოში კაცი, რომელსაც ევროპაში უკვე დამკვიდრებული ჰქონდა ადგილი, გარკვეულ წრეებში სახელიც მოეხვეჭა და სიტყვაც ეთქმოდა, მერეც არაერთხელ ჰქონია წასვლის შანსი, მიდიოდა კიდეც, მაგრამ აუცილებლად ბრუნდებოდა, რათა თავისი პატარა, დაჩაგრული, თავისუფლებაწართმეული ქვეყნისთვის ხელი წაეკრა, ფეხზე დადგომაში დახმარებოდა.

თანამედროვე საქართველოში ძალიან მტკივნეულია ემიგრაციის თემა, მტკივნეული და თან უკიდურესად სათუთი. რეალობა ასეთია: ძალიან ბევრი ბავშვი იზრდება მშობლებისგან შორს, რადგან ისინი იძულებული გახდნენ, ისევ შვილების კეთილდღეობისთვის, ამდგარიყვნენ და გაურკვეველი დროით საზღვარგარეთ წასულიყვნენ სამუშაოდ – სანამ შვილებს დასჭირდებოდათ. შვილებს კი მუდმივად სჭირდებათ. მეორე მხრივ, ახალგაზრდების უმრავლესობას სურს და ცდილობს კიდეც, საზღვარგარეთ მიიღოს განათლება. თავისთავად ეს ფაქტი, ჩემი აზრით, ძალიან კარგია. ხარისხიანი განათლება აუცილებელია უფრო და უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში. მაგრამ გულსატკენია ის, რომ თითქმის არცერთი მათგანი არ გეგმავს დაბრუნებას, ან მხოლოდ შორეულ მომავალში განიხილავს და ძნელია შეეკამათო, რადგან ყველას აქვს უფლება, იმუშაოს ადამიანურ პირობებში და მიიღოს საკუთარი შრომით ადამიანური ცხოვრებისთვის საკმარისი ანაზღაურება. ამ რეალობაში იმის გაცნობა, თუ როგორ მოახმარა ნიკო ნიკოლაძემ თავისი ნიჭი, განათლება და გამოცდილება ქვეყანას, ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრებაც, თავისი შვილებიც რა გეგმაზომიერად, წინასწარი გათვლით ჩააყენა საკუთარი ქვეყნის სამსახურში. სადაც ყველაზე მეტად უჭირდა, რომელი სფეროს განვითარებაც უკეთ დაეხმარებოდა ქვეყანას, სწორედ იმ სფეროს მიმართ გაუჩინა ინტერესი, იმათაც საზღვარგარეთ მიაღებინა უმაღლესი განათლება, მაგრამ ისინიც დაბრუნდნენ და თავიანთი ცოდნა-გამოცდილება მაქსიმალურად მოახმარეს სამშობლოს. გიორგიმ უდიდესი წვლილი შეიტანა მეტალურგიის ჩამოყალიბება-განვითარებაში, თავისი სათქმელი თქვა მათემატიკაში. მის სახელს უკავშირდება სპორტის თითქმის ყველა სახეობის განვითარება თავისი სპორტული საზოგადოებით, „შავარდენით". ის მიიჩნევა საქართველოში ალპინიზმის ფუძემდებლადაც.

ასევე მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდა რუსუდანი. 1909 წელს პეტერბურგის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა, მერე კი - პეტერბურგის უნივერსიტეტი ფიზიკა-ქიმიის განხრით. იქვე განაგრძო სამეცნიერო მუშაობა. ის იყო პირველი ქალი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, აიღო დიპლომი და მოიპოვა უფლება, ეტარებინა ე.წ. „საუნივერსიტეტო ნიშანი", რომელსაც მანამდე მხოლოდ მამაკაცები ატარებდნენ. გარდა პეტერბურგისა, მან არაერთ ევროპულ უნივერსიტეტში მოისმინა ცნობილ მეცნიერთა ლექციები.

ხარისხიანი განათლება აუცილებელია უფრო და უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში. მაგრამ გულსატკენია ის, რომ თითქმის არცერთი მათგანი არ გეგმავს დაბრუნებას, ან მხოლოდ შორეულ მომავალში განიხილავს და ძნელია შეეკამათო, რადგან ყველას აქვს უფლება, იმუშაოს ადამიანურ პირობებში და მიიღოს საკუთარი შრომით ადამიანური ცხოვრებისთვის საკმარისი ანაზღაურება.

იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ჩეხური ენები. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, ჯერ დიდ ჯიხაიშში მშობლების მიერ წამოწყებულ საგანმანათლებლო საქმეებს ხელმძღვანელობდა, უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ კი არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრას ჩაუდგა სათავეში. მან ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ე.წ. შრომის სკოლებისა და საბავშვო ბაღების განვითარებაში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამის ხელმძღვანელობით შექმნა სკოლამდელი აღზრდის სახელმძღვანელოც. გიორგისთან ერთად მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკურ, მათემატიკურ და სპორტულ ტერმინთა ლექსიკონებზე.

მესამე შვილიც, თამარიც, მხარში ედგა თავის დაძმას საქვეყნო საქმეებში. ის იყო ერთ-ერთი პირველი სპორტსმენი ქალი, პროფესიით ფიზიოლოგი.

პარადოქსივით გამომივა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულზე, მის სამსახურზე საუბარი მისალმებით უნდა დავასრულო, რომელიც თურმე ოლღა გურამიშვილმა მოიფიქრა. ასე ესალმებოდა შვილებს და მერე პირველი სპორტული საზოგადოების, „შევარდენის“, წევრთა უცვლელ მისალმებადაც დამკვიდრდა:

– გუშაგობ ერს?
– მარად!

არ მეგულება ამაზე უფრო მრავლისმთქმელი, გულში ჩამწვდომი მისალმება. ჩემი მოსწავლეებიც დამეთანხმნენ.

„თავიდან, როცა ამ კაცის საქმეების შესახებ გავიგე, სახელიც არ ვიცოდი მისი. გაგების შემდეგ ჯერ გამიკვირდა, შემდეგ კი გავბრაზდი, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი კაცი, რომელსაც ილიაზე ნაკლები დამსახურება არა აქვს ქვეყნისთვის, სახელმძღვანელოშიც კი არ არის შეყვანილი. ახლა კი ვკითხულობ მის ციტატებს და ვხედავ, რამდენად სწორად და თანამედროვედ ფიქრობს ეს ადამიანი. ის ისეთ პრობლემებს ეხება, რომლებიც ახლაც კი მოუგვარებელია“.

„ნიკომ ყველაფერი გააკეთა საქართველოსთვის. უდიდესი შრომა და ღვაწლი ჩადო, რათა აქამდე მოვსულიყავით, სადაც ახლა ვართ. მისი შრომა ნამდვილად დასაფასებელია და უნდა ვაღიარო, ამიერიდან ის ჩემი ფავორიტი ადამიანია. თითოეულმა ქართველმა უნდა იცოდეს მის შესახებ“.

„ნიკო ნიკოლაძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანია, ვის შესახებაც ყველა ჩემმა თანატოლმა უნდა იცოდეს“.

ეს ამონარიდებია მეთერთმეტეკლასელების ნაწერებიდან.

როგორც აღვნიშნე, ნიკო ნიკოლაძით შეპყრობილს, სინდისი მქენჯნიდა, რომ ჩემს მოსწავლეებთან აქამდე არ მესაუბრა მასზე. ახლა მეთერთმეტე კლასში არიან, XIX საუკუნის ლიტერატურა უნდა შეისწავლონ სტანდარტის მიხედვით, ამიტომ ვიფიქრე, რომ ზუსტად ჩაჯდებოდა კონტექსტში ნიკო ნიკოლაძის გაცნობა.

აქტივობა N1 – თავდაპირველად ჯგუფური სამუშაო ჩავატარე, დავავალე, ერთად გაეხსენებინათ ყველაფერი, რაც მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოზე იცოდნენ. გაკვეთილზე კარგად გამოჩნდა, რაზე უნდა გაეგოთ მეტი. მერე დაფაზე ჩამოვწერეთ სფეროები. მაგალითად: ლიტერატურა, არქიტექტურა, მოდა, ტრანსპორტი, სპორტი, მეცნიერება. მოსწავლეებმა აირჩიეს მათთვის სასურველი სფერო (ოღონდ ისე, რომ ყველა სფეროს „გამოუჩნდა პატრონი“). დავავალე, არჩეულ თემაზე საინტერესო ფაქტები მოეძებნათ, ოღონდ განსაზღვრულ – XIX საუკუნის არეალში, და პარალელი გაევლოთ მსოფლიო სიახლეებსა და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს შორის. თან მაინტერესებდა, დაგუგლვისას ნიკო ნიკოლაძეზე თუ წააწყდებოდნენ რამეს. მეორე გაკვეთილი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, რადგან მოსწავლეების მიერ შეკრებილი ცნობების წყალობით სიახლეებით სავსე მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიოსა და საქართველოს კონტურები უფრო მკაფიოდ დავინახეთ. ნიკო ნიკოლაძე არავის უხსენებია.

აქტივობა N2 – გაკვეთილზე მივიტანე ფოტოებით აწყობილი პრეზენტაცია **(იხ. დანართი N1)** ნიკო ნიკოლაძის შესახებ. გადაწყვეტილი მქონდა, მთელი გაკვეთილი მის საქმეებზე საუბრისთვის დამეთმო. „დღეს მე უნდა გესაუბროთ ადამიანზე, რომელსაც „ულმობელი საქმის კაცი“ უწოდეს...“ დავიწყე მარტივი, მაგრამ მოზარდებისთვის ავთენტური კონტექსტებით:

ეს იყო კაცი, რომელმაც... საქართველოში პირველი „სელფი“ გადაიღო! (პირველივე ფოტომ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. გამოცოცხლდნენ. ამას მოვაყოლე საუბარი იმაზე, როგორ იყო გატაცებული ნიკო ნიკოლაძე ფოტოგრაფიით და რამდენიმე ნიმუშიც ვაჩვენე).

ეს იყო ადამიანი, რომელმაც... 1889 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენიდან პირველი ველოსიპედი ჩამოიყვანა საქართველოში.

ეს იყო პირველი ქართველი, რომელმაც დოქტორის ხარისხი ევროპაში მიიღო – ციურიხში, 1868 წელს.

ეს იყო პიროვნება, რომლის ორგანიზატორობითა და უშუალო მონაწილეობით ქართველი ქალები პირველად გაემგზავრნენ ევროპაში სასწავლებლად.

ეს იყო პიროვნება, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში და თავად შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ეს იყო კაცი, რომლის ინიციატივით ამიერკავკასიაში პირველი რკინიგზა გაიყვანეს, რომელმაც ფოთის პორტი ააშენა და ა.შ.

შემდეგ დავიწყე სხვა საქმეების ჩამოთვლა, ოღონდ სახელი და გვარი არ მითქვამს. ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა პრეზენტაცია, რადგან, ჯერ ერთი, ვერ წარმოიდგინეს, რომ შესაძლებელი იყო, ამდენი რამ ერთ ადამიანს გაეკეთებინა, მეორე – ვინაობის დამალვამ და ინტრიგის შენარჩუნებამ სხვა ელფერი მისცა გაკვეთილს. ბოლოს გაიგეს, ამ კაცს ნიკო ნიკოლაძე რომ ერქვა. მერე გეგმა გავაცანი და ვუთხარი, რომ მთელ კვირას მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობას დავუთმობდით. გეგმა ასეთი იყო:

- ნიკო ნიკოლაძის გაკეთებული საქმეების გაცნობა;
- ნიკო ნიკოლაძის ოჯახზე საუბარი;
- ნიკო ნიკოლაძე – განმანათლებელი;
- ნიკო ნიკოლაძე და ქალთა უფლებები;
- ნიკო ნიკოლაძე და ევროპა;
- ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმისა და ფოთის მონახულება;
- „რა? სად? როდის?“ თამაში.

აქტივობა N3 – მოსწავლეებს დავავალე, მოეძებნათ საინტერესო ცნობები ნიკო ნიკოლაძის ოჯახის წევრების შესახებ. პარალელურად მეც მოვამზადე პრეზენტაცია **(იხ. დანართი N2)** ნიკოს მეუღლისა და შვილების საინტერესო საქმეებზე. ბევრი რამ უკვე

ნანახი და დამუშავებული ჰქონდათ, მაგრამ რაღაცების დამატება მაინც დასჭირდათ, თან ფოტომასალამ უფრო გაამრავალფეროვნა გაკვეთილი.

აქტივობა N4 – შემდეგი აქტივობა საშინაო დავალება იყო. ნიკო ნიკოლაძის ციტატების მიხედვით უნდა დაეწერათ ესე მის შესახებ. **(იხ. დანართი N3)**

დავალება: ნიკო ნიკოლაძის ნაა ზრევის მიხედვით ესეს დაწერა, რომელიც დაახასიათებს მის პიროვნებას.

წაიკითხე ქვემოთ მოცემული ამონარიდები, რომლებიც სხვადასხვა თემას ეხება და მხოლოდ მათ მიხედვით დაწერე ნიკო ნიკოლაძის დახასიათება:

- *ისაუბრე, რომელ თემებს ეხება ეს ამონარიდები და ახსენი, რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს მოცემული საკითხების მიმართ ავტორი;*
- *იმსჯელე, ნიკო ნიკოლაძის რომელი თვისებები იკვეთება ამონარიდებში. შენი თვალსაზრისი ციტატებით დაასაბუთე.*
- *დაიცავი ესეს სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.*

აქტივობა N5 – ამის შემდეგ მოსწავლეებს წავაკითხე გულნაზი კაკაბაძის სტატია „ნიკო ნიკოლაძე – განმანათლებელი", ოღონდ შემოკლებული და ადაპტირებული ვერსია. სკოლაში კი ჯგუფებში უნდა ემუშავათ და მნიშვნელოვანი ინფორმაცია წინასწარ გამზადებულ სქემაში გადაეტანათ **(იხ. დანართები N4, N5)**.

აქტივობა N6 – გაკვეთილზევე ერთად წავიკითხეთ გიორგი ფანცულაიას სტატია „ნიკო ნიკოლაძე და ქალთა უფლებები" და გავმართეთ დისკუსია. ვიმსჯელეთ იმაზე, ერთი მხრივ, ჰქონდათ თუ არა სრულფასოვანი განვითარების საშუალება ნიკო ნიკოლაძის ოჯახის ქალებს, მეორე მხრივ კი რამდენად აქტუალურია XXI საუკუნეში ამ სტატიაში წამოჭრილი საკითხები, რამე თუ შეიცვალა ან გაუმჯობესდა ამ კუთხით. ამავე საკითხს დავუკავშირეთ და ვისაუბრეთ ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულებაზე ევროპის მიმართ და დღევანდელი საქართველოს მნიშვნელოვან გამოწვევებზე **(იხ. დანართი N6)**.

რა თქმა უნდა, ამ მასალების დამუშავებით არ ამოწურულა საინტერესო თემები, რომლებზე საუბარიც კარგი იქნებოდა მოსწავლეებთან, მაგრამ არც ის მინდოდა, პროექტი მეტისმეტად გაწელილიყო და მობეზრებოდათ, ამიტომ დავავალე, უკვე დამუშავებული, გააზრებული სტატიების, ამონარიდების, მოძიებული ინფორმაციის მიხედვით თითოეულს მოემზადებინა „რა? სად? როდის?" თამაშის ტიპის 2-3 კითხვა. მსგავსი კითხვების მოფიქრება მარტივი არ არის, საკმაო გამოცდილებას მოითხოვს. მოსწავლეებმა კითხვები გამომიგზავნეს, მე კი სლაიდებზე გადავიტანე. ისე გავაკეთე, რომ პარალელურ კლასებს ერთმანეთის კითხვებზე ეთამაშათ. თან ითამაშეს, თან განვიხილეთ, რომელი კითხვები შეესაბამებოდა სრულად თამაშის ფორმატს – ეს უკვე **მე-7 აქტივობა** იყო და დამაგვირგვინებელი შეხვედრისთვის ვემზადებოდით. უნდა მოგვენახულებინა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, იქ გაგვემართა თამაში ფოთის ერთ-ერთი სკოლის გუნდთან, რომლის წევრებმაც, თავიანთი ქართულის მასწავლებლის დახმარებით, ზუსტად ის გზა გაიარეს, რომელიც ჩემმა მოსწავლეებმა. თამაშისთვის ამჯერად მე მოვამზადე კითხვები, რომლებიც მოიცავდა როგორც შესწავლილ მასალას, ისე იმ ინფორმაციასაც, რომელსაც მოზარდები სახლ-მუზეუმში მიიღებდნენ (ამის შესახებ ისინი წინასწარ გავაფრთხილე, რათა უფრო აქტიურ მსმენელებად მექცია) **(იხ. დანართი N7)**.

სახლ-მუზეუმის დირექციის გულითადი მასპინძლობისა და დიდი ხელშეწყობის წყალობით, ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა. მოზარდებმა ძალიან ისიამოვნეს აზარტული თამაშით, მუზეუმის სტუმრების ყურადღებაც მიიპყრეს და ისედაც საინტერესო სახლ-მუზეუმი ლამის ჯადოსნურ ადგილად იქცა მათთვის.

თამაშის შემდეგ მოვინახულეთ ფოთიც. დიდი ნიკოს მიერ დაგეგმარებულმა ამ პატარა, სუფთა ქალაქმა, ნავსადგურმა, შუქურამ, ნიკო ნიკოლაძის მიერ რესტავრირებულმა კოშკმა და აშენებულმა ულამაზესმა ტაძარმა საოცარი ემოციებით აგვავსო.

სტატიას ვურთავ ნიკო ნიკოლაძის ჩეტბოტის პირველად ვერსიას. შემთხვევით აღმოვაჩინე ინტერნეტში, რომ სტუდენტების ჯგუფი მუშაობდა. შემდეგ ქალბატონმა რუსუდან უტიაშვილმა ეს ბმულიც მომაწოდა. მართალია, ჩეტბოტი ჯერ კიდევ დასახვეწია, მაგრამ მოსწავლეებისთვის მაინც საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა: **https://nikonikoladze.org.ge/?fbclid=IwAR1MxmXdMul2j71R3T72LRR6cQl1tF-DokG9cblLYi9UW7TFjWBRXDlKGbo**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკაკი ბაქრაძე, თხზულებანი. ნიკო ნიკოლაძე. I ტომი, თბილისი, 2004 წ.
2. „ნიკო ნიკოლაძე – ადამიანი, რომელმაც გაუსწრო დროს". რესპონდენტი – ნიკო ნიკოლაძის მკვლევარი, პროფესორი დალი ჩიკვილაძე https://www.marketer.ge/niko-nikoladze/
3. გულნაზი კაკაბაძე, „ნიკო ნიკოლაძე – განმანათლებელი" https://scroll.ge/34729/gulnaz-kakabadze-niko-nikoladze-ganmanathlebeli/?utm_source=rss&utm_medium=rss&utm_campaign=gulnaz-kakabadze-niko-nikoladze-ganmanathlebeli
4. ანა ფიცხელაური, „ნიკო ნიკოლაძე – კაცი, რომელმაც გაუსწრო დროს" https://www.forbeswoman.ge/post/nikoladze
5. ვაჟა შუბითიძე, „ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში" https://for.ge/view/22384/niko-nikolaZis-adgilisaTvis-qarTuli-politikuri-azrovnebis-istoriaSi.html

ლელა კოტორაშვილი

გავაცოცხლოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისადმი ყველა საფეხურის მოსწავლეები ერთნაირად დიდ ინტერესს იჩენენ. სავარაუდოდ, ძიების პროცესი მოსწონთ. რაც ლექსიკონისადმი ბავშვების უჩვეულო ცნობისმოყვარეობა შევამჩნიე, მას შემდეგ უფრო აქტიურად ვიყენებ მას საგაკვეთილო პროცესში.

კელაპტარი, სარკმელი, დოლაბი, მოვი, წყვდიადი, კეკლუცი, ჭოროხი, ლეში, ორბი – ეს სიტყვები ქართულ ხალხურ ბალადა „თავფარავნელ ჭაბუკში“ გვხვდება. ლექსის წაკითხვამდე უცნობი სიტყვები დაფაზე ჩამოვწერე და მოსწავლეებს თითოეული მათგანის შესახებ ვესაუბრე. ტექსტის შესწავლამდე ლექსიკაზე მუშაობა მნიშვნელოვანი და საჭირო ეტაპია. სხვაგვარად ტექსტის გაგება-გააზრება შეუძლებელია, განსაკუთრებით – თანამედროვე სამყაროში, სადაც სიტყვათა მარაგი უფრო და უფრო მწირი ხდება. მაგალითად, ჩემთვის გასაკვირი იყო იმის აღმოჩენა, რომ ორი მეშვიდე კლასიდან არცერთმა ბავშვმა არ იცოდა „ორბის“ მნიშვნელობა. ისიც კი არ გაეგონათ, რომ ორბი ფრინველია. ამ შემთხვევამ მიბიძგა, ლექსიკონზე მუშაობის პროცესისთვის კიდევ უფრო მკაფიო სახე მიმეცა.

ჩემი დაკვირვებით, ქალაქში მცხოვრებმა მოზარდებმა არ იციან მცენარეების, ცხოველების, ფრინველების სახელები. მაგალითად, არ იციან, როგორია ალვის, ვერხვის, წიფლის, ცაცხვის ხეები... მწირი ლექსიკური მარაგის შესახებ ხშირად ვწერ, თუმცა სიტყვების დავიწყების ტემპი კიდევ უფრო აჩქარდა. ახალ სიტყვებსა და ტერმინოლოგიაზე მუშაობა ყველა საგნის მასწავლებელმა უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს, რათა სიტყვათა მნიშვნელობის არცოდნა საგნის მიმართ გულაცრუების მიზეზად არ იქცეს.

მოგიყვებით, როგორ ვაქციე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ჩემი მოსწავლეებისთვის ცნობისმოყვარეობის აღძვრისა და სიტყვებისადმი დადებითი განწყობის შექმნის მთავარ რესურსად.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისადმი ყველა საფეხურის მოსწავლეები ერთნაირად დიდ ინტერესს იჩენენ. სავარაუდოდ, ძიების პროცესი მოსწონთ. რაც ლექსიკონისადმი ბავშვების უჩვეულო ცნობისმოყვარეობა შევამჩნიე, მას შემდეგ უფრო აქტიურად ვიყენებ მას საგაკვეთილო პროცესში.

ლიტერატურა სიტყვათა საბადოდ იქცა და ყოველი ტექსტიდან ოქროსავით ამობრწყინდება ხოლმე ახალი სიტყვები. მყისიერად გადავინაცვლებთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელსაც ხშირად კლასიდან კლასში დავატარებ. გაკვეთილზე რამდენიმე სიტყვის მოძებნასა და განმარტების რვეულში ჩანიშვნას ვასწრებთ.

ლექსიკონზე მუშაობის მეთოდების გაცნობას (ანბანის მიხედვით ძებნა, სიტყვაში ასოთა თანმიმდევრობაზე დაკვირვება) გარკვეული დრო სჭირდება. გამოსაძახებელი ჩხირებით ვარჩევ წყვილს და სხვა აქტივობების (ძირითადად – ხმამაღალი კითხვის) პარალელურად ისინი სიტყვას ეძებენ. შემდეგ პაუზის დრო დგება და მოძებნილი სიტყვის განმარტებას დაფაზე ვწერთ. ასე თანდათან მთელი კლასი სწავლობს ძიების მეთოდებს და სიტყვის მოსაძებნად საჭირო დროც მცირდება.

ლექსიკონზე მუშაობა მეოთხე კლასში დავიწყეთ. ზოგჯერ გამადიდებელ შუშასაც ვიყენებთ. სიტყვების ძებნა დღესასწაულად იქცა.

ამჯერად გთავაზობთ საბალისო მიგნებას, კერძოდ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოძებნილი სიტყვების სურათებად გაცოცხლებას მობილური ტელეფონის

ეკრანზე. განსაკუთრებით გვახალისებს მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების განმარტებები, რადგან თითოეული მათგანის გასწვრივ ლათინური სახელწოდება წერია და მოუთმენლად ველოდებით, როგორ გაცოცხლდება სიტყვა ეკრანზე.

ორბი [Gyps] – მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი მტაცებელი ფრინველი – ამგვარად არის განმარტებული ორბი ლექსიკონში. Google-ის საძიებო ველში ვწერ სიტყვის ლათინურ სახელწოდებას [Gyps] და ეკრანზე გამოსახულ ფოტოებს მოსწავლეებს სათითაოდ ვაჩვენებ.

ალვა [Populus pyramidalis] – მაღალი ხე, აქვს პირამიდული ვარჯი.

პანტა [Pyrus caucasica] – ტყის მსხალი.

წიფელი [Fagus] – მსხვილი, მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; აქვს ნაცრისფერი ქერქი; ისხამს ზეთოვან ნაყოფს (წიწიბოს).

ჩიტბატონა [Carduelis carduelis] – ჭრელი მგალობელი ჩიტი.

კუნელი [Crataegus] – მორჩილი ხე ან ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახისა; აქვს ეკლიანი ტოტები და მეტწილად შავი ნაყოფი.

მურყანი [Alnus] – საშუალო სიმაღლის ან მაღალი ხე არყისებრთა ოჯახისა. აქვს მომრგვალო ფოთლები და მთრიმლავი ნივთიერების შემცველი მერქანი. სინონ. თხმელა.

წნორი [Salix alba] – ტირიფის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა. „განელებული კოცონი“.

აკაცია [Acacia] – მერქნიანი მცენარე. ისხამს პატარა თავებად შეკრულ ყვითელ ან თეთრ ყვავილებს.

ჩხიკვი [Carrulus glandarius] – გარეული ფრინველი ბეღურასნაირთა ოჯახისა. აქვს ფერადზოლიანი ფრთები. სინონ. ჯაფარა.

ბუერა [Petasites] – მრავალწლოვანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა; აქვს დიდი, მომრგვალო, გრძელყუნწიანი ფოთლები.

შაშვი [Tiurdus] – შავი ან ჭრელი მგალობელი ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა.

ალვა, პანტა, წიფელი, ჩიტბატონა, კუნელი, მურყანი, წნორი, აკაცია, ჩხიკვი, ბუერა, შაშვი – ეს სიტყვები V-VII კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებშია გაბნეული. გთავაზობთ რამდენიმე იდეას, თუ როგორ შეიძლება მცენარეების, ცხოველების, ფრინველების სახელებზე მუშაობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით:

- წინასწარ მოვიძიოთ სიტყვები ლათინური შესატყვისების მიხედვით და ფოტოები ცხრილში მოვათავსოთ, დავურიგოთ მოსწავლეებს და ვთხოვოთ, ნახატებს სიტყვები შეუსაბამონ, მერე კი წყვილებად დაყოფილ კლასს ლექსიკონში მოვაძებნინოთ თითოეული მათგანის განმარტება.
- გამოვიყენოთ მოსწავლეთა მობილური ტელეფონები, დაფაზე დავწეროთ სიტყვის ლათინური შესატყვისი და საძიებო ველში ჩაწერა ვთხოვოთ.
- შეიძლება Youtube-ის გამოყენებაც, იქ ძალიან საინტერესო მასალები მოიძებნება, მაგალითად, Youtube-ის საძიებო ველში სიტყვა Tiurdus-ის (შაშვის) ჩაწერისას შაშვის გალობის ჩანაწერს გადავაწყდებით.
- ჩვენ მიერ მოძიებული სიტყვების მიხედვით ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებაც საინტერესო იქნებოდა.

ლიტერატურა სიტყვათა საბადოდ იქცა და ყოველი ტექსტიდან ოქროსავით ამობრწყინდება ხოლმე ახალი სიტყვები. მყისიერად გადავინაცვლებთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელსაც ხშირად კლასიდან კლასში დავატარებ. გაკვეთილზე რამდენიმე სიტყვის მოძებნასა და განმარტების რვეულში ჩანიშვნას ვასწრებთ.

ახალი სიტყვების დასამახსოვრებლად მათი მნიშვნელობის გაგება საკმარისი არ არის, ამიტომ სიტყვების მოძიების შემდეგ მოსწავლეებს რამდენიმე აქტივობა უნდა შევთავაზოთ, მაგალითად:

- სიტყვების გამოყენებით აბსურდული წინადადებების შედგენა;
- პატარა ამბის მოფიქრება;
- სიტყვის ლოტო;
- მოკლე ხანში რაც შეიძლება მეტი სიტყვის დამახსოვრება და შეჯიბრება;
- სიტყვების დახატვა-გამოძერწვა;
- სიტყვის რუკის შევსება;
- უმცროსკლასელთათვის ხელნაკეთი ლექსიკონის შედგენა;
- სიტყვების მიხედვით განძის ძიება.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობის მთავარ პერსონაჟს, ეთერს, სკოლისკენ მიმავალ გზაზე

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

კაფკა და მთავარი კითხვები

პანდემია დაიწყო და ჩემი ორივე მოსწავლე საგონებელში ჩავარდა – როგორ უნდა გაგვეგრძელებინა ინგლისურის გაკვეთილები? მე არ ვდარდობდი – წლების განმავლობაში იმდენი ცოდნა დაეგროვებინათ, ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულის მიღება, წესით, არ უნდა გასძნელებოდათ.

მაგრამ მაინც. მაგრამ მაინც.

ნინის, ჩემს ძმისშვილს, ვუთხარი, ტესტების ნიმუშებზე მუშაობა და ლიტერატურული ტექსტების კითხვაც საკმარისი იქნება, დისტანციური ფორმა ვცადოთ-მეთქი. და მერო, კარის მეზობელი და შვილობილი, რომელსაც საბავშვო წიგნების შემდეგ აღარაფერი წაეკითხა, როგორ უნდა დამეთანხმებინა? დაეზარებოდა, ამ გზაზე არ გამომყვებოდა.

ძალიან მოვინდომებ, რომ ცნობისმოყვარეობა ორივეს გავუღიზიანო-მეთქი, გავიფიქრე.

ისეთი მწერალი უნდა შემერჩია, სამყაროზე მათ წარმოდგენას რომ შეარყევდა, ერთსა თუ მეორეს საფიქრალ-სადარდებელს რომ არ გამოულევდა. დიდი ხნის წინანდელ ნატვრას ავისრულებდი და ინგლისურის გაკვეთილებს ლიტერატურის გაკვეთილებად გადავაქცევდი, მოსწავლეებს ჩემი კონტინენტის სიღრმეში შემოვიტყუებდი, ჩემს მდინარეებს, მთა-გორებს, ველ-მინდვრებს ვაჩვენებდი.

მარკ სტრენდი, ჯონ მაქსველ კუტზეე, ელის მანრო...

კითხულობდნენ და ხმამაღლა თარგმნიდნენ. როცა თარგმნა უძნელდებოდათ, უცნობ სიტყვებსა თუ იდიომებს აწყდებოდნენ, წაკითხულიდან აზრი ვერ გამოჰქონდათ, რა თქმა უნდა, ვეხმარებოდი. ოღონდ მაინც ვცდილობდი, ხშირად არ შემეწყვეტინებინა, ძებნისა და პოვნის შესაძლებლობა მიმეცა. როცა ბოლო გვერდს მიადგებოდნენ და ბოლო აბზაცსაც ჩაამთავრებდნენ, ლაპარაკის საღერღელი ბუნებრივად აეშლებოდათ ხოლმე. თავისასაც ამბობდნენ და მეც მეკითხებოდნენ – რას ფიქრობო?

კითხვებს ვსვამდით და პასუხებს ერთმანეთს ვადარებდით, წონას, გამძლეობას ვუმოწმებდით.

მერო მთხოვდა, მეტი წავიკითხოთ, მოთხრობა სამ ნაწილად კი არა, ორად გავყოთო. მოსწონდა ახალ მიწაზე სიარული, თუმცა თავს მაინც არ უტყდებოდა, ლიტერატურა შემიყვარდაო. სამგანზომილებიანი სათამაშო სივრცეების შექმნაზე ოცნებობდა და მხოლოდ ვირტუალური სამყაროს მშვენიერებას, მისი წესებისა და კანონების დიდებულებას აღიარებდა.

ნინი ფსიქოლოგი უნდა გამხდარიყო. ფიქრობდა, რომ წლების შემდეგ სინამდვილე წყალივით დაიწმინდებოდა, გაურკვევლობის ნისლი გაიფანტებოდა, ბოლოს კი დასანახსაც დაინახავდა. უნდოდა, ყველა გადაერჩინა, ვინც კი მის სიახლოვეს შეჩერდებოდა.

დავაპირე, მეთქვა, რასაც ფსიქოლოგიაში ეძებ, ლიტერატურაში იპოვი, გამომყევი და ცოტა ხანი მაინც გაატარე იქ, სადაც სიტყვა ცა და მიწა, წყალი და პურია-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ სიმართლის დრო ჯერ არ დამდგარიყო.

მერე კაფკა გამახსენდა. იზოლაციის თვეებში „მეტამორფოზაზე“ უკეთესს რას წაიკითხავდნენ. ინგლისურ თარგმანს სწრაფად მივაგენი, თუმცა სანამ წასაკითხად მივცემდი, მწერლის დღიურებისა და შეყვარებულისთვის მიწერილი წერილების ნაწყვეტები გავუგზავნე – ახალ კარზე დაკაკუნების სურვილის გასაჩენად და საამისო გამბედაობის მოსაკრებად.

რა თქმა უნდა, პირველმა წინადადებამ მკითხველებს თავბრუ დაახვია, გრეგორ ზამზამ მათ საწოლებში გადაინაცვლა, მათი ოთახების კედლებზე დაიწყო ცოცვა.

გატაცებით თარგმნიდნენ. აღარც საგამოცდო ტესტები ახსოვდათ და აღარც ის, რომ კარგ უნივერსიტეტებში მოსახვედრად მაღალი ქულები უნდა მიეღოთ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მიიღებდნენ.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორ გზაზე იდგნენ.

მომდევნო თვეებში კაფკას ისე ხშირად ახსენებდნენ, მივხვდი, მათთვისაც ძალიან ძვირფასი გამხდარიყო. თითქოს შეიცვალნენ კიდეც – უფრო მგრძნობიარე და ყურადღებიან ადამიანებად იქცნენ. ან უფრო მეტი სილუეტი გაარჩიეს სამყაროს სურათში და მთავარ კითხვებამდე დარჩენილი მანძილიც შეამოკლეს.

ნინო ლომიძე

ნოველა – ამოფრქვევა

რა არის ჟანრი? როგორ ასხვავებენ ერთ ლიტერატურულ ჟანრს მეორისგან? როგორ უნდა ავუხსნათ მოსწავლეებს სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკა?

საუკეთესო გზაა დაკვირვების საფუძველზე დასკვნების გამოტანა, მერე კი – შეჯერება არსებულ თეორიასთან.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოებში ეს პრინციპი მეტწილად დარღვეულია – ჯერ მოწოდებულია თეორია, რომელშიც განმარტებულია ამა თუ იმ ჟანრის სპეციფიკა, მერე კი ტექსტი და მოსწავლემ წინდაწინ იცის, რომ კითხულობს მოთხრობას, ნოველას, იგავს, იგავ-არაკსა თუ მინიატურას.

გაცილებით საინტერესო და ეფექტიანია შემდეგი მეთოდი: მოსწავლეებს ვთავაზობთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს, წინასწარ მომზადებულ კითხვებს, ვთხოვთ, დააკვირდნენ ტექსტების ფორმას, შინაარსს, თავისებურებებს, განსხვავებებსა და მსგავსებებს და თავად გამოიტანონ დასკვნები.

ამ მეთოდს ვიყენებ მცირე და უძველესი ჟანრების ახსნისას, როდესაც იგავის, იგავ-არაკისა და მინიატურების, ზღაპრისა და მითების ჟანრობრივი თავისებურებების განმარტება გვჭირდება. ამავე მეთოდს ვიყენებ ნოველისა და მოთხრობის ჟანრის განსაზღვრისას.

მე-12 კლასის საპროგრამო მასალა ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელია. დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვლის“ გაცნობისას შეიძლება, ჟანრს საგანგებო ყურადღება დაეთმოს, ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის „შელოცვა რადიოთი“ შესწავლის შემდეგ კი ჟანრის სპეციფიკის ამოცნობა საინტერესო სამუშაო იქნება.

დავით კლდიაშვილის მოთხრობის შესწავლის შემდეგ და ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის შესწავლამდე შუალედი საუკეთესო დროა ჟანრობრივი თავისებურებების გასამიჯნავად, დაკვირვებისთვის, აღმოჩენებისთვის.

თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ მსგავსებაზე – ნოველაც და მოთხრობაც საშუალო ზომის ტექსტებია. დინამიკური თხრობა, მოვლენების თანმიმიდევრული განვითარება, სიუჟეტი, პერსონაჟების განვითარება – ეს ყველაფერი ორივეგან გვხდება.

დავსვათ კითხვები:

- რომელ ტექსტშია უფრო სრულად, მთლიანად გამოხატული გმირის/პერსონაჟების ცხოვრება და ხასიათი?
- რომელი ნაწარმოები გამოირჩევა ლაკონიური თხრობის სტილით? რომელს მეტად ახასიათებს დეტალური აღწერა?
- რომელია მეტად კონცენტრირებული, ფოკუსირებული მთავარ გმირზე, მის ამბავსა და შინაგან სამყაროზე?
- რომელ ტექსტშია გამოყენებული შტრიხებით, წარმოსახვითი „ფუნჯის მსუბუქი მონასმით“ გმირის ხატვის მეთოდი?

ამ ეტაპისთვის მოსწავლეებმა უკვე იციან, რომ ლიტერატურის თეორიაში მხატვრული ნაწარმოების აგებულების, ფორმისა და შინაარსის მიხედვით განვასხვავებთ ჟანრებს.

საზოგადოდ, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცალკეულ ნაწარმოებებს დამახასიათებელი, ნიშანდობლივი თვისებების შემცველი აღნაგობა (ფორმა) აქვს. ჟანრი ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, სასცენო ხელოვნებაში, ხალხურ სიტყვიერებაში გამოსასახავი შინაარსის მიხედვით განირჩევა. მწერლების მემუარებში ხშირად გვხვდება მოგონებები იმის შესახებ, რომ ჩაფიქრებული იყო მოთხრობა, მაგრამ გამოვიდა რომანი ან პირიქით, ჩაფიქრებული იყო დიდი ეპიკური თხზულება და გამოვიდა ნოველა ან მოთხრობა. **თემატური, შინაარსობრივი, კომპოზიციური და ასახვითი თავისებურებების ერთობლიობა განსაზღვრავს ჟანრის ბუნებას. ამასთან, ჟანრებს ხშირად აქვს სახეობები.** მაგალითად, რომანი ეპიკური ჟანრის ნაწარმოებია, მაგრამ ის შეიძლება იყოს სხვადასხვა სახეობისა: ისტორიული, ფსიქოლოგიური, სათავგადასავლო, ბიოგრაფიული, ავტობიოგრაფიული და ა.შ.

რაც შეეხება ნოველას, ცნობილი ნორვეგიელი მწერალი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი კრიტიკოსი და ესეისტი იუგან ბორგენი ესეში „ნოველა“ საინტერესოდ წარმოაჩენს ჟანრის თავისებურებებს, ნიშანთვისებებს და მხატვრულად, შემოქმედებითად უხსნის მკითხველს მის სპეციფიკას. შედარებითი ანალიზის შემდეგ, როდესაც მოსწავლეები თავად გამოყოფენ თითოეული ჟანრის მახასიათებლებს, საინტერესო იქნება ამ ესედან ამონარიდების გაცნობა.

მოცემული ამონარიდები აღებულია წიგნიდან „სკანდინავიური ესეები“ (თბილისი, „გულანი“, 1992 წ.).

„ის (ნოველა) პატარ-პატარა ულუფებით კვებავს თქვენს წარმოსახვას, მიგიძღვით წინ, გიჩვენებთ ბილიკებს, რომლებითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ მოსახვევიდან მოსახვევამდე. საჩვენებელი ნიშნებით გეხმარებათ, გაითავისოთ აზრი და ტექსტი ნაწარმოებისა, უღრანიდან ნათელ მინდორზე გადიხართ ავტორთან ხელიხელჩაკიდებულები – თქვენ ხომ დამეგობრდით ამ გზაზე...“

„დაე, იჟრიამულონ კიბეზე ბავშვებმა, გადმოვიდეს ყავა, გამოირთოს სინათლე, ფანჯარას მიუსხდებით და ჩამავალი მზის სხივების ციალში კითხულობთ წიგნს. ასეთ დღეს ყველაფერი მოკლე, დაძაბულ რიტმს ემორჩილება; ეს არის ნოველების კითხვის დღე... ეს არის ნოველების შექმნის დრო...“

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნოველა ახლოა მუსიკასთან: სონატასთან, რა თქმა უნდა, და არა სიმფონიასთან. ისიც მიაჩნიათ, რომ ნოველა დრამასაც უახლოვდება. ზოგჯერ მას ფერწერასაც ადარებენ, დაზგურს და არა მონუმენტურს. ეს შედარებები ემყარება ნოველის განსაზღვრებას, როგორც ინტუიციურად თუ რაციონალურად აგებული სინთეზური თხრობის სახეს, სადაც თანაფარდობა ნათქვამსა და უთქმელს, გამოთქმულსა და ნაგულისხმევს შორის ავტორის ნება-სურვილით არის ნაკარნახევი“.

„ნოველა ედრება ვულკანის ამოფრქვევას, რადგან მწერლის შინაგანი „მეს“ სპონტანურ გამოვლინებას წარმოადგენს... ვეძებდით განსაზღვრებას და მივაგენით კიდეც – ესაა ამოფრქვევა. სხვაც შეიძლებოდა – აფეთქება. კინოში გვინახავს, როგორ იშლება და იფურჩქნება კვირტები. ეს არის უმშვენიერესი კადრები, რითაც კინომ დაგვასაჩუქრა. მაგრამ ნუთუ ფოთოლი, ოდნავღა რომ ჰკიდია ყუნწზე და სადაცაა ჩამოვარდება კიდეც, არ ახდენს სრულქმნილობის ისეთსავე საამო შთაბეჭდილებას, როგორსაც კვირტის გაშლა? ფოთოლი, რომელიც ეს-ესაა უნდა მოსწყდეს ტოტს – ნეტარი წამებია. მოწყდება, რათა ჩამოვარდეს... ფარფატებს, ქანაობს, ერთფეროვნად ირწევა ჰაერში. ეს არის ნოველის არსი“.

სოფიო კუბლაშვილი

იცნობ ამ ხალხს?

პირველი შეხვედრისთანავე ხეირიანად რომ გავიცნო და მეგობრად გახდომა მოვიწადინო, გულისყურით უნდა მოვუსმინო, დაკვირვების მზერით დავუთვალიერო მიხრა-მოხრა და სახეიერი, დავიმახსოვრო სიტყვა-პასუხი, ოხვრა-ნუგეში და სიხარულ-ტკივილის ექო. აი, მეგობრობა თუ შემიძლია, მასთან ურთიერთობისას გამოვიცდები, ემანდ გამოჩნდება ჩემი კაცობა. საკითხავია, მე როგორ ვუერთგულებ მას, თორემ ის რომ შეძლებს, უტყუარი ჭეშმარიტებაა. მე ვიცვლები, მუდმივად ვსხვაფერდები, ის კი იგივეა. მეშინია, ერთხელაც იმედს გავუცრუებ და ის ხელს აიღებს ჩემთან მეგობრობაზე. მერე რით ვუშველო თავს? მის გარეშე რა მეშველება?

ან რომელიმეს არ მოვეწონები ასე ცვალებადი, ასე უნდო, არასაყრდენი კაცი. მე შევეცდები მტკიცებას, რომ ჩემი ზნე-ხასიათის ცვლილება მასთან მეგობრობის გამტკიცებისთვისაა. ის მიპასუხებს, რომ არ გამომდის. კიდევ უნდა ვცადო. კიდევ და კიდევ.

მაინც უნდა შემოვირიგო. ამგვარად დავაგროვო, შემოვიკრიბო.

მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟების შესახებ მოგახსენებთ. როცა ფეხს მოვირთხამ მათ შორის და შევუდგებით ბაასსა და განსჯას, ვბედნიერდები. ეს ცალმხრივი საუბარი არ გეგონოთ, არც უენონი და უთქმელნი არიან და არც მხოლოდ მოსმენა შეუძლიათ. არა და არა! ისინი საუკეთესო მრჩევლები მყვანან, მუდმივად გვერდით. იოლი წარმოსადგენია, რას ფიქრობენ ჩემზე, ჩვენზე – ერზე, საზოგადოებასა თუ თითოეულ ადამიანზე. არ არის სახუმარო და მასხრად ასაგდები მათი ქადაგება და შეგონება – სიტყვასიტყვით გამოსადეგი და ანგარიშგასაწევია.

ჰო, ის პერსონაჟებიც ირგვლივ მყვანან, ვინც არ მომწონს და ვუპირისპირდები, ვეწინააღმდეგები, ისე ვებრძვი, როგორც ქარი ფოთლებს. კი, ისინიც მეგობრები არიან. ბევრ რეალურ, ხელშესახებ, ფიცი-მტკიცით შეკრულ ადამიანსაც აჯობებენ. ერთგულები არიან იმით, რომ აზრსა და შეხედულებას არ ღალატობენ, ერთს იტყვიან და მორჩა, კამათი დამთავრებულია. ცვალებად დროსა და წარმავალი ხელისუფლის ნება-უფლებას არ აჰყვებ-დაჰყვებიან, არც იკარგებიან, არც იმალებიან. მოვუხმობ და წამში აქ მყვანან.

პერსონაჟების განათლება თუ უწიგნურობა, ცოდნა და გამოუცდელობა, სირბილე თუ სიხისტე, თავმდაბლობა თუ ამპარტავნება, სიკეთე თუ სიავე, ბრძნობა თუ უგუნურობა, სიმდიდრე თუ სიგლახაკე, დიდგვაროვნება თუ უსახელობა, ძალა თუ უილაჯობა, ბედობა თუ უბედობა – სულ ჩემს სასარგებლოდაა მოსახმარი.

მიწუწუნია, ამ ყოფიერების რამე ახალი საზოგადო მოვლენა ძველ ნაცნობობას რომ შეიწირავს ხოლმე. ისეთი განცდა მიპყრობს, თითქოს თავშესაფარს ვეთხოვებოდე. ვცდები. საბედნიეროდ, ვცდები! სანამ ვსუნთქავ, ვხედავ და მესმის, ჩემი იდუმალი მეგობრები ახლოს მყვანან და, ესე იგი, თავზე ჭერი მახურავს. ესე იგი, მარტო არ ვარ. ხოლო ვისაც ერთხელ გაცნობილი პერსონაჟი სავალზე გადასდგომია, უცვნია და არ მისალმებია, გამოდის, რომ არც საახლობლოდ გადაუქცევია ნაცნობობა. ასე ვინ იქცევა, თუ არა თავმოძულებული, მიწას და ხალხს მოწყვეტილი უსამშობლო მავანი?

ვიღაც იტყვის, ლიტერატურული პერსონაჟები გამოგონილნი არიან, ამბავი მწერალმა შეთხზაო; თუ სულაც არ არსებობდნენ, წარსულს არ იცნობენ და თანამედროვეობის, აბა, რა გაეგებათო; დავუშვათ, რომ იცხოვრეს, დიდი ხანია დაიხოცნენ და მკვდრები სანდონი აღარ არიანო.

მე მცდელობა მირჩევნია. მოვუხმობ რომელიმეს და მოვა. არა ერთი ან ორი – მწკრივი ჩამოდგება. რა ჯობია მათთან ჩამოჯდომას.

შენ, მკითხველო, პერსონაჟი გადმოიბირე და წიგნიდან გამოიხმე, შენსავე ცხოვრებაში შემოუძეხი. მოდი, ვნახოთ!

მაინტერესებს, რა სიტყვას გააგონებ ალავერდის გუმბათზე გურამს, „ზესწრაფვაზე“ რომ აამბობინო, სამშობლოთი გატაცებისთვის; რას ეტყვი ლუარსაბ თათქარიძეს, რომ გაუშინაურდე და გემოებზე ალაპარაკო; აბა, ეცადე, დაარწმუნო თეიმურაზ ხევისთავი და მეზობლად დაისახლო – გონიერია, ნაკითხი, ჭკუასაკითხავი; „მერანის“ მხედარს შეემუდარე, იქნებ შენკენ გამოაქროლოს ცხენი, ბედი გახედნინოს; ვარსქენს უჩურჩულე, როგორმე თავი წარუდგინე, გამოიცადე მასთან ჭიდილში; ალუდა ქეთელაურს გაჰყევ თარეშის მოსაგერიებლად და მკლავქვეშ შეუდექ, ღონიერ სიმართლეს გიწილადებს; ბაში-აჩუკის რაზმში ჩაეწერე და შეიპირე დახმარებისთვის, როცა თავს დაუცველად იგრძნობ; მიდი, ონისე გადაარჩინე, აეფარე მამის მახვილს და ის შენი სახლის არემარეს უთვალთვალებს, მტერი არ გამოეპარება; კითხვებზე პასუხებისთვის ჯერ რუქასთან გაიარე, სანამ ფარსმანს ესტუმრებოდე; სიყვარულში რჩევისთვის ტარიელი მოძებნე; ყივჩაღს პაემანი დაუთქვი – ნაღდი, თავგანწირვის პაემანი; გრიგოლ ხანძთელს გადასძახე, ევედრე სულით გაძლიერებისთვის; ფინეზ მეფესთან ითათბირე საქვეყნო საქმეებზე; ჯუმბერის ცოდნა გაიზიარე; ლეონს მიებარე შეგირდად; იგის ათქმევინე, „იგიში“ ხარო, დარწმუნდი, რომ ვითარდები; ვასიკო კეჟერაძისგან თავისუფლება გაითავისე; პლატონ სამანიშვილს ათქმევინე „გვარიანი“ სიღარიბის ავანჩავანზე; არსაკიძესთან ხელოვნება აქე, ხელი გამოიწრთე; ოთარაანთ გიორგის ვაზი დაარგვევინე; გურამიშვილთან „სწავლის მძებნელობა“ შეიფერე, ის სამშობლოს წარსულს მოგიყვება, შენ მომავალზე უამბე; „ლურჯა ცხენებით“ იჯირითეთ შენ და გალაკტიონმა, შეიგრძენი ქროლის ნეტარება; ერთად ჩამოკრიფეთ თუთა და დატკბი ანას ლირიკით; გველს არ დაუთმო, შენ იცეკვე ელისთან, შეისუნთქე საქართველოს მონატრება, სურნელოვანი...

სასაუბრო ენა – ქართული.

– იცნობ ამ ხალხს?

მე იდუმალი მეგობრები მყავს – ერთი და ბევრი, ბევრი და ერთი.

შორენა ტყეშელაშვილი

უცნობი მასწავლებლის პორტრეტი

ზაფხულის არდადეგებზე ჩემი უფროსი შვილის დამრიგებელმა მშობლებს საერთო სასაუბროში მოგვწერა, რომ ჩვენი შვილების ერთ-ერთი მასწავლებლის შესაფასებლად დაგვირეკავდნენ.

ცოდვა გამხელილი ჯობია და რაც ანდრია მეხუთე კლასში გადავიდა, მისი ყველა მასწავლებლის გაცნობა ვერ მოვახერხე, – დაწყებითი საფეხურისგან განსხვავებით, მეხუთე კლასში ბევრი ახალი მასწავლებლის გაცნობა უწევს მშობელს, რაც ხშირად ვერ ხერხდება, – ამიტომ სასწავლო პროცესს უფრო გარედან ვაკვირდები (პანდემიის პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც ლამის ხელისგულზე გვქონდა გაკვეთილები), სიმშვიდის საფუძველს კი მისი დისციპლინირებულობა და თვითორგანიზებულობა მაძლევს. ვფიქრობ, უკვე გააცნობიერა, რომ სასწავლო პროცესის მთავარი წარმმართველი თავად არის და ვცდილობ, ნაკლებად ჩავერიო. ვერც იმის აუცილებლობას ვხედავ, ყოველდღე ვამოწმო, რა მისცეს და შეასრულა თუ არა ყველა დავალება – ეს მისი პასუხისმგებლობაა.

როდესაც მეხუთე კლასში გადავიდა და შეფასების სისტემა ამოქმედდა, ცოტა ღელავდა. დავამშვიდე, ავუხსენი, რომ ნიშნები არაფერს ცვლის, რომ მნიშვნელობას არ ვანიჭებ რიცხვებით შეფასებას და რომ მთავარი მისი მონდომება და სწავლისადმი ინტერესია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნიშნები მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ „ამისთვის ბევრს შრომობდა“, „ასრულებდა კომპლექსურ დავალებებს“ და მთელი წლის განმავლობაში სიამაყით გვამცნობდა, რაში ჰქონდა საუკეთესო მიღწევები. როდესაც ანდრია ამაყად აცხადებდა, რომ რომელიმე საგანში ათიანი დაიმსახურა, მეც ვზეიმობდი მასთან ერთად, მეც მიხაროდა და, ამგვარად, საკმაოდ „ჩართულ“ მშობლად აღვიქვამდი თავს.

ბავშვებთან ურთიერთობა“, – მოკლედ მიპასუხა ჩემმა შვილმა. ასე დაიხატა ჩემ თვალწინ ჩემთვის უცნობი მასწავლებლის პორტრეტი. კმაყოფილი დავრჩი, რომ ანდრიამ იცის, როგორია კარგი მასწავლებელი და რომ მასწავლებლის შეფასების დროს მისი შრომის მისხალიც კი არ დაუკარგავს. საგნის კარგი ცოდნა, კომპეტენტურობა, ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და სწორი მიდგომა მართლაც უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვისთვის, კლასში სასიამოვნო და შემოქმედებითი ატმოსფეროს შესაქმნელად. სასიამოვნოა, როდესაც ბავშვები ამას ხვდებიან.

ეს მცირე შესავალი იმის სათქმელად დამჭირდა, რომ შესაძლოა, ყველა მასწავლებელს არ იცნობდე, მაგრამ ვითარებას აკვირდებოდე და საჭიროების შემთხვევაში ერეოდე.

მასწავლებლის შეფასებას დავუბრუნდეთ. სამწუხაროდ, ჩემთვის არავის დაურეკავს, მაგრამ მე მაინც მოვემზადე – ვცადე, ამ მასწავლებლის შესახებ ინფორმაცია მომეპოვებინა. ანდრიას ვკითხე, როგორი იყო მისი სამოქალაქო განათლების მასწავლებელი.

„ნინო მასწავლებელი? მაგან შემაყვარა სამოქალაქო განათლება, ძალიან კარგად იცის თავისი საგანი, ძალიან კარგად გვიხსნის და, რაც მთავარია, იცის მასწავლებლები, რა მოსწონთ მათში და რა – არა, რა ესმით გაკვეთილებზე და რა – არა. თუ პრობლემები არსებობს, მათზე უკეთესად არავინ იცნობს ამ პრობლემებს და მათ მიზეზებს.

ამიტომ ვფიქრობ, რომ სასწავლო პროცესი მასწავლებლისა და მოსწავლის „ბრძოლის ველია“. ამ სცენაზე მთავარი მოქმედი პირები მასწავლებელი და მოსწავლე არიან. ისინი საუკეთესოდ იცნობენ ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს. თუ ერთმანეთს კარგად გაუგეს და ერთმანეთის შესაძლებლობები დაინახეს, წარმატებასაც ერთობლივად აღწევენ. სასწავლო პროცესის ასე შემოქმედებითად წარმართვა ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. ასეთი სასწავლო ატმოსფერო კი ძალიან სჭირდებათ ბავშვებს.

ჰკითხეთ თქვენს შვილებს, როგორი მასწავლებლები ჰყავთ, რა ისწავლეს მათგან, რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ ისინი და მიხვდებით, სჭირდებათ თუ არა მათ დახმარება, მოტივაციის გაძლიერება და მშობლის მეტი მხარდაჭერა.

ჩემი შვილის უცნობ მასწავლებელს კი წარმატებებს ვუსურვებ. სიმშვიდისა და სიხარულის საფუძველია ყველა ასეთი ამბავი, რომელიც ღირსეული მასწავლებლების შესახებ გვესმის.



ჩიტბატონები ხვდებიან, ვაჟაფშაველას შვლის ნუკრს **ჩხიკვი** აშინებს, კატო ჯავახიშვილის ელლი და ლილე უყურებენ, როგორ ჭამენ ყირაფები **აკაციის** ფოთლებს, ჭოროხში ნაპოვნ თავფარავნელ ჭაბუკს **ორბი** დასტრიალებს თავს, აბესალომის ვეზირები ეთერს **ალვის ხეზე** პოულობენ – ვკითხულობთ კლასიკურ თუ თანამედროვე ლიტერატურას და სიტყვების მნიშვნელობის ცოდნის გარეშე მცირდება ლიტერატურით მოგვრილი ესთეტიკური ტკბობის ხარისხი, შინაარსი გაუგებარი ხდება, რაც ბავშვებს კითხვისადმი უარყოფით დამოკიდებულებას უჩენს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გაცოცხლებით კი მათ ცნობისმოყვარეობას გავულვივებთ, სიტყვებს შევაყვარებთ, მაძიებლებად ვაქცევთ და კითხვასაც მეტი გულმოდგინებით მოეკიდებიან.

ანა ღვინიანიძე

„სად ხარ?“ არარსებულის მონატრებაზე

უგულებელყოფა განსაკუთრებული სახის დანაკლისის განცდის საფუძველია. ეს დიდწილად არარსებულის დანაკარგის განცდაა: იმისა, რაც გჭირდებოდა და ვერ მიიღე და მხოლოდ დროდადრო, ალაგ-ალაგ თუ ჩნდებოდა გულისხმიერება, მგრძნობიარობა და განუყოფელი ყურადღება შენ მიმართ; გულისყურით თანხლებისა.

„სად ხარ?“ – კითხულობს ხოლმე ჩვენი მცირეწლოვანი სხეული, როდესაც ნუგეშისცემა გვჭირდება. საკუთარი შინაგანი სამყაროსა და სინამდვილის, ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე დაბნეული და განიარაღებული, ზოგჯერ დამფრთხალი მოვავლებთ ხოლმე თვალს გარემოს ჩვენზე ძლიერის – ჩვენზე მზრუნველის, მფარველის – საპოვნელად.

იმ შემთხვევაში, თუ მე, როგორც პატარას და დაუცველს, შემიძლია, ამ კითხვაზე საკუთარ თავს ვუპასუხო: „აქ ხარ“, – მაშინ მწამს, რომ მეც ვარსებობ.

იმისთვის, რომ საკუთარი შინაგანი მდგომარეობები დავინახოთ, – მათთვის სიტყვების შესაბამება შევძლოთ, – ცხოვრების საწყის საფეხურზე განსაკუთრებით ხშირად გვჭირდება ზრდასრული, რომელიც შეძლებისამებრ ზუსტად აირეკლავს ჩვენს შინაგან მდგომარეობებს და დაგვეხმარება ჯერ კიდევ აუთვისებელი და უცნობი სივრცის – ჩვენი ფსიქიკური სამყაროს შეცნობისთვის საჭირო ცნობისმოყვარეობის – გაშინაგნებაში.

საზოგადოებაში დამკვიდრებულ წესებსა და მოლოდინებზე გამოხმაურება ბავშვისთვის მთავარი ამოცანა არ არის და ის დროთა განმავლობაში სწავლობს, რას ელიან მისგან ან რა შეიძლება მოჰყვეს დამკვიდრებულ წესრიგზე გამოხმაურებას თუ გამოუხმაურებლობას. აქედან გამომდინარე, ბავშვის აღზრდა მშობლისთვის, რა თქმა უნდა, ურთულესი ამოცანა და გამოწვევების ერთობლიობაა. აღზრდა უკავშირდება მშობლის უნარს, ერთი მხრივ, გააცნობიეროს და მართოს მდგომარეობები, რომელთაც ბავშვის ქცევები აღძრავს მასში, მეორე მხრივ კი გამოეხმაუროს როგორც საკუთარ, ისე – ბავშვის მოთხოვნილებებს. გარდა ამისა, ადამიანების უმრავლესობა უნებლიეთ, გაუცნობიერებლად იმეორებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც მისკენ, როგორც ბავშვისკენ, იყო მიმართული. ამდენად, ადამიანები ხშირად განსჯისა და შედეგებზე დაფიქრების გარეშე იყენებენ მიდგომებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც დღესდღეობით ერთმნიშვნელოვნად დამაზიანებლად არის აღიარებული.

„უხილავი ვარ“

უგულებელმყოფი აღზრდა იმ მიდგომების ერთობლიობაა, რომლებიც ადამიანის ძირეული მოთხოვნილებების, მათ შორის – ფსიქიკურისა თუ სულიერის, მიმართ განურჩევლობით, მათდამი გამაუფასურებელი, დამაკნინებელი ან გულგრილი დამოკიდებულებით ვლინდება. უგულებელმყოფი აღზრდა აზიანებს ნდობაზე დამყარებულ კავშირს, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული მიტოვების შფოთვის გაღვივებასთან.

უგულებელმყოფი აღზრდის შედეგი როგორც საკუთარი, ისე სხვების მოთხოვნილებებისადმი განურჩეველი, გამაუფასურებელი დამოკიდებულებაა, ზოგჯერ მტრულიც კი, რადგან ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავშივე არ აღიარებს ძირეული მოთხოვნილებების მნიშვნელობას.

„უხილავი ხარ, რადგან მე ჩემთვისვე უჩინარი ვარ“, „არ არსებობ, რადგან თავად არ ვარსებობ საკუთარი თავისთვის“.

„არ ვიცი, რა მჭირდება, რადგან არ ვიცი, როგორ გავიგო, რა მჭირდება“

უგულებელმყოფი აღზრდის საფუძველი ზოგჯერ არა უგულებელყოფის გაცნობიერებული განზრახვა ან ბავშვის დაზიანების სურვილია, არამედ მიყურადების უნარისა და მგრძნობიარობის ნაკლებობა. მგრძნობიარობა, ამ შემთხვევაში, წარმოადგენს როგორც საკუთარ, ისე სხვების ძირეულ მოთხოვნილებებთან დაკავშირების უნარს, რასაც როგორც საკუთარ თავთან, ისე სხვებთან შესატყვისად გამოხმაურების უნარი ეფუძნება.

უგულებელმყოფი აღზრდის შედეგი როგორც საკუთარი, ისე სხვების მოთხოვნილებებისადმი განურჩეველი, გამაუფასურებელი დამოკიდებულებაა, ზოგჯერ მტრულიც კი, რადგან ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავშივე არ აღიარებს ძირეული მოთხოვნილებების მნიშვნელობას.

უგულებელმყოფი დამოკიდებულება ზოგჯერ ერთი შეხედვით, უწყინარი მინიშნებების სახით ვლინდება.

„ამაზე ნუ ფიქრობ... სისულელეა“, – ადამიანის აზრებისკენ მიმართული ასეთი მითითება მას თავს *არასრულფასოვნად* აგრძნობინებს.

გარდა ამისა, უბიძგებს, საკუთარი ფიქრები საშიშად მიიჩნიოს და უყალიბებს საკუთარი აზრებისგან განრიდების ზოგჯერ დაუძლეველ ლტოლვას.

„ამაზე არ უნდა ბრაზობდე...“, – ზოგიერთი ემოციისკენ მიმართული მსგავსი განწყობა ამ მდგომარეობათა განცდის შექცევადობის ძლიერ და მცდარ რწმენას აყალიბებს. აკრძალული მდგომარეობების განცდას ხშირად თან ახლავს ბრალეულობის ძლიერი განცდაც. როდესაც ადამიანი მსგავსი დამოკიდებულების სამიზნეა, მისი სასიცოცხლო ძალა ხშირად იმისკენ არის მიმართული, რომ განსაზღვრული მდგომარეობები არ განიცადოს და არა იმისკენ, რომ ამ მდგომარეობებისგან ისწავლოს, რა სჭირდება და როგორ შეუძლია ამ მოთხოვნილებების მისაღები გზებით დაკმაყოფილება.

„მოგეჩვენა... დაივიწყე“, – ამ წინადადების მიღმა ხშირად სინამდვილის გადასხვაფერების ზრახვა დგას ან იმ ადამიანის მდგომარეობათა შენიღბვის მცდელობა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ცდილობს, დამკვირვებლის თვალს გადაემალოს. შედეგად შესაძლოა ჩამოყალიბდეს უნდობლობა საკუთარი შემეცნებითი უნარების (შეგრძნების, აღქმის, ყურადღებისა და მეხსიერების, აზროვნებისა და განსჯის) მიმართ.

„შენ წარუმატებელი ვერ იქნები. ამას ვერ დავიჯერებ“, – მშობლის მიერ შვილის მარცხის უარყოფა უგულებელმყოფი დამოკიდებულების განსაკუთრებული სახეა. ამ დროს ბავშვი სწავლობს, რომ მარცხი იმთავითვე წარუმატებლობის ტოლფასია და შიშობს, რომ მშობელი ვერ გაუმკლავდება შვილის მარცხს, ამის შედეგად კი შესაძლოა ჩამოუყალიბდეს გამოწვევებისგან განრიდების ძლიერი ლტოლვა.

„ისეთი ჭკვიანი ხარ, ყველაფერს შეძლებ. არაფერი გაგიჭირდება“, – ხშირად ამ სიტყვებით ამხნევებენ შრომისმოყვარე ადამიანებს. როდესაც ასეთ ადამიანებს საკუთარ უნარიანობაში ეჭვი ეპარებათ, ირგვლივ მყოფები გულუბრყვილოდ ცდილობენ, ისინი საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დაარწმუნონ, რაც დაახლოებით ასე ფასდება: „გამოდის, რომ მიუღებელია, რამე მიჭირდეს. მე ყველაფერი *უნდა* შემეძლოს“.

„თუ ჩემს მოლოდინებს უზადოდ არ ეხმაურები, შენ ჩემთვის არ არსებობ“, – კავშირის შეზღუდვისა და შეწყვეტის დასჯის მიზნით გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და შფოთვის აღმძვრელი გამოცდილებაა. აღზრდაში სიჩუმით დასჯის, გაბუტვისა და ზურგშექცევის გამოყენება წარმოადგენს ნდობის უკიდურესი დაზიანებისა და, საზოგადოდ, კავშირის რღვევის წინაპირობას, რადგან წყდება უმთავრესი: *ურთიერთობა ადამიანებს შორის,* რაც აბრკოლებს უსაფრთხოების განცდაზე დაფუძნებულ ურთიერთობას და სიწრფელეს. რაც მთავარია, ურთიერთობაში მონაწილე მიმღებ მხარეს – იგულისხმება ის, ვისდამიც იყენებენ მსგავს მიდგომას – აკისრებს დამტვირთავ და ხშირად ცდომილებების ალბათობით სავსე სამუშაოს: სხვისი მოთხოვნილებებისა და სურვილების გამოკითხვა-ამოცნობისა და მათზე გამოხმაურების პასუხისმგებლობას. ეს კი განიცდება როგორც უსამართლოდ შრომატევადი დამოკიდებულება, ზოგჯერ – მჩაგვრელიც კი. გარდა ამისა, ყალიბდება მიტოვების ავის მომასწავებელი მოლოდინი, რის გამოც ადამიანს უჭირს განსაზღვრულ ამოცანებზე ყურადღების შეჩერება, რადგან მისი სასიცოცხლო ძალა მიტოვების მომასწავებელი გამღიზიანებლების მეთვალყურეობა-ზედამხედველობისკენ არის მიმართული.

„მენატრება, მაგრამ არც კი ვიცი, რა... ვილტვი, მაგრამ არც კი ვიცი, რისკენ...“

იმისთვის, რომ საკუთარი შინაგანი მდგომარეობები დავინახოთ, – მათთვის სიტყვების შესაბამება შევძლოთ, – ცხოვრების საწყის საფეხურზე განსაკუთრებით ხშირად გვჭირდება ზრდასრული, რომელიც შეძლებისამებრ ზუსტად აირეკლავს ჩვენს შინაგან მდგომარეობებს და დაგვეხმარება ჯერ კიდევ აუთვისებელი და უცნობი სივრცის - ჩვენი ფსიქიკური სამყაროს შეცნობისთვის საჭირო ცნობისმოყვარეობის გაშინაგნებაში.

უგულებელყოფა განსაკუთრებული სახის დანაკლისის განცდის საფუძველია. ეს დიდწილად არარსებულის დანაკარგის განცდაა: იმისა, რაც გჭირდებოდა და ვერ მიიღე და მხოლოდ დროდადრო, ალაგ-ალაგ თუ ჩნდებოდა გულისხმიერება, მგრძნობიარობა და განუყოფელი ყურადღება შენ მიმართ; გულისყურით თანხლებისა.

უგულებელყოფა იმას ნიშნავს, რომ არც მე ვარსებობ შენთვის და არც შენ – ჩემთვის: ორივე ერთმანეთისთვის მიუწვდომლები და მოუხელთებლები ვართ. არც მე ვიცი, როგორ გაგიგო და არც შენ – როგორ გამიგო. თუ უგულებელყოფილი ვარ, დიდწილად მივიწყებულად ვგრძნობ თავს, დროდადრო განცდილი ჯილდოს – შენი გულისხმიერების – მოლოდინში.

სად ხარ?

მარიამ გოდუაძე

აუდიოაღწერა და მისი რამდენიმე მოდელი

აუდიოაღწერა, სხვაგვარად – ვიზუალური აღწერა, არის თხრობის ფორმა, რომელსაც მიმართავენ ვიზუალური ელემენტების გადმოსაცემად კინოში, თეატრში, სატელევიზიო გადაცემებში თუ ვებპორტალებზე უსინათლო ადამიანების ინფორმირების მიზნით. თხრობის ეს ფორმა აქტიურად გამოიყენება მუზეუმებსა თუ ვიზუალური ხელოვნების გალერეებშიც. აუდიოაღწერის მეშვეობით უსინათლო პირს მიახლოებითი ან ზუსტი წარმოდგენა ექმნება სურათზე ასახული პეიზაჟისა თუ პორტრეტის, ფონის, კონტრასტების, საგანთა განლაგების, ცალკეული დეტალების შესახებ.

ვებსივრცეში მნიშვნელოვანია, სურათებს აუდიოაღწერა ერთვოდეს, რადგან ხმოვანი სინთეზატორი უსინათლო პირებისთვის ფოტოებს სურათხატებად ვერ გარდაქმნის. შესაბამისად, თუკი მათ რამდენადმე აქვთ შესაძლებლობა, თვისებების ოპტიკური ამომცნობი პროგრამის (OCR) მეშვეობით მოისმინონ Sylfaen-ით აკრეფილი ტექსტი, ამის საშუალება აღარ ეძლევათ ტექსტებისთვის დართული ვიზუალური მასალის გასააზრებლად. არადა, უამისოდ ხომ შეუძლებელია ინფორმაციის სრულყოფილად მიღება, გადამუშავება თუ გააზრება?!

საქართველოში აუდიოაღწერის დანერგვის მცდელობა პოლონეთის მთავრობის დახმარებითა და ფონდ HumanDoc-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პირველ ეტაპზე საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან შეირჩა ნიკო ფიროსმანის რამდენიმე სურათი და ერთ-ერთ კინოფესტივალზე გამარჯვებული ფილმი. ამჯერად ფიროსმანის რამდენიმე ნამუშევრის აუდიოაღწერას შემოგთავაზებთ.

აუდიოაღწერის მეშვეობით უსინათლო პირს მიახლოებითი ან ზუსტი წარმოდგენა ექმნება სურათზე ასახული პეიზაჟისა თუ პორტრეტის, ფონის, კონტრასტების, საგანთა განლაგების, ცალკეული დეტალების შესახებ.

ვირის ხიდი. 1895 წელი

აუდიოაღწერა, სხვაგვარად – ვიზუალური აღწერა, არის თხრობის ფორმა, რომელსაც მიმართავენ ვიზუალური ელემენტების გადმოსაცემად კინოში, თეატრში, სატელევიზიო გადაცემებში თუ ვებპორტალებზე უსინათლო ადამიანების ინფორმირების მიზნით.

ნიკო ფიროსმანი
(1862-1918)
ვირის ხიდი. 1895 წელი

ჟანრი – პრიმიტივიზმი

ორიგინალის ზომა: 93x117 სმ

ნახატი შესრულებულია ზეთის საღებავებით მუშამბაზე.

სურათი ჰორიზონტალურია, ჭარბობს: შავი, თეთრი, რუხი, ბრილიანტისმწვანენარევი ლურჯი და მოყვითალო/ქარვისფერი.

მთვარიანი მწუხრის პეიზაჟის ფონზე პატარა ვირის ხიდის[1] გარშემო გაშლილ სანახებში ადამიანები დგანან, დადიან, სხედან ან ქეიფობენ. ისინი სურათის ძირითად სივრცეს იკავებენ.

სურათის ზედა მარცხენა კუთხესთან, შავში გარდამავალ მუქ მწვანე ფონზე, ბადრი მთვარეა თეთრი და ლეგა ჰორიზონტალური ღრუბლების თავზე. ღრუბლებშივე გამოსახულია ოთხი დიდი ფრთაგაშლილი ფრინველი. ღრუბლები ჰორიზონტალური ხაზით ერთვის მდინარეს, რომელშიც ჩანს ნავი სუფრით და მოქეიფე მამაკაცებით. ნავი სურათის ცენტრშია. მის გარშემო, ორივე მხარეს, ჩანს მაღალი მწვანე ფერდობები, რომლებიც თითქმის მთლიანად ავსებს სურათის გვერდითა ნაწილებს და ქმნის, ერთი მხრივ, მთისა და ცის, მეორე მხრივ, წყლისა და ცის ერთიანობას.

ამ პეიზაჟის ფონზე, მწვანე მდელოზე თუ მდინარეში, ტივზე თუ ნავში – ადამიანები ქეიფობენ. სურათის ძირითადი ნაწილი მოქეიფეთა ტიპაჟებს უჭირავს. აქვე არიან ცხოველებიც: ხეზე ჯაჭვით მიბმული დათვი, მისგან ოდნავ მოშორებით ასევე ჯაჭვით დაბმული ვერძი და ვიწრო ხიდზე მიმავალი ვირი ზურგზე ხურჯინით. კამპანიას ართობენ სხვადასხვა ადგილას მყოფი მუსიკოსები: მედუდუკეები, მედოლე და მეარღნეები. აქვე, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს, ორი მოცეკვავე კინტოა პატარა შავი კეპიანი ქუდით და შესაბამისი სამოსით. სურათის ცენტრში მდელოზე დგას მიმტანი თეთრი წინსაფრით და უმეტესად თეთრი ვარდების თაიგულით. მეორე მიმტანს მხარზე თეთრი ტილო აქვს გადაგდებული. ხელში უჭირავს თეთრი ლანგარი, რომელზეც დიდი შემწვარი ფრინველი დევს.

სურათის სიმეტრიას ქმნის მარჯვენა და მარცხენა მწვანე ბორცვებზე მდგარი სამკუთხასახურავიანი ფანჩატურები, გაშლილი სუფრები და მოქეიფე ყარაჩოხელები.

მარცხენა ქვედა კუთხესთან ახლოს სურათს ორ ხაზად თეთრად აწერია:

„ვირის
ხიდი“

მინაწერის გასწვრივ ტივია მდინარეში, მეარღნით, ექვსი მოქეიფით და ერთი მეთევზით. მათ წინ, თეთრ სუფრაზე, თეფშები, პურმარილი და ექვსი ღვინის ბოთლია. ერთს მომწვანო-მო-

ხუთი თავადის ქეიფი. 1906 წელი

ცისფრო, თეთრად დატალღული მდინარიდან ანკესით დიდი თევზი ამოჰყავს. სურათზე თითქმის ყველა მოქეიფეს ხელები ზემოთ აქვს აპყრობილი ხელგაშლილობის, ღმერთისადმი მადლიერების თუ ვედრების ნიშნად.

ხუთი თავადის ქეიფი. 1906 წელი

ზომა – 726 × 384
მუშამბა, ზეთი

სურათი ჰორიზონტალურია. ჭარბობს შავი, მორუხო თეთრი, მოყავისფრო-მოშავო, მუქი ჭაობის მწვანე, ალისფერი და ლურჯი ხაზები.

სურათის მთელ სიგრძეზე ზამბახისებურ ფოთლოვანში თეთრ სუფრას სამი მხრიდან ხუთი დიდგვაროვანი მამაკაცი შემოსხდომია. სუფრა გაშლილია ეზოში, თეთრი კედლის ფონზე. მაგიდის თავსა და ბოლოში თავადებს ხელში ყანწები – ცხოველის რქის სამისები უჭირავთ. სასმისები მოხატულია ოქროსფერი ცვრებით და ჰორიზონტალური ხაზებით, აქვს ოქროსფერი, დეკორირებული დაბოლოებები.

სუფრა არ არის გადატვირთული და პერსონაჟები კარგად ჩანან.

სურათის ცენტრში, პირველ პლანზე, ღვინის ტიკია, რომელიც თითქოს ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია თავადების მოწითალო-მოყავისფრო წვეტიანი, მაღალი ჩექმებით.

სურათის მეორე პლანი თეთრ სუფრას და მის ორივე ბოლოში ხის ღიასაზურგიან სკამებზე მსხდომ თავადებს უჭირავთ. სუფრაზე პირველ ხაზად აწყვია:

ექიმი ვირზე

ფოთლებიანი, წითელდარაიასფერი ბოლოკის თეფში, მოგრძო სამარილე, თეფში დაჭრილი წითელდარაიასფერივე ორაგულით და ერთი შოთი. მეორე შოთი მრგვლად მოხარშულ დედალს, მოგრძო თევზებსა და ორ ღვინის ბოთლს შუა დევს. სუფრის მესამე რიგს ქმნის მესამე შოთი, წითელდარაიასფერი ღვინით სავსე ორი გამჭვირვალე ჭიქა და დოქი, რომელიც თავადების ჩექმისფერია.

სურათის მესამე პლანზე ზის სამი თავადი. თავადებს აცვიათ შავი ჩოხები, ჩოხების შიგნით კი წითელ-ალისფერი დარაიას[2] პერანგები. სამ მათგანს ყელზე ლურჯი ყურთმაჯები აქვს მოდებული. ყველა შავგვრემანია, მოკლე თმით, შავი თვალწარბით და სქელი, ბოლოებდაწკეპილი ულვაშით. სამივე მათგანის მზერა პირდაპირია.

ექიმი ვირზე

ნახატი ჰორიზონტალურია, მასზე ჭარბობს ნარინჯისფერი, რუხი, მწვანე, ცისფერი და შავი.

სურათის ცენტრში, ნარინჯისფერ მდელოზე, გამოსახულია რუხ ვირზე ამხედრებული ექიმი, ცალ ხელში დაკეცილი, შავი, გრძელი ქოლგით, მეორე ხელში – ხის წვრილი წნელით.

ექიმს აცვია შავი, ატლასისებური სამოსი, პრიალა შავი ფეხსაცმელი, ახურავს რუხი, ფარფლებიანი ფეტრის ქუდი ერთი ცენტრალური მუქი ნარინჯისფერი ზოლით. ექიმი გამოსახულია პროფილში. მას აქვს ვიწრო, ოვალური სახე, ნუშისებური თვალი, სწორი, პატარა ცხვირი და ჭაღარა წვერი. ექიმი გზას გასცქერის. მისგან განსხვავებით, ჩვენკენაა მომართული ანფასში გამოსახული ვირის მზერა. მას აქვს თეთრი ცხვირი, თეთრი თვალის ჭრილი და აცქვეტილი თეთრი ყურები.

სურათზე ჰორიზონტის ხაზს ქმნის მწვანე ბალახი, რომელიც ნარინჯისფერ მიწას ერწყმის. ვირის სხეულზე გამოსახული ნარინჯისფერი ჰორიზონტალური სინათლის ხაზებით იქმნება ნახატის ერთგვარი ტემპი. ბაცი ნარინჯისფერია ექიმის ტუჩები, თვალის სკლერა და ქუდის ზოლი. ჰორიზონტის ხაზს ერწყმის ღია ცისფერი, რომელიც სურათის ზემოთა ნაწილში ოდნავ მკვეთრდება.

შენიშვნები:

1 აუდიოაღწერისას აუცილებელი არ არის ისტორიის გადმოცემა. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ვირის ხიდი ისტორიულ ძველ თბილისში მდ. მტკვარზე გადებული საცალფეხო ხიდების პოპულარული სახელი იყო, თუ ამის საშუალება არის, შეიძლება, თარჯიმან-მეგზურმა, ასისტენტმა ან ხელოვნებათმცოდნემ დამატებით მიაწოდოს უსინათლო პირს გალერეაში ყოფნისას. ასევე დამატებითი იქნება ინფორმაციაც, რომ XIX-XX საუკუნეების თბილისში თითქმის ერთდროულად ორი ვირის ხიდი არსებობდა. პირველი მტკვრის ქვედა დინებაში მდებარე ბაღებით ცნობილ ორთაჭალის კუნძულს მარჯვენა ნაპირთან აკავშირებდა. ეს იყო კოფოებზე შეყენებული ხის ვიწრო ხიდი, რომელზეც ხილით სავსე გოდრები სახედრებს გადაჰქონდათ. ამიტომ შეარქვეს მას თბილისელებმა ვირის ხიდი. მტკვრის სანაპიროების მშენებლობის შედეგად მდინარის ტოტი მოისპო, კუნძული გაქრა და ხიდიც დაანგრიეს. შემდგომში სახელი „ვირის ხიდი“ გავრცელდა ძველ მეტეხის ხიდზე, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო. 1870 წელს მეტეხის კლდე მარჯვენა სანაპიროს ორი ხიდით დაუკავშირეს. ერთი, ლითონის ხიდი, ახლანდელი, 1951 წ. აშენებული ორმალიანი რკინა-ბეტონის ხიდის ადგილზე მდებარეობდა, მეორე, უფრო მცირე, ასევე ლითონის კონსტრუქციისა – მის მახლობლად. დიდზე, რომელსაც ავლაბრისა ერქვა, ურმები, ეტლები და იმ დროის სხვა ტრანსპორტი მოძრაობდა, პატარაზე კი – მხოლოდ ფეხით მოსიარულენი და სახედრები, ამიტომ ვირის ხიდს უწოდებდნენ. 1951 წელს, ახალი ხიდის გახსნის შემდეგ, ვირის ხიდი აიღეს.

2 შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი

თინათინ ზარდიაშვილი

ტალღის შიგნით

მუსიკალური საკრავები ფიზიკის გარეშე წარმოუდგენელია. სტატიებისთვის იდეების წყაროც ჩემი მოსწავლეები და ჩემი შვილები არიან. ამ სტატიის თემაც ძალიან საინტერესო ახალგაზრდამ მიკარნახა, რომლისთვისაც მუსიკა მხოლოდ ჰობიდ უნდა დარჩეს, რადგან იცის, რომ საქართველოში მუსიკოსისთვის პერსპექტივა არც ისე ფართოა.

– მას, არ გინდოდათ, ბანკში გემუშავათ?

.....

– მას, მასწავლებლობა დიდი ხნის წინ აირჩიეთ?

.....

– ექიმობა ან პოლიციელობა არ ჯობდა?

.....

– ბიოქიმიის ლაბორატორიაში რატომ არ მუშაობთ?

.....

ყველა ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: მასწავლებლობა ყველაზე საინტერესო პროფესიაა. თუ მასწავლებლად მუშაობა დაიწყე, მერე ძალიან ძნელია, სხვა საქმიანობაზე იფიქრო. ბედნიერებაა ახალ თაობებთან ურთიერთობა, სულ ახალგაზრდა ხარ, ასაკი გემატება, მაგრამ მაინც პატარა გგონია თავი.

მკითხველი ალბათ იფიქრებს, გაკვეთილზე სად არის იმის დრო, მოსწავლეებმა ასეთი კითხვები დასვანო. სწორედ ამიტომაა ყოველი დღე ახალი და საინტერესო გამოწვევა – რა მოხდება, წინასწარ ვერ დაგეგმავ. ისეთი დღეებიც ყოფილა, როცა მხოლოდ ერთი მოსწავლე მჯდარა გაკვეთილზე. მე გაკვეთილის ასახსნელად ვემზადები, ის კი უცებ მეკითხება:

– მასწავლებელო, ელექტროგიტარაზე რამე იცით?

და მთელი გაკვეთილი მუსიკალურ ინსტრუმენტებზე საუბარში გადის. მუსიკალური საკრავები ხომ ფიზიკის გარეშე წარმოუდგენელია.

სტატიებისთვის იდეების წყაროც ჩემი მოსწავლეები და ჩემი შვილები არიან. ამ სტატიის თემაც ძალიან საინტერესო ახალგაზრდამ მიკარნახა, რომლისთვისაც მუსიკა მხოლოდ ჰობიდ უნდა დარჩეს, რადგან იცის, რომ საქართველოში მუსიკოსისთვის პერსპექტივა არც ისე ფართოა.

ყველა მუსიკალური ბგერა ტალღაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ ტალღასთან დაკავშირებულ რესურსებს და შეგვეძლოს მათი გამოყენება ფიზიკის გაკვეთილზე, ინტეგრირებულ გაკვეთილზე, პროექტზე მუშაობისას.

პირველი ცხრა რესურსი განთავსებულია პორტალზე https://ck12.edu.ge/, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის, ნორვეგიის საელჩოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების კოალიციისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმა ck12.org-ის მხარდაჭერით ქართულ ენაზე ითარგმნა.

1. https://bit.ly/3MoDT1G
   განივი ტალღა;
2. https://bit.ly/3OExgdB
   გრძივი ტალღა;
3. https://bit.ly/3xMdpDs
   ტალღის სიჩქარე;
4. https://bit.ly/36JpAWo
   ტალღების ინტერფერენცია;
5. https://bit.ly/3vg5Jry
   ბგერითი ტალღა;
6. https://bit.ly/3ENPx3z
   ბგერის სიჩქარე;
7. https://bit.ly/3kaYw5v
   ბგერის ინტენსივობა და სიმაღლე;
8. https://bit.ly/3rS5Mrn
   ბგერის სიხშირე და ტონი;

9. https://bit.ly/3OExSQr
ულტრაბგერა.

რესურსი მრავალფეროვანია. სამეცნიერო ტექსტი მოსწავლისთვის მარტივად აღსაქმელი ენით არის გადმოცემული. უფრო მეტიც: რესურსი ისეთ მოსწავლეებზეც არის გათვლილი, რომლებიც დამოუკიდებლად, მასწავლებლის გარეშე მუშაობენ მოცემულ საკითხებზე. თავად გაკვეთილებშია ჩაშენებული უამრავი ფოტო- და ვიდეომასალა, ასევე – სიმულაციები, რომლებიც მალე ქართულ ენაზე გამოქვეყნდება და მათთან მუშაობა უფრო მარტივი იქნება.

სხვა სიმულაციები განთავსებულია საიტზე https://javalab.org/en/. რესურსები ინგლისურ ენაზეა, ამიტომ წარმოვადგენ ქართულ შესატყვისებს:

1. https://javalab.org/en/standing_waves_on_a_drum_surface_en/ მდგომი ტალღა დრამის ზედაპირზე



2. https://javalab.org/en/standing_waves_on_a_string_en/ მდგომი ტალღა გიტარაზე 1-დან 6-მდე რიცხვები გიტარის სიმის ნომერს მიანიშნებს.



ყველა მუსიკალური ბგერა ტალღაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცნობდეთ ტალღასთან დაკავშირებულ რესურსებს და შეგვეძლოს მათი გამოყენება ფიზიკის გაკვეთილზე, ინტეგრირებულ გაკვეთილზე, პროექტზე მუშაობისას.

3. https://javalab.org/en/standing_waves_en/ მდგომი ტალღა სხვადასხვა სიტუაციაში



4. https://javalab.org/en/standing_wave_synthesis_en/ მდგომი ტალღის სინთეზი

5. https://javalab.org/en/tuning_fork_and_sound_wave_en/ კამერტონი და ბგერითი ტალღა



6. https://javalab.org/en/seismic_wave_en/ სეისმური ტალღები



Earthquake Making ღილაკზე დაწკაპებით აღიძვრება სეისმური ტალღები.

7. https://javalab.org/en/sound_a nalyzing_en/ ბგერის ანალიზი



როცა სიმულაცია გახსნილია, მოსწავლის მიერ წარმოთქმული ბგერის მიხედვით იცვლება ტალღის სიხშირე და ამპლიტუდა.

8. https://javalab.org/en/water_waves_en/ წყლის ტალღა



Depth of water-ის შესაბამისი წითელი ღილაკის გადაადგილებით იცვლება წყლის სიღრმე. Trace უჯრა როცა გალურჯებულია, ამ დროს ჩანს წითელი კვალი.

9. https://javalab.org/en/cochlear_en/ ლოკოკინაში ბგერების წარმოქმნა



წითელი ღილაკის გადაადგილებით იცვლება ბგერის სიხშირე და მოსწავლე უსმენს მის ხმას. ლოკოკინას კი დაეწერება ბგერის სიხშირის რიცხვითი მნიშვნელობა.

10. https://javalab.org/en/polarization_en/ პოლარიზაცია



წითელი ბურთულას გადაადგილებით იცვლება მეორე ფირფიტის დახრის კუთხე.

11. https://javalab.org/en/wave_propagation_en/ ტალღის გავრცელება



12. https://javalab.org/en/sound_wave_en/ ბგერის სიმაღლე და ამპლიტუდა



მარიამ ჯამდელიანი

როდესაც პერსონაჟი შენი უბნელია

აქტივობები გია პაპუაშვილის წიგნიდან „მოლი, ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი“

გახსოვთ, სად ცხოვრობენ თქვენი საყვარელი პერსონაჟები? მათი მისამართები თუ გახსოვთ? გეთანხმებით, ძნელია, კითხვისას ასეთ დეტალებს ყურადღება მიაქციო, მით უფრო – დაიმახსოვრო. ზოგი გამოგონილი სამყაროს ბინადარია, ზოგი – შორეული წარსულის მკვიდრი, ვიღაცა დედამიწელი საერთოდაც არ გახლავთ ან ისეთი ქვეყნის მოქალაქეა, სადაც პატარა მკითხველს ფეხიც არ დაუდგამს, მაგრამ არიან პერსონაჟები, რომლებიც კონკრეტულ მისამართებზე ცხოვრობენ და შესაძლოა, თქვენს მეზობლადაც.

როდესაც ჩემს უფროს შვილს საკითხავ წიგნად გია პაპუაშვილის „მოლი, ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი“ ვურჩიე, ისე, სასხვათაშორისოდ, ვუთხარი, წიგნის მთავარი გმირი ჩვენი უბნელია და კითხვისას ბევრ ნაცნობ ადგილს აღმოაჩენ-მეთქი. თურმე სწორედ ამ ფრაზამ აღუძრა მოტივაცია და კიდევ ერთი საინტერესო თავგადასავლის პროლოგად იქცა.

„მოლი, ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი“ მეძებარ ძაღლსა და მის მეგობარ ბიჭუნაზეა. წიგნის მთავარი გმირი თბილისი-მოლის უზარმაზარ შენობასთან უპოვიათ და გადაუწყვეტიათ, სახლის ახალი ბინადრისთვის „მოლი“ დაერქმიათ. წიგნის კითხვისას შეიტყობთ, როგორ დამეგობრდნენ მოლი და მისი ახალი პატრონი – გიო, მოისმენთ მუხათგვერდელი ძია ბობის თავგადასავლებს, გაიცნობთ მეცხვარე ძაღლს – ბოხვერას, მთა და იალაღები რომ ენატრება, თვალს შეავლებთ შირაქის საძოვრებზე შეფენილ ცხვარს და ყურს დაუგდებთ სეიფულა პაპას ნამდვილ ისტორიებს, შეიტყობთ ოთხფეხა მეგობრების საგმირო-საიდუმლო ამბებს, წაიკითხავთ მათი თავგანწირვის უჩვეულო მაგალითებს და ბაბუა-შვილიშვილთან ერთად ფეხით დაუყვებით დიდი დიღმის ნაცნობ ქუჩებს.

მინდა, შემოგთავაზოთ აქტივობის ბარათები, რომელთა შექმნაც ამ წიგნმა შთამაგონა. შესაძლოა, მათი დახმარებით კითხვის პროცესი უფრო საინტერესო და შემეცნებითი გახდეს.

I ბარათი – გაიცანი შენი უბანი

ნაწარმოებში ნაცნობი ადგილების, უბნების, ხედების აღმოჩენამ შესაძლოა სხვა ბავშვებიც ისევე აღაფრთოვანოს და წაახალისოს, როგორც ჩემი შვილი. წიგნში კატო მიქელაძის, გიგა ჯაფარიძის, ნიკოლოზ ბერაძის სახელების ამოკითხვისას დავინტერესდით მათი ბიოგრაფიით და შევიტყვეთ, რომ კატო მიქელაძე მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფემინისტი ყოფილა, რომელიც აქტიურად იმაღლებდა ხმას ქალთა უფლებების დასაცავად, ნიკოლოზ ბერაძე – ცნობილი მეცნიერი, ფიზიკოსი, ხოლო გიგა ჯაფარიძე – რეჟისორი და ონის თეატრის დამაარსებელი. გადავწყვიტეთ, ჩვენი უბნის შესახებ მეტი გაგვეგო და მოვიძიეთ იმ ადამიანების ბიოგრაფიული ცნობები, ვისი სახელობის ქუჩებზეც გვიწევდა სიარული. ჩამონათვალი შთამბეჭდავი აღმოჩნდა: გიორგი ბრწყინვალე, იოანე პეტრიწი, დემეტრე თავდადებული, ფარნავაზ მეფე, პეტრე იბერი.

პერსონაჟების გათავისება, მათი დარდისა თუ სიხარულის გაზიარება, განსაცდელის ჟამს გულშემატკივრობა და ერთიანი ძალისხმევით სირთულეების დაძლევაზე ფიქრი გახლავთ ის მნიშვნელოვანი შეტყობინებები, რომლებსაც ავტორი მკითხველს უგზავნის. სწორედ ამ თანალმობას შეუძლია, წარუშლელი ზეგავლენა მოახდინოს მოზარდების ფაქიზ ფსიქიკაზე.

მასწავლებლისთვის წიგნის ყველა პერსონაჟი შეიძლება შთაგონების წყაროდ იქცეს – წერა-კითხვის უნარის განვითარების მიზანს მოარგოს, მოსწავლეებს კი განსხვავებული დავალებები მისცეს.

შეგიძლიათ, მოსწავლეებთან ან შვილებთან ერთად ხელახლა აღმოაჩინოთ თქვენი უბანი, შექმნათ რუკა და გაეცნოთ სხვადასხვა დარგში მოღვაწე პირთა ბიოგრაფიებს. ეს აქტივობა, გარდა წერისა და კითხვის უნარების განვითარებისა, ვფიქრობ, მოზარდების მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

II ბარათი – ზღაპარ-ქალაქი

რადგან ყველა ქალაქს და ქუჩას არ ჰყავს თავისი მხატვრული პერსონაჟი, შეგიძლიათ, საყვარელი წიგნის გმირების უბანი თავად გამოიგონოთ და თქვენც ამ ზღაპარ-ქალაქში დაიდოთ ბინა.

მომდევნო აქტივობის ბარათი ყველა იმ პერსონაჟს აერთიანებს, ვინც კი ჩვენი და ჩვენი მოსწავლეების ბავშვობას ქმნის.

დახატეთ ან გამოძერწეთ ზღაპარ-ქალაქი, შეარჩიეთ თქვენი და თქვენი მოსწავლეების საცხოვრებელი ადგილები, დახაზეთ ქუჩები და დაარქვით სახელები, მაგალითად, მოკლე კატოს ქუჩა, სადაც ყველაზე გემრიელი ნაყინისა და ლიმონათის მაღაზიას გახსნით. გამოძერწეთ ბიულერბიუელი ბავშვების სახელობის სკოლა, სადაც სიარული არცერთ ბავშვს არ დაეზარება, ატუსა და მატუსას სახელობის სკვერი ყველაზე ცელქებისთვის, ძია ნუგოსა და პატარა თხილოს სახელობის ეზო შოკოლადის მდინარით, რკინიგზის ბავშვებისთვის მეტროს გვირაბიც გაიყვანეთ და კეთილშობილი ბობი და-ძმასთან ერთად შინ მიიპატიჟეთ.

თუ გადაწყვეტთ, საბავშვო ლიტერატურის საყვარელი პერსონაჟები მოიწვიოთ და დროდადრო მშობლიური გარემო დაუთმოთ, ამ გზით არა მარტო მოლის, არამედ ყველა საყვარელ წიგნის გმირს თანაუბნელად აქცევთ.

III ბარათი – შენი უბნის ოთხფეხა მეგობრები

წიგნის მთავარი პერსონაჟი ძაღლი ახალ პატრონს ადამიანივით ესაუბრება. სწორედ მათი გულახდილი საუბრებიდან იგებს მკითხველი ოთხფეხა არსებების ცხოვრებისეული სირთულეების, განსაცდელისა და უანგარო მეგობრობის ამბავს.

ალბათ თქვენც შეგიმჩნევიათ, უსახლკაროდ დარჩენილი ცხოველები როგორ ეძებენ ქუჩაში თავშესაფარს, საკვებსა და მზრუნველობას. მოლიც ამ სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა, რომ არა გიოს გულისხმიერება და პაპამისის კეთილი ნება.

მასწავლებლისთვის წიგნის ყველა პერსონაჟი შეიძლება შთაგონების წყაროდ იქცეს - წერა-კითხვის უნარის განვითარების მიზანს მოარგოს, მოსწავლეებს კი განსხვავებული დავალებები მისცეს.



პერსონაჟების გათავისება, მათი დარდისა თუ სიხარულის გაზიარება, განსაცდელის ჟამს გულშემატკივრობა და ერთიანი ძალისხმევით სირთულეების დაძლევაზე ფიქრი გახლავთ ის მნიშვნელოვანი შეტყობინებები, რომლებსაც ავტორი მკითხველს უგზავნის. სწორედ ამ თანალმობას შეუძლია, წარუშლელი ზეგავლენა მოახდინოს მოზარდების ფაქიზ ფსიქიკაზე.

IV ბარათი – გაიცანი შენი ქვეყნის ბუნება

ნაწარმოების კითხვისას ისეთ ტრადიციებსაც გაეცნობით, რომლებიც ქართული ყოფის განუყოფელი ნაწილია. წიგნის პერსონაჟები ხან რთველში – ყურძნის კრეფასა და დაწურვაში ეხმარებიან უფროსებს, ხან ქართული ხორბლის მოყვანის, დაცეხვისა და პურად ქცევის ამბავს ისმენენ, ხანაც ქართულ ნაგაზს შეჰყურებენ, შირაქის იალაღებზე შეფენილ ცხვარს ერთგულად რომ დარაჯობს თავისი წინაპრების მსგავსად.

ამ ისტორიების მოსმენისას გადავწყვიტეთ, მეტი გაგვეგო ქართული ნაგაზის შესახებ და შევიტყვეთ, რომ ეს ჯიში საუკუნეების განმავლობაში ქართველი მეცხვარეების განუყრელი მეგობარი ყოფილა. მის შესახებ ცნობები XIX საუკუნიდან გვხვდება. ქართული ნაგაზის პოპულარიზაციის მიზნით წმ. გიორგის მონასტერმა დააფუძნა ძაღლთსაშენი „ტაბაკინი“.

წიგნში ამოიკითხავთ ფრინველების სახელებსაც: ჩხართვები, ქედნები, შაშვები, კაჭკაჭები. ფრინველებზე დაკვირვების მიზნით დავუკავშირდით **„საბუკოს“** – ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციას. ის გახლავთ Birdlife-ის – მსოფლიო ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციის ადგილობრივი პარტნიორი, რომლის მისიაა ველური ბუნებისა და ჰაბიტატების დაცვა. „საბუკოს“ დახმარებით შევიტყვეთ, რას გულისხმობს ბუნების რესურსების მდგრადი გამოყენება, რას ნიშნავს ფრინველთა დარგოლვა და როგორ შეიძლება დააკვირდე შემოდგომასა და გაზაფხულზე მათ მიგრაციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია „საბუკოს“ წვლილი ისეთი უნიკალური სახეობის გადარჩენაში, როგორიც ბექობის არწივია.

გია პაპუაშვილის „მოლი, ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი“ გახლავთ წიგნი, რომლის წყალობითაც უკეთ გაიცნობთ მშობლიურ ქალაქსა და უბანს. მოლის შემყურემ, შესაძლოა, საყვარელი პერსონაჟები თანაუბნელებად აქციოთ, ყური მიუგდოთ ოთხფეხა არსებებს და ხელახლა აღმოაჩინოთ თქვენი ქვეყანა.

სტატიის დასასრულს კი ვფიქრობ საბავშვო ლიტერატურის საოცარ უნარზე – ერთი წიგნი მდინარესავით განიტოტოს და უამრავი აქტივობის სათავედ იქცეს.

ქეთევან ოსიაშვილი

ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება – სიმპტომები, მიზეზები, დაძლევის გზები

დღეს სერიოზულ პრობლემად არის ქცეული ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება, რაც უამრავ თავსატეხს უჩენს მშობლებსაც და პედაგოგებსაც. სამწუხაროდ, ასეთი ბავშვების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

დღეს სერიოზულ პრობლემად არის ქცეული ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხება, რაც უამრავ თავსატეხს უჩენს მშობლებსაც და პედაგოგებსაც. სამწუხაროდ, ასეთი ბავშვების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება.

ფსიქიკური განვითარების შეფერხება ბავშვის ინტელექტუალური და ემოციურ-ნებელობითი სფეროს შექცევადი დარღვევაა, რომელსაც თან სდევს სირთულეები სწავლაში. მართალია, ფსიქიკური განვითარების შეფერხება განვითარების დარღვევაა, რომლის დროსაც ყველა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია (მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ა.შ.) ჩამორჩება ასაკობრივ ნორმებს, მაგრამ აუცილებელია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ფსიქიკური განვითარების შეფერხება და გონებრივი ჩამორჩენილობა.

ფსიქიკური გავითარების შეფერხებისა და გონებრივი ჩამორჩენილობის განმასხვავებელი ძირითადი ნიშნები

- გონებრივი ჩამორჩენილობისას ფსიქიკურ და ინტელექტუალურ განუვითარებლობას შეუქცევადი ხასიათი აქვს, ფსიქიკური განვითარების შეფერხების შემთხვევაში კი სათანადო მიდგომებით ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.
- ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები განსხვავდებიან გონებრივად ჩამორჩენილთაგან იმით, რომ შეუძლიათ, ისარგებლონ შეთავაზებული დახმარებით და დამოუკიდებლად გამოიყენონ ის ახალი ამოცანების შესრულებისას.
- ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვი ცდილობს, გაიგოს წაკითხული, მაშინ როდესაც გონებრივად ჩამორჩენილს ამის სურვილი არ აქვს.

ფსიქიკური განვითარების შეფერხების დიაგნოზის დასმა დაბეჯითებით შეიძლება მხოლოდ სკოლის ზღურბლზე, როდესაც თავს იჩენს აშკარა სირთულეები სასწავლო პროცესისთვის მომზადებისას, თუმცა, თუ ბავშვს ყურადღებით დავაკვირდებით, განვითარების შეფერხების ნიშნები შეიძლება უფრო ადრეც შევამჩნიოთ.

ფსიქიკური განვითარების შეფერხების ძირითადი ნიშნები

- ჩვილ ასაკში ასეთი ბავშვები უფრო გვიან იწყებენ თავის დაჭერას, ჯდომას, სიარულს, ლაპარაკს.
- ჩამორჩებიან თანატოლებს პრაქტიკული და თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარებით, არ შეუძლიათ მათი ასაკისთვის დამახასიათებელი უმარტივესი მოქმედებების შესრულება – ფეხსაცმლის, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდა, პირადი ჰიგიენის დაცვა, კოვზის სწორად დაჭერა და დამოუკიდებლად ჭამა. სჩვევიათ სათამაშოებიდან საყვარელი სათამაშოს გამოყოფა და მისთვის უპირატესობის მინიჭება.
- ოდნავ მოგვიანებით შეინიშნება არაკომუნიკაბილურობა, მარტოობისკენ სწრაფვა, ჩაკეტილობა. ბავშვებს უჭირთ თანატოლებ-

თან ურთიერთობა, გაურბიან სხვა ბავშვებს და არ მონაწილეობენ საერთო თამაშებში.

- მართალია, ინტელექტის დარღვევა მსუბუქი ფორმით ვლინდება, მაგრამ ის მაინც ახდენს გავლენას აზროვნებაზე, მეხსიერებაზე, ყურადღებაზე, მეტყველებაზე, აღქმაზე. ბავშვებს მხედველობითი აღქმა უკეთესად აქვთ განვითარებული, ვიდრე სმენითი. უჭირთ ორ ობიექტს შორის განსხვავების პოვნა, სტრუქტურული ელემენტებისა და მცირე დეტალების ამოცნობა. მცირეა დამახსოვრებული ინფორმაციის მოცულობა, მწირია ლექსიკური მარაგი. ბავშვებს უჭირთ ანალიზი, სინთეზი, განზოგადება, შედარება, დასკვნის გამოტანა.
- ფსიქიკური განვითარების შეფერხების ნიშნებს მიეკუთვნება ასევე მერყეობა, გადაწყვეტილების მიღების სირთულე, ინფორმაციის გაგებისა და სასწავლო მასალის ათვისების სირთულე, ემოციურ-ნებელობითი სფეროს არასათანადო განვითარება, ემოციური არასტაბილურობა, აგრესიულობა და შფოთვა. ემოციური სტრესის არსებობისას თავს იჩენს ყურადღების დეფიციტის სიმპტომები.

ფსიქიკური განვითარების შეფერხების ძირითადი მიზეზები

ბიოლოგიური მიზეზები:

- დედის მძიმე ტოქსიკოზი, ინფექცია, ტრავმა ორსულობისას, დღენაკლულობა, ასფიქსია დაბადების დროს;
- ადრეულ ასაკში გადატანილი ინფექცია, ინტოქსიკაცია, ტრავმა;
- გენეტიკური მიდრეკილება;
- ფიზიკური განვითარების შეფერხება;
- სომატური დაავადებები, სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის დარღვევა;
- ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა უბნის დაზიანება.

სოციალური მიზეზები:

- სასიცოცხლო აქტივობის ხანგრძლივი შეზღუდვა;
- ფსიქოლოგიური ტრავმები;
- არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობები, ერთფეროვანი ფიზიკური თუ სოციალური



ფსიქიკური განვითარების შეფერხების დიაგნოზის დასმა დაბეჯითებით შეიძლება მხოლოდ სკოლის ზღურბლზე, როდესაც თავს იჩენს აშკარა სირთულეები სასწავლო პროცესისთვის მომზადებისას, თუმცა, თუ ბავშვს ყურადღებით დავაკვირდებით, განვითარების შეფერხების ნიშნები შეიძლება უფრო ადრეც შევამჩნიოთ.

გარემო, ურთიერთობის ვიწრო წრე, დედობრივი სიყვარულის ნაკლებობა, ემოციურ ურთიერთობათა სიმწირე; დაძაბული ვითარება ოჯახში, აგრესია, ძალადობა, ჩხუბი მშობლებს შორის. ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები არიან მერყევნი, მორცხვნი, არ ამჟღავნებენ ინიციატივას, რადგან აგრესიული რეაქციისა ეშინიათ. იზრდებიან ისე, რომ მათთვის უცხოა, გაუგებარია ქცევის მორალური ნორმები. არ შეუძლიათ თვითკონტროლი, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება;

- არასწორი აღზრდა;
- პედაგოგიური მიშვებულობა.

როგორ აღმოვფხვრათ შეფერხება ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში

- პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა ადრეევე უნდა დავიწყოთ – 2-3 წლიდან, როცა შეფერხების ნიშნები ჯერ კიდევ არ არის ადვილი შესამჩნევი. თუ დიაგნოზი დაგვიანებით დაისვა, კორექცია გართულდება.
- ფსიქიკური განვითარების შეფერხების თავისებურებაა ის, რომ დარღვევების კომპენსაცია და უკუქცევა შესაძლებელია მხოლოდ დიაგნოზის დროულად დასმის, სპეციალური სწავლებისა და აღზრდის პირობებში.
- გვხვდება შემთხვევები, როცა ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვი პრაქტიკულად არ განსხვავდება თანატოლებისგან, მაგრამ უმეტესად ჩამორჩენა შესამჩნევია. საბოლოო დიაგნოზი ისმება ბავშვის ყოველმხრივი შესწავლის, გამოკვლევის შედეგად. გამოკვლევა უნდა ჩატარდეს სპეციალური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან: ბავშვთა ფსიქოლოგი, ლოგოპედი, პედიატრი, დეფექტოლოგი, ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი. ამასთან ერთად, საჭიროა ანამნეზის შეკრება, ცხოვრების პირობების ანალიზი, ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლა. ასევე აუცილებელია გასაუბრება ბავშვთან, მის ინტელექტუალურ პროცესებსა და ემოციურ-ნებელობითი სფეროს თავისებურებებზე დაკვირვება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეფერხების შესახებ და მიეცეთ რეკომენდაციები მშობლებს და საგანმანათლებლო დაწესებულებას ბავშვის აღზრდისა და განათლების ორგანიზების შესახებ.
- გავითვალისწინოთ, რომ სასკოლო ცხოვრების დასაწყისში თავჩენილი სირთულეები სულაც არ არის სიზარმაცის ან უყურადღებობის ბრალი – ამას აქვს ობიექტური, საკმაოდ სერიოზული მიზეზები, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით უნდა გადაილახოს.
- ვაღიაროთ პრობლემა და მივიღოთ ის ფაქტი, რომ ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვი თანატოლებთან შედარებით ნელი ტემპით წავა წინ სწავლის პროცესში.
- ფსიქიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის სწავლება გულისხმობს სასწავლო მასალის დოზირებას, თვალსაჩინოებათა აქტიურ გამოყენებას, მრავალჯერად გამეორებას, აქტივობათა მრავალფეროვნებას.
- ასეთ ბავშვებთან მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემეცნებითი პროცესების (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), ასევე ემოციური, სენსორული და მოტორული სფეროების განვითარებას.

ბავშვის ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენის დაძლევა შესაძლებელია. ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვებს შეუძლიათ სწავლა და სწორად ორგანიზებული საკორექციო მუშაობისას შეინიშნება დადებითი დინამიკა. პედაგოგების დახმარებით მათ შეუძლიათ აითვისონ მიწოდებული ინფორმაცია და შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები, რასაც მათი თანატოლები დამოუკიდებლად ახერხებენ.

ამრიგად, ფსიქიკური განვითარების შეფერხება განაჩენი არ არის – ოჯახისა და სკოლის, პედაგოგისა და მშობლის ერთობლივი მუშაობით პრობლემის დაძლევა სავსებით შესაძლებელია.

ნაირა ცხვედიანი

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების გააზრებისთვის

რა სურს თინათინს?

ეს წერილი პასუხია მოსწავლის კითხვაზე: „რატომ ვერ ისვენებს თინათინი, რატომ იწყებს უცხო მოყმის ძებნას, როცა მეფემაც და ავთანდილმაც ის უკვე დაივიწყეს?“

I ნაწილი

ის უძლიერესი ქვეყნის მეფის ასულია, თანაც – ულამაზესი. პოემის დასაწყისშივე გვეუბნება რუსთაველი: **„მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული“**. შემდეგ მამამისიც, არაბთა მეფე როსტევანიც, დაუფარავი სიამაყით ამბობს ვეზირებთან: **„ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“**. ვეზირებიც ერთხმად აღიარებენ თინათინის გამორჩეულობას და მომავალი მეფის შესამკობად სახოტბო სიტყვებს არ იშურებენ: **„სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“**.

თინათინი მხოლოდ ლამაზი არ არის. ვეზირები მშვენიერებასთან ერთად მის გონიერებასაც აღნიშნავენ: **„შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია“**. არ გეპირფერებით, სახელმწიფოს მართვა შეუძლია, უთქვენოდაც ბევრჯერ გვითქვამს ამის შესახებო, ეუბნებიან მეფეს.

თინათინი ლამაზიცაა და ჭკვიანიც, ეს მამამისმაც მშვენივრად იცის და მისი გამეფებაც ამიტომ გადაწყვიტა. მეფედ კურთხევის რიტუალზე თინათინის მრავალი ღირსება თვალნათლივ გამოჩნდა. არაბეთის ახალი მეფე თავმდაბალია (**„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა...“**), ემოციური (**„ამად სტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“**), გონიერი (**„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა“**), უხვი (**„გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი“**)... ასული ბევრი რამით ჰგავს მამას. თუ პირველივე სტროფში: **„იყო არაბეთს...“** როსტევანის სახელს თინათინით ჩავანაცვლებთ, ბევრი არაფერი შეიცვლება. მხოლოდ ერთი რამ არ შეუძლია მეფის ასულს – იყოს: **„თვით მეომარი უებრო...“** სწორედ ეს ადარდებს როსტევანსაც. თინათინის გამეფების ნადიმზეც ამაზე წუხილმა „დაუღრიჯა“ სახე. ლოგიკურად, ეს თინათინისთვისაც სერიოზული პრობლემა უნდა იყოს.

უებრო მეომრის ნიშას ახალი მეფე ვერასდროს დაიკავებს. მაინც ვერ არის **„ლეკვი ლომისა სწორი“**. ყველაზე კარგად ეს როსტევანმა იცის, ამიტომაც არ ბრაზდება ავთანდილის არცთუ თავმდაბლურ ნათქვამზე: **„ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა“**. როგორც ჩანს, მეფეს არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ ავთანდილი მასზე უკეთესი მოასპარეზე აღმოჩნდება და გულს საგულეში დაიგულებს. ასე რომ არ იყოს, ხომ გვინახავს, როგორი გაბრაზება იცის როსტევანმა. ავთანდილის ფორმალური მოწიწებაც შემდეგ: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ“**, – ბევრს არაფერს ნიშნავს. სულ მალე ვნახავთ, რომ სპასპეტს ეს თავმდაბლური სიტყვები მხოლოდ მეფისათვის არ ემეტება – ამავე სიტყვებით იწყებს თავისი ყმებისადმი მიწერილ წერილს: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ, ისმინეთ, გიწერ მე რასა...“**

მართლაც, მშვენიერი ქვეყანაა არაბეთი – მეფესაც და ყმასაც ერთნაირად შეგიძლია მიმართო. ავთანდილმაც კარგად იცის, რომ თინათინს ქვეყნის სრულყოფილად მართვისთვის ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც ყველა სიკეთით შემკული ქალის გვერდით უებრო მეომრის ადგილს დაიკავებს. ჭკვიანი კაცი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, მით უფრო, თუ ყურებამდე შეყვარებულია. არც ავთანდილს დაუხანებია, როსტევანისთვის (ალბათ, თინათინისთვისაც) თავისი როლი და ფუნქცია დაენახვებინა – უებრო მეომრის გამოსავლენად შეჯიბრება შესთავაზა. მეფემ მშვენივრად გაიგო ავთანდილის შეთავაზების ქვეტექსტი, ამიტომაც არც სწყენია, არც განრისხებულა და არათუ არ აუკლია ქვეშევრდომი, სიცილითაც კი უთხრა: **„თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე“**.

ახლა პირველობის მაძიებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, სწყალობს ბედი თუ არა. როგორც არაბეთში იტყვიან: „ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!“ (**„გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“**).

ავთანდილი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულია, ამიტომაც გამოცხადდა შეჯიბრებაზე საზეიმო ფერებში მორთული: თეთრ ცხენზე ამხედრებულს წითელი მოსასხამი და ოქროსფერი რიდე უხდება. აშკარაა, სპასპეტი ტრიუმფისთვის ემზადება. არც

ტრიუმფს დაუხანებია, მაგრამ ბედმა ბოლომდე მაინც ვერ გაუღიმა – ყველაზე ამაღელვებელ წუთებში, როცა თვითონაც ზეიმობდა, მეფეც (**„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა“**) და ლაშქარიც თვალებში შესცინინებდა, ვიღაც უცხო ჭაბუკმა მათრახის ერთი მოქნევით მისი უებრო მეომრობის მითი ფარსად აქცია.

როსტევანი თავზარდაცემულია. ურჩევნია, უცხო ჭაბუკი ეშმაკეული და უხორცო იყოს, ვიდრე რეალური და მიწიერი. ღმერთის სასჯელზე ალაპარაკდა: **„უცილოდ ღმერთსა მოვძულდი აქამდე მე მხიარული“**. მეფეს არც იმის დაჯერება უნდა, რომ არაბეთის განთქმულ ლაშქარს ბდღვირი ხორციელმა კაცმა ადინა და მეფეც და სპასპეტიც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. არადა, რა იდეალურად იყო ასხმული არაბეთის სამეფოს მარგალიტის მძივი სულ ცოტა ხნის წინ: რეალურ მეფეს, ფორმალურ მეფესა და უებრო მეომარს შეეძლოთ, შეხმატკბილებულად ემართათ ქვეყანა.

ავთანდილი ახალგაზრდა კაცია, როგორც ჩანს, ბედნიერი და უდარდელი. მართალია, დამწუხრებულ მეფეს პირისპირ უზის, რომ დამარცხების ელდა გაიზიაროს, მაგრამ დიდად არ უნდა აწუხებდეს მომხდარი. ყოველ შემთხვევაში, მის განცდებზე საუბარს რუსთაველი საჭიროდ არ მიიჩნევს. როგორც ჩანს, სპასპეტი ჯერ კიდევ მეფის დაჯაბნის ტკბილ ბურანშია და მასაც, როსტევანის მსგავსად, ურჩევნია, უცხო ჭაბუკი ეშმა იყოს და არა ხორციელი კაცი. ეშმასთან დამარცხება ხომ მათ ღირსებას არ შელახავს.

თინათინი ჭკვიანი ქალია. ის მშვენივრად ხვდება, რომ მეფეს რეალობისთვის თვალის გასწორება არ უნდა. არაბთა ამწიოკებლის ერთწლიანი უშედეგო ძებნაც, სავარაუდოდ, მალამოდ მოეცხო როსტევანისა და ავთანდილის გაღიზიანებულ პატივმოყვარეობას. მეფემ თავი დაირწმუნა (და თინათინიც დაიმოწმა): **„მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო“**, – და სასწრაფოდ მომღერლებს, ჯამბაზებსა და აკრობატებს უხმო. სასახლეში ცხოვრება გატკბა, ძველი დრო დაბრუნდა – მშვენიერი და საამო.

არც ავთანდილის სასახლეშია გლოვა-წუხილი. მოშილიფებულ სპასპეტს წინ ჩანგი დაუდგამს და ღიღინებს. რატომაც არა – ცხოვრება მშვენიერია.

არაბეთი აშკარად ბედნიერი ქვეყანაა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ერთ დამწუხრებულ კაცს თავის გემოზე ტირილიც არ აცალეს. ეტყობა, არაბეთში სატირლად არავის აქვს საქმე. როგორც ჩანს, იმ მტირალმა კაცმაც კი იგრძნო მაშინ ეს და წლების შემდეგ ავთანდილს უთხრა: **„რას მაქმნევდით, რად გინდოდით, ერთმანეთსა რითა ვჰგვანდით? თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით“**. მანამდე კი ამ კაცის უცნაური ქცევით გაოცებული და დაბნეული როსტევანი ქალიშვილს ლამის ებოდიშებოდა მომხდარის გამო: მე მხოლოდ მისი ამბის გაგება მინდოდა, რატომ ტიროდა, რა აწუხებდა, ის კი არ მოვიდა, კაცურად არ გადამკოცნაო. ამ სიტყვებში თითქოს ფარულად ჟონავს დანაშაულის გრძნობა თავისთვის მოტირალი კაცის წინაშე. როგორც ჩანს, როსტევანს ისიც აწუხებს, რომ მისი კეთილი სურვილი „უცხო კაცის“ სევდის გაზიარებისა არაბთა მხრიდან ძალადობის მაპროვოცირებელი გახდა.

არაბეთი ბედნიერი ქვეყანაა. ჰოდა, როსტევანსა და ავთანდილს ამ ბედნიერ ქვეყანაში ბედნიერად ცხოვრება სურთ. მათ უსიამოვნების დავიწყება უნდათ.

მაგრამ რა სურს თინათინს?

თინათინი მამასავით არ ფიქრობს. მას არც ერთი წლის წინ სჯეროდა უცხო მოყმის ეშმა-დევობისა და, მით უფრო, ღმერთის მიერ როსტევანის ბოროტი ძალის მეშვეობით დასჯისა. აკი უთხრა კიდეც მამას: **„ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“**. მერე, როცა უცხო ჭაბუკის მოსაძებნად ხალხის გაგზავნა შესთავაზა, რადიკალურად არ დაპირისპირებია მამის მოსაზრებას და ტაქტიანად აღნიშნა: **„ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“**. რაც მოყმის ამაოდ მძებნელნი დაბრუნდნენ, არც ამის შემდეგ ჩანს, რომ თინათინი მომხდარს ღვთის რისხვად მიიჩნევდეს. ჭკვიანი ქალია და ხვდება - ისეთი შესაძლებლობების კაცის პოვნას, როგორიც უცხო ჭაბუკი იყო, ჩვეულებრივი მონა-ქვეშევრდომნი ვერ შეძლებდნენ. ტყუილად ცდილობს როსტევანი, ქალიშვილის სიტყვები: **„ადრე სცნობ...“** – თავისი ვარაუდის უეჭველ არგუმენტად მოიყვანოს. თუ თინათინიც მამასავით ფიქრობს, მაშინ რატომღა იწყებს იგი „უშობელის“ ძებნის ახალ ოდისეას?

ფაქტია, თინათინს ეჭვიც არ ეპარება, რომ **„იგი ყმა“** ხორციელი კაცია, სამაგიეროდ, მასთან ავთანდილის დამარცხებამ თავისი სპასპეტის უებრო მეომრობაში დააეჭვა. თინათინს კი გვერდით, სპასპეტადაც და მიჯნურადაც, ძლიერი ადამიანი სჭირდება.

იმ დროს, როცა ავთანდილი ჩანგზე მღერის, თინათინი სამომავლო გეგმას სახავს. ამ გეგმაში სპასპეტსა და მიჯნურს თავისი როლი და ფუნქცია ექნება განსაზღვრული და მის მომავალსაც, სავარაუდოდ, ეს გადაწყვეტს. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ თინათინთან მიწვეული **„ლალი და უკადრი“** ავთანდილი **„დაღრეჯით“** მჯდომი ქალის პირისპირ აღმოჩნდა: **„იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შვენოდა“**. კიდევ უფრო საინტერესოა სიტყვები, რომლებითაც თინათინი ავთანდილს მიმართავს: **„მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა, რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“**

თინათინს რომ „დაღრეჯა“ გამოსავლად არ მიაჩნია, ეს კარგად ჩანს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მამისთვის ნათქვამ სიტყვებში: **„კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“**. მაშ, ახლა თვითონ მიეცემოდა უსაგნო ურვა-წუხილს?

ავთანდილი ან ვერ ხვდება მეფის წუხილის მიზეზს, ან მოხერხებულად არიდებს თავს პასუხს. უნდა, თინათინისგან გაიგოს, რა სურს მას, რომ იმის მიხედვით იმოქმედოს: **„თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“**.

თინათინს კი რა შეიძლება სურდეს მაშინ, როცა ვიღაც უცხო ჭაბუკმა არაბთა სახელოვანი ლაშქარი გაანახევრა, როცა მეფე და სპასპეტი მათსავე სამეფოში შერცხვენილი დატოვა და ისე გაქრა, რომ მისი კვალიც ვერსად იპოვეს? მხოლოდ ერთი რამ – ავთანდილმა თავისი „უებრო მეომრობა“ რეალურად დაამტკიცოს. მისი ვაჟკაცობის საპირწონე სანადიროდ გამოსული როსტევანი კი არა, უცხო ჭაბუკი უნდა იყოს, უძლეველი და მოუხელთებელი. აკი, ეუბნება კიდეც ავთანდილს: **„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა, ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა? მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცა...“** წესით, ავთანდილმა მშვენივრად უნდა გაიგოს ამ სიტყვების ქვეტექსტი: იმ სამარცხვინო დღის შემდეგ მე სულ ამ ამბავზე ვფიქრობ და შენ რასა იქმ?..

შეფარული საყვედური დიპლომატიური რევერანსით გრძელდება: **„შენ გენუკვი მონახვასა...“**

გენუკვი?

თინათინის მოთხოვნა მკაფიო და ნათელია: ავთანდილმა უცხო მოყმე უნდა იპოვოს, მოახერხოს და მისი წუხილის მიზეზი შეიტყოს (რასაც მიზანში კარგად სროლა კი არა, ჭკუა-გონება სჭირდება). მხოლოდ ასე შეძლებს სიყვარულის გამყარებას. თინათინისა და ავთანდილის სიყვარულს, გარდა ელვარე გრძნობებისა, სხვა დუღაბიც სჭირდება.

რა შეიძლება აწუხებდეს არაბეთის ჯერჯერობით ფორმალურ, მაგრამ სამომავლოდ რეალურ მეფეს: რატომ ტიროდა „უცხო ვინმე“, თუ რა შეუძლია ავთანდილს?

იქნებ ერთიც და მეორეც?

რა თქმა უნდა, თინათინი მშვენივრად ხვდება, რომ, როცა ასეთი ძლიერი და ლამაზი კაცი ტირის, ქვეყანაში, რომელიც ღმერთმა **„ჩვენ, კაცთა, მოგვცა“**, რაღაც კარგად არ არის. იქნებ არაბთა ძალადობაც აწუხებს ამ კაცის მიმართ, რომელიც თავისთვის იჯდა და ტიროდა, მეომრები დაინახა და გაცლას აპირებდა. მათრახი მხოლოდ მაშინ მოიმარჯვა, როცა შეპყრობა დაუპირეს.

ფაქტია, არაბეთში შურისძიებაზე არავინ საუბრობს, თითქოს ყველას აწუხებს დანაშაულის გრძნობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ქალებმა ყოველთვის ზუსტად იციან, რა სურთ და როცა კაცები ამას ვერ ხვდებიან, თავად მიანიშნებენ ხოლმე.

„ვეფხისტყაოსნის“ ქალებმა ყოველთვის ზუსტად იციან, რა სურთ და როცა კაცები ამას ვერ ხვდებიან, თავად მიანიშნებენ ხოლმე.

ახლა ავთანდილმა უნდა დაამტკიცოს, რომ ღირსია, ამ არაჩვეულებრივი ქალის გვერდით დადგეს **„ვით მეომარი უებრო“**, რათა ერთად მართონ არაბეთი, რომელიც მართლაც დიდებული ქვეყანაა, აქ უცხო კაცის ცრემლსაც კი ფასი აქვს და ზემდგომსაც და ქვეშევრდომსაც შეგიძლია ერთნაირად მიმართო: **„მიწაცა თქვენი ავთანდილ...“**

ახლა ავთანდილმა საკუთარი და არაბეთის ღირსება უნდა დაიცვას.

შეუძლია კი ეს უწვერულ ჭაბუკს?

პოემის დასაწყისში ის ერთი ლამაზი ბიჭია, რომელსაც გამზრდელი მეფის ასული უყვარს, თუმცა თქმას ვერ უბედავს. სპასპეტი კი არის, მაგრამ მაინცდამაინც მკაფიოდ არ ჩანს, რა დამსახურების გამო. იმიტომ ხომ არა, რომ ამირსპასალარის ძეა? მეფეც თითქოს ცოტა აგდებულად მოიხსენიებს მის შესაძლებლობებს ნადიმის დროს: **„ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“**. რომ არა ნადირობაში დამსახურებული გამარჯვება, ერთი ზომაზე მეტად თამამი და ამბიციური ჭაბუკის შთაბეჭდილებას დატოვებდა. მისი ფერად-ფერადი ტანსაცმელი და **„კაბა... მჯობი ყოვლისა ქრელისა“** კი შესაძლოა გამაღიზიანებელიც ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, კაცი არაბეთის სპასპეტია.

ბედნიერი შედის იგი თინათინის სასახლეში და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ატირებული და დარეტიანებული გამოდის იქიდან. არადა, ის აუხდა, რასაც ნატრობდა, საოცნებო ქალმა სიყვარული აუხსნა, ერთგულება შეჰფიცა, გვერდით დაისვა, ელაღობა. თინათინთან შესვლამდე, სანამ მისი გრძნობების შესახებ არაფერი იცოდა, სპასპეტი **„იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“**, თინათინისგან წამოსვლის შემდეგ, როცა ბედნიერებისგან ცას ხელით უნდა მისწვდომოდა – **„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების“**.

მართლაც ვერაფერს გაუგებ ამ ცხოვრებას. მხოლოდ მიჯნურთან სამწლიანი დაშორება შეიძლება იყოს მიზეზი ამგვარი ემოციებისა? მით უფრო, თუ ქალი გეუბნება: **„ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი“**. როგორც ჩანს, ავთანდილმა ზუსტად გაიგო, ეს სამი წელი რის დასამტკიცებლად მისცა მიჯნურმა, რეალურად რა აწუხებს თინათინს. მეტი რაღა ეთქვა, როცა ლამის შეემუდარა: **„რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე“**.

რისგან გათავისუფლებას სთხოვს თინათინი ავთანდილს, რა ეშმაკი უღრღნის გულს? იქნებ იმ ეჭვისაგან, რომ მისი მიჯნური ვერ არის **„მეომარი უებრო“**? არადა, რუსთაველის კრიტერიუმებით, ნამდვილი მიჯნურის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება ხომ **„მძლეთა**

მებრძოლთა მძლეობაა“. არაბეთში კი რუსთაველის შეგონებანი, სავარაუდოდ, ძალიან კარგად იციან.

ავთანდილმა ისიც კარგად გაიგო, რომ ეს დავალება მარტომ უნდა შეასრულოს, ისევე მარტომ, როგორც ის უცხო მოყმე იყო, მსახურიც კი არ უნდა იახლოს. ყველაფერი ერთი-ერთზე უნდა გადაწყდეს. ამაოდ ემუდარება შერმადინი ავთანდილს: **„სჯობს, ორნივე გავიპარნეთ...“** ჯერ ერთი, შერმადინმა არაბეთში ავთანდილობა უნდა გასწიოს, მაგრამ ესეც რომ არა, ავთანდილი მას მაინც არ წაიყვანდა. სპასპეტი თინათინის სასახლიდან, როგორც ხმალი გავარვარებული ქურიდან, სხვაგვარად ნაწრთობი გამოვიდა. მიხვდა, რომ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ვერაფერს მიიღებს, ამიტომაც ეუბნება შერმადინს: **„მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“**.

თინათინმა უნდა დაინახოს, რა შეუძლია ავთანდილს.

ავთანდილს კი ბევრი რამ შეუძლია.

რა შეუძლია ავთანდილს

„ყმა სოფლისა ხასიათი...“

პირველი, რაზეც, როგორც ჩანს, თინათინი და ავთანდილი შეთანხმდნენ, ის არის, რომ მეფემ არ უნდა გაიგოს ავთანდილის არაბეთიდან წასვლის რეალური მიზეზი და მიზანი. დაე, ახლა მაინც არაფერმა დაურღვიოს სიმშვიდე როსტევანს და სჯეროდეს, რომ მისი სპასპეტი სახელმწიფო საზღვრების მოსახილველად მიდის. მართალია, თინათინსა და ავთანდილს შეხვედრის დროს ამ საკითხზე ღიად არ უსაუბრიათ, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება აჩვენებს, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი რუსთაველმა იმ სამ სიტყვაში ჩაგვიმალა, ვითომდა სასხვათაშორისოდ რომ თქვა: **„საუბარი ასად აგეს...“** – ბევრი ისაუბრეს და ბევრ რამეზეო.

პირველი შეთქმულება როსტევანის ზურგს უკან უკვე დაიგეგმა – როგორც ჩანს, ახალმა მეფემ თავისი რეალური პოლიტიკის გატარება მამისგან ფარულად დაიწყო. მისი აზრები სპასპეტმა უნდა გაახმოვანოს და აკი ავთანდილიც, რომელსაც გამზრდელის ასე პირისპირ მოტყუება უჭირს, მეფეს ეჯიბის მეშვეობით ატყობინებს: **„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო...“**.

რას იზამს გრძელ და გაურკვეველ გზაზე დამდგარი ჩანგზე მომღერალი „ჭრელკაბიანი“ ყმაწვილი, მალე გავიგებთ, რადგან ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებით.

თავიდან მთლად ყოჩაღად ვერ გამოიყურება მარტო დარჩენილი და გაღარიბებული. ეჭვის ჭია ულღლნის გულს - არის კი სატრფოს დავალების შემსრულებელი კაცი? თან ეს რუსთაველიც ისე ძალიან გვაბრალებს ამ აცრემლებულ და თვითმკვლელობაზე მოფიქრალ ყმაწვილს, რომ ვეღარ ხვდები, შეიბრალო თუ დასცინო. შეიბრალეთო, გვაძალებს ავტორი, რომელიც თავის ავტორიტეტს არ სჯერდება და ჩვენი თანაგრძნობის გასაძლიერებლად უფრო დიდ ავტორიტეტს იშველიებს: **„ამ საქმესა მემოწშების დიანოსი, ბრძენი ეზროს: საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს“**.

შეიბრალეთ, მიწაზე სძინავს და ბალიშად საკუთარი მკლავი უდევსო. ესეც შენი ძლევამოსილი არაბეთის სპასპეტი, რომელსაც შემდეგ, ტარიელთან პირისპირ შეყრისას, ჯერ მიწიდან აყოლილი მტვერიც კი არ ექნება ჩამობერტყილი, მაგრამ ისე ყოჩაღად იტყვის: **„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია...“** – რომ მსმენელს ტანში დაბურძგლავს.

ნელ-ნელა, ჩვენ თვალწინ იბადება ახალი ავთანდილი – არა მარტო გრძნობისა და ემოციების – მოვალეობისა და პასუხისმგებლობის კაცი, რომელიც ვიდრე ამას იტყვის: **„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!“** – მანამდე ისეთ რამეს ამბობს, რომ სიბრალული თუ დაცინვა პატივისცემით გვეცვლება: **„ავსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“**. არარუსთველისებურად, ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა კარგად ნაცნობი: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

ავთანდილი კი სახელისა და სიტყვის გატეხას ძალიან უფრთხის. თუმცა ის ყველაზე კარგად მაშინ შეიცნობა, როცა გასაჭირში ჩავარდნილს სხვისი გასაჭირის მოგვარების დაუოკებელი სურვილი საკუთარ საზრუნავს დაავიწყებს ხოლმე. იქნებ სწორედ ასეთ კაცს ეხმარება ღმერთი, იქნებ ამიტომ გადაეყარა ის ხატაელ ძმებს, რომლებმაც უცხო მოყმის კვალზე დააყენეს.

არადა, სულ რაღაც ერთი საათის წინ, ვიდრე ხატაელებს შეხვდებოდა, როგორი სასოწარკვეთილი იყო: **„გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია...“** ერთი საათის შემდეგ კი მშიერ-მწყურვალმა აშიშხინებული მწვადი ნაკვერჩხლებზე მიატოვა და, სანატრელი ამბის გაგებით ფრთაშესხმული, **„ვითა გავაზი გაფრინდა, არ-გაშვებული ხეზითა“**.

მისდევს ახლა ავთანდილი ამ გაველურებულ კაცს, რომელიც ვერც კი წარმოიდგენს, რომ თითქმის ოთხი წელია, მთელი არაბეთის თავის ტკივილად არის ქცეული.

სამი წელია, ცა და მიწა შეაჯერა ავთანდილმა. ახლა კი კვალში უდგას და თან ტვინს იჭყლეტს, როგორ მოაგვაროს ეს **„ძნელი საქმე“** ისე, რომ თან ამ გადარეულის წუხილის მიზეზი შეიტყოს, თან მასთან შებმა-შეტაკება თავიდან აირიდოს. ყოფნა-არყოფნის დილემასავით ამბავია: **„ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს...“**

და რა იქნება ამბის შეტყობის შემდეგ? იქნებ ავთანდილს შურისძიების სურვილიც გაუჩნდეს...

მსგავსიც არაფერი მოხდება. აკი ვთქვით, რომ არაბეთში შურისძიებაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ თითქოს ისიც მეტისმეტია, ავთან-

დილი ტარიელს პირველივე შეხვედრისას ამას რომ ეუბნება: **„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა...“** – შენთან შეხვედრამ თინათინი დამავიწყაო.

ავთანდილს ხომ ჯერ არც ტარიელის სულისშემძვრელი ისტორია მოუსმენია, არც საკუთარი თავი დაუყენებია მის ადგილას, არც ის გაუცნობიერებია, როგორ გაუმართლა, რომ როსტევანის ფრთის ქვეშ გაიზარდა და არა ფარსადანისა – მაშ, რა შეიძლება იყოს მიზეზი ამ უცნაური სიტყვებისა: **„შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“?**

რა არის ის ძალა, რომელიც თითქოსდა სამტროდ შესაყრელ ადამიანებს (ნუ დავივიწყებთ, ერთი მხრივ, ავთანდილის შელახულ რეპუტაციას, დახოცილ მეომრებსა და სატრფოს გარეშე გატარებულ სამ უმძიმეს წელს, მეორე მხრივ კი არაბეთში უცხო მოყმის უსამართლო დევნა-შეპყრობის დაუოკებელ სურვილს) მოყვრად შეახვედრებს და უთქმელ-უსიტყვოდაც აგრძნობინებს, რომ ერთნაირნი არიან, ერთმანეთის ტოლნი და სწორნი. ამიტომაც: **„მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს“**.

ბავშვივით ხელჩაჭიდებული მიუყვანა ასმათმა ავთანდილი ტარიელს, რომელმაც არც კი იცის, რა გადახდა თავს მის უერთგულეს ქალს, როგორ ემუქრებოდა ავთანდილი მოკვლით. ის ისტორია, რომელიც ასმათს არც კი უამბია ტარიელისთვის, თითქოს წვრილმანი და უმნიშვნელოა. არის რაღაც უფრო მეტი და დიდი, რასაც გამორჩეული ადამიანები გრძნობენ და ხედავენ **„თვალითა ზემხედველითა“**. ასე დაინახა და შეაფასა ასმათმა ავთანდილის როლი და შესაძლებლობები ტარიელის ამქვეყნად მობრუნების საქმეში. ასე ხედავენ არა მხოლოდ ერთმანეთის პირისპირ მდგარი ზემხედველნი, არამედ ამგვარი თვალით სადღაც შორიდან „დაინახა“ თინათინმაც ტარიელი, რომლის შესახებაც იმ საუბრის დროს, ასად რომ აგეს, ასე უთქვამს ავთანდილისთვის: **„მიცან ამბავი მის ყმისა წახდომილისა“**, – ხოლო მოგვიანებით, როცა წახდომილი კაცის ამბავი უამბო მიჯნურმა, უკვე ეს იკითხა: **„რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“**

არაბეთი მარტო ბედნიერი ქვეყანა არ არის, კარგი ქვეყანაცაა, რადგან იქ თურმე არა მხოლოდ თავისიანთა მოვლა-მოფრთხილება, არამედ ისიც იციან, რომ ადამიანი ვერასდროს იქნება ბოლომდე ბედნიერი, თუ სამყაროს რომელიღაც წერტილში ვიღაც ღირსეული კაცი უბედურია. შესაძლოა, ძალიან პათეტიკურად ჟღერდეს ეს სიტყვები, მაგრამ ვერაფერს იზამ, რადგან რუსთაველის სამყაროში ასეა.

ამიტომაც აღარავის ეპარება ეჭვი, რომ არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი უკანვე გაბრუნდება ტარიელთან და ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ბედისაგან ნაბურთავები კაცი ღმერთს, სატრფოსა და ინდოეთს დაუბრუნოს. ერთ მშვენიერ დღეს ტარიელმაც ხომ უნდა გადააფასოს ის სიტყვები, რომლებიც ავთანდილთან შეხვედრამდე ასმათს უთხრა: **„ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე?“** ასეთ სასოწარკვეთილ კაცს მხოლოდ ავთანდილისნაირი კაცი თუ ეტყვის: **„შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!“**

არა მარტო ეტყვის, შეასრულებს კიდეც.

თინათინმა ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, რა შეეძლო ავთანდილს, როცა თავად ავთანდილმა ბევრი არაფერი იცოდა საკუთარი თავის შესახებ. ავთანდილმა ავთანდილობის არსი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გააცნობიერა და რომ არა ტარიელთან შეხვედრა, შესაძლოა ბოლომდე ვერც გაეგო, რა სურდა და რა შეეძლო.

ნადირობაში გამარჯვებული ავთანდილიდან ქაჯეთში გამარჯვებულ ავთანდილამდე გრძელი გზაა. ყველაფერი იყო ამ გზაზე: ყმაწვილური თავდაჯერება და პირველი გამარჯვების ეიფორია, სატრფოს დავალების სიმძიმე და ამ დავალების არსის გაცნობიერება, სასოწარკვეთის წლები და თვითმკვლელობის სურვილი, ასმათთან დამარცხების დიდი გაკვეთილი და გენიალური ანდერძი, გასაჭირში ჩავარდნილ მექარავნეთა შეწევნა და სატრფოს ღალატი, ჭაშნაგირის ცივსისხლიანი მკვლელობა და მისთვის სრულიად უცნობი ქალის თავგადაკლული ძებნის ოდისეა...

რაშია ავთანდილის ძალა?

ბედნიერ ბავშვობაში, საყვარელ გამზრდელში, ბრძენ მიჯნურში, დიდებულ სამშობლოში თუ, როგორც ერთ ხალხურ ზღაპარშია, გრძნეულ ზარდახშაში, რომელიც უამრავ უფრო დიდ ზარდახშაში ძევს?

ავთანდილის ძალა ღმერთის რწმენაშია და აკი ეუბნება კიდეც ტარიელს: **„იგია მზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა!“**

ღმერთი, რომელიც ინდოეთში დაივიწყეს, არაბეთში ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ და სანამ არაბები იქნებიან, მის არსებობას ინდოელებსაც გაახსენებენ.

დაწუნებული ბიჭი

„ლექსთა მკითხველო, შენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია!“

რეალურად რა სურდა სარიდანს, როცა ფარსადანს ინდოეთის გაერთიანების გეგმა შესთავაზა, ნათელი არ არის. როგორც ტარიელი ჰყვება, ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მეფეს თავად ასე უთქვამს, მინდა: **„სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“**. ასე კი უთქვამს, მაგრამ სამეფო კარის „ჭრელად“ საუბრებს ცალსახად სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ. იქნებ სარიდანს გაერთიანებული ინდოეთის ამირბარობა ხიბლავდა, ანდა, რაკი ფარსადანს შვილი არ ჰყავდა, იქნებ სულაც გაერთიანებული ინდოეთის ტახტი უნდოდა თავისი მემკვიდრისთვის...

ვამბობთ, მემკვიდრისთვისო, თუმცა ზუსტად ისიც არ ვიცით, ამ დროს დაბადებული იყო თუ არა სარიდანის ვაჟი. თვითონ ტარი-

ინდოეთი ასეთი ქვეყანაა – აქ დაწუნებული ბიჭი საკუთარ თავსაც რომ გადაახტეს, მაინც ვერაფერს მიაღწევს, მას ყოველ ჯერზე დაიწუნებენ, რადგან მეფის სამომავლო გეგმებში მისი ადგილი ან ძალიან მოკრძალებულია, ან იქნებ საერთოდაც არ არის. აქ არავინ იტყვის ისე, როგორც არაბეთში უთხრა როსტევანმა ავთანდილს: „თუ არ გაწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე“. თან ის ამბავი ომში კი არა, ნადირობაში გამარჯვებას ეხებოდა.

ელი ასე ეუბნება ავთანდილს: **„ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა“**. თუ ტარიელი ამირბარის ძედ გაჩნდა, ის ინდოეთის მეფეთა შეთანხმების შემდეგ დაბადებულა. რაკი არ ვიცით, ელოდა თუ არა სარიდანი შვილს შეთანხმებამდე, ამიტომ ვერც იმას ვიტყვით, ეს შეთანხმება სარიდანის მხრიდან უანგარო და გულწრფელი იყო თუ წინასწარ კარგად დაგეგმილი.

რაც ნამდვილად ვიცით, ის არის, რომ ამირბარის ვაჟის არსებობა ფარსადანისთვის გარკვეულ ეტაპზე ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა. მეფის უშვილობა, როგორც ჩანს, მთელ ინდოეთს სერიოზულად აშფოთებდა, განსაკუთრებით – ლაშქარს: **„ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა“**.

შეშფოთებული ინდოეთის დასამშვიდებლად ფარსადანმა პრაგმატული გამოსავალი იპოვა – ტარიელი მემკვიდრედ გამოაცხადა: **„მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“**.

ასე შემთხვევით ეწია ტარიელი ბედს, ინდოეთის შვიდი სამეფოდან ერთ-ერთის ნაცვლად იგი გაერთიანებული ინდოეთის სრულუფლებიანი მემკვიდრე გახდა. ბიჭი, რომელიც ხუთი წლისა უკვე ლომებს ხოცავდა, რაც არ უნდა მომხდარიყო შემდეგ, ვერასდროს დაივიწყებდა, რომ ოდესღაც ინდოეთის მეფედ იზრდებოდა. აკი ეუბნება კიდეც ავთანდილს: **„საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად...“**

ექვსიოდე წელიც და ტარიელის ბედი ნესტან-დარეჯანის ბედისწერას გადაეჭდობა. მეფის ასულის დაბადებას მყისვე არ შეუცვლია ტახტის მემკვიდრის მდგომარეობა. როგორც ტარიელი ეუბნება ავთანდილს: **„ვუყვარდი და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა“**.

ერთად იზრდებოდნენ შვილი და შვილობილი. როცა მათი გზები გაიყარა, ნესტან-დარეჯანი შვიდი წლისა უნდა ყოფილიყო, ხოლო ტარიელი – ცამეტისა. ეს განშორება, როგორც ჩანს, სულისშემძვრელ მოგონებად შემორჩა ბიჭის მეხსიერებას, რაკი ამბობს: **„მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული ალმასი, წრთობილი“**.

ცამეტი წლის ბიჭი და შვიდი წლის გოგო... ისინი წლების შემდეგ კვლავ შეხვდებიან, თუმცა ჩანს, რომ ერთმანეთი ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ. არათუ არ დავიწყებიათ, პირიქით, ნესტანი პირველივე წერილში შესაშური სითამამით სწერს ტარიელს: **„შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია...“**

„წინასცა“... ნეტავ როდის, როცა შვიდი წლისა იყო?

რა თქმა უნდა, მცდარია აზრი, რომ ტარიელსა და ნესტანს ერთი დანახვით შეუყვარდათ ერთმანეთი. მათი პირველი შეხვედრა დროებითი განშორების შემდეგ, უბრალოდ, დიადი წამი აღმოჩნდა, არაცნობიერის აფეთქების წამი, ვულკანის ამოფრქვევის წამი.

ტარიელი ამ დროს უკვე დაწუნებული ბიჭია...

ტარიელი პირველად მაშინ დაიწუნეს, როცა ცამეტი წლისა იყო. არცთუ პატარა ბიჭი ამ დაწუნების გემოს, სავარაუდოდ, კარგად იგრძნობდა. დაწუნების მიზეზს თავად ტარიელი ასე უხსნის ავთანდილს: **„მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწრთომსა, მამასავე ხელთა მიმცეს...“** – ნესტან-დარეჯანს შეატყვეს, რომ მეფობას შეძლებდა და მე მამასთან დამაბრუნესო.

თითქოს არც საყვედური ჩანს ამ სიტყვებში, არც გულისწყრომა, არც შურისძიების სურვილი. თითქოს არ ისმის ხმა დაწუნებული ბიჭისა. ტარიელმა ღირსეულად დაიხია უკან.

იქნებ იმიტომაც, რომ ყველაფერი იმისთვის ემეტებოდა, ვისთან დაშორებასაც ვერ გაძლებს **„გული ალმასი, წრთობილი“**.

მეფობისთვის დაწუნებული ბიჭი, მართალია, ველარ ხვდება ბავშვობის მეგობარს, მაგრამ აგრძელებს მეფესთან ახლო ურთიერთობას და ისე, რომ ფეხი არ შეუდგამს ნესტანის კოშკში, მაინც ყველაფერი იცის იქაურობის შესახებ.

ჩანს, რომ ნესტანმაც ასევე ყველაფერი იცის ტარიელის შესახებ, რაკი პირველივე წერილში სწერს: **„მინდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაგხდომია“**.

თხუთმეტი წლის ტარიელი მოულოდნელად ობლდება. ერთი წელი სიბნელეში ზის და გლოვობს მამის გარდაცვალებას. ერთი წლის შემდეგ შავს იხდის და მამის ადგილს იკავებს – ამირბარად ინიშნება. ტარიელის მეფობაზე საუბარი დასრულებულია. ამ თემას აღარავინ ახსენებს. თუმც არის ვიღაც, ვინც, ტარიელისგან განსხვავებით, წარსულის დავიწყებას არ აპირებს...

ნესტანზე საუბრისას ასეთი რამ უთხრა ტარიელმა ავთანდილს: **„იგი ასრე მოიწიფა, მე შემეძლო შესლვა ომსა...“** დიახ, ომია ის, რაც ყველაზე კარგად გამოსდის ტარიელს და თუ როგორი ბრძოლა შეუძლია, ეს არაბეთში თავისი თვალით ნახა ავთანდილმა. როცა ტარიელი თავის თავგადასავალს უყვება ავთანდილს, რაღაც ფაქტების დასამოწ-

მებლად (მაგალითად, თავისი გამორჩეული სილამაზისა – **„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა“** ან **„მზესა მე ვსჯობდი შვენებით, ვით ბინდსა – ჟამი დილისა“**) დროდადრო ასმათს მოიხ-მობს და თან იმასაც ეუბნება, თუ გადავაჭარბო, მამხილეო: **„ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა!“**

თუ სადმე მოწმე არ სჭირდება ტარიელს, ეს მისი უებრო მეომრო-ბის ამბავია. ხატაეთის ომის ლამის ფანტასტიკური ეპიზოდებიც კი გადაუჭარბებელი სიმართლეა ავთანდილისთვის და არათუ არაფერი აეჭვებს, შემდეგ, როცა თვითონ მოუწევს მეკობრეებთან ბრძოლა, ცდილობს, რაღაც-რაღაცებში მიბაძოს კიდეც ტარიელს. ტარიელის მონათხრობი: **„კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი“** – ერთი ერთში გაიმეორა ავთანდილმა მეკობრეებ-თან ბრძოლის დროს: **„ერთმანეთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა“**.

ომია ის, რაშიც ავთანდილი სიამოვნებით დაემოწაფება ტარიელს.

ავთანდილზე ადრე ნესტან-დარეჯანი მიხვდა, სად, რომელ ასპარეზზე შეეძლო თავის გამოჩენა მის მიჯნურს. ამიტომაც გადაწყვიტა, მამისთვის დაენახვებინა, რომ ინდოეთის სამხედრო ძლიერებისა და ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი სწორედ და-წუნებული ბიჭი იყო და მის გარეშე ნესტან-დარეჯანის გამეფება აზრს დაკარგავდა.

ხომ მეტისმეტად უცნაურია, რომ ტარიელის ხატაეთში საბრძოლ-ველად წასვლის წინ არსად გამოჩენილა ფარსადანი. მეფე თითქოს გამქრალია ინდოეთიდან. მისმა ამირბარმა ისე გააჩაღა მიწერ-მოწერა რამაზ მეფესთან, ისე შეკრიბა ინდოეთის ლაშქარი და ისე გაემართა საომრად, თითქოს მეგობრებთან ერთად სანადიროდ ან საბურთაოდ წასულიყოს. და ეს გააკეთა სულ რამდენიმე ხნის წინ მძიმედ ნაავადმყოფარმა და ძლივს გადარჩენილმა კაცმა, რომელ-საც მეფე ლამის თავისი ხელით ბულიონს ასმევდა.

აშკარაა, ფარსადანი რაღაცას განაბული ელოდება. თუ დაწუნე-ბული ბიჭი ხატაეთში კისერს წაიტეხს, იქნებ უკეთესიც აღმოჩნდეს მისთვის; თუ გამარჯვებული დაბრუნდება, იქნებ უკვე ამისთვისაც აქვს მოფიქრებული რაიმე.

ნესტან-დარეჯანმა სწორად გათვალა – ტარიელი გამარჯვებული დაბრუნდა და არა უბრალოდ გამარჯვებული – საპატიო ტყვეები და უამრავი ალაფი ჩამოიყვან-ჩამოიტანა. ინდოელები აღტაცებით ხვდებიან თავიანთ ამირბარს და, სავარაუდოდ, ფარსადანს კარგად ესმის, ინდოეთის ქუჩებში როგორ გაიძახიან ისინი: „ტარიელ! ტარიელ! ტარიელ!“. ესმის და ღიზიანდება... ტარიელის რეიტინგმა აშკარად გადააჭარბა მეფისას.

თავად ტარიელი ასე იხსენებს ამ მისთვის თურმე საბედისწერო ტრიუმფს: **„ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი... ვინცა მიჭვრეტდის, ბნდებოდის, – მართლად არს, არ კატაბანი“**.

„არ კატაბანი“ – არ ვიტყუებიო...

გვჯერა, რომ მართლაც არ იტყუება და გულს გვიკლავს ტარი-ელის ბავშვური მიამიტობა. რუსთაველმაც ხომ კარგად იცის, რომ ფიზიკურად ყველაზე ძლიერი კაცი იმავდროულად ყველაზე დაუცველი, გულწრფელი, ალალი კაცია მის პოემაში, იცის და ამიტომაც გვთხოვს: **„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი“**.

მეტი რაღა უნდა გააკეთოს ერთმა ადამიანმა, რომ ხალხთან ერთად მეფემაც აღიაროს მისი გამორჩეულობა? ამისთვის გაისარჯა ნესტან-დარეჯანი და ეგონა, გაამართლა კიდეც მისმა გეგმამ. ამი-ტომაც არიან მეცხრე ცაზე ის და ტარიელი გამარჯვების აღსანიშნავ წვეულებაზე. პირისპირ მსხდარნი, ბედნიერებას ისე ასხივებენ, რომ ლამის ყველამ შეიტყოს მათი გრძნობების შესახებ.

სანამ მიჯნურები სიყვარულითა და წარმატებით თვრებიან, ფარსა-დანი თავისი გეგმის განსახორციელებლად ემზადება და ამ გეგმაში დედოფალსაც მნიშვნელოვანი როლი ექნება.

რამდენადაც პომპეზური იყო ხატაელებთან გამარჯვების აღსანიშ-ნავი დარბაზობა, იმდენად ვერაგი და მუხანათური იქნება ზეიმიდან მეორე დღეს მეფის კარზე დილაუთენია გამართული მცირერიცხო-ვანი თათბირი.

„რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“ არის ალბათ „ვეფხისტ-ყაოსნის“ ყველაზე სასტიკი და ცინიკური ეპიზოდი.

ინდოეთი ასეთი ქვეყანაა – აქ დაწუნებული ბიჭი საკუთარ თავსაც რომ გადაახტეს, მაინც ვერაფერს მიაღწევს, მას ყოველ ჯერზე დაიწუნებენ, რადგან მეფის სამომავლო გეგმებში მისი ადგილი ან ძალიან მოკრძალებულია, ან იქნებ საერთოდაც არ არის. აქ არავინ იტყვის ისე, როგორც არაბეთში უთხრა როსტევანმა ავთანდილს: **„თუ არ გაწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე“**. თან ის ამბავი ომში კი არა, ნადირობაში გამარჯვებას ეხებოდა.

სამეფო კარის თათბირზე კი ერთმანეთთან თვალებით მოსაუბრე მეფე-დედოფალი ორიოდე დიდებულთან ერთად ამას ასმენინებს ტარიელს: დავბერდით, დავჩაჩანაკდით, ჩვენი ქალისთვის ქმარი გვინდა, რომელიც სამეფოს უპატრონებს, რომ მტრებმა არ აგვაწი-ოკონო.

არ მოესმა.

ამას ასმენინებენ ტარიელს, რომელმაც ორიოდე დღის წინ ინ-დოეთის აბუჩად ამგდები ხატაეთის მეფე, რომელიც ფარსადანის შესახებ ასე ამბობდა: **„ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩვენ ზედა რა პატრონია?“** – სასტიკად დაამარცხა, დატყვევებული ლამის ყურით ჩამოუყვანა ფარსადანს, გადაუხდელი ხარაჯა ასმაგად ამოიღო და საკუთარი გმირობისა და ინდოეთის ლაშქრის უძლეველობის

ამბავი მთელ ქვეყანას მოჰფინა. აქ კი მეფე და დედოფალი, თითქოს ამნეზია დამართნიათო, გულსაკლავად მოთქვამენ: **„არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ“**. არ დაგვავიწყდეს, ეს ის დედოფალია, რომელმაც წინა დღეს გამარჯვების აღსანიშნავ წვეულებაზე ტარიელი მადლიერების ნიშნად ისე მაგრად ჩაკოცნა, რომ ლოყა დაულურჯა და თან ასე უთხრა: **„ნუ ეჭვ ამას იქით, თუმცა მტერი შე-ღა-გება!“** – რომელი მტერი გაგიბედავს აწი შებმასო.

ფაქტობრივად, ტარიელს აგრძნობინეს, შენი ტრიუმფი დაივიწყე, არაფერს ნიშნავს, შენზე უკეთესებიც არსებობენ და ასეთი ხვარაზმშას ძეაო. მარტო დედოფლის სიტყვების ქვეტექსტი რად ღირს: **„მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“** - სხვა რომელიო...

არავინ თქვას ახლა, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარულის ამბავი არ იცოდნენ და ასე იმიტომ ამბობდნენო, ან ტარიელს შვილივით უყურებდნენო. სულ მალე გამოჩნდება, რომ ყველაფერი კარგად იცოდნენ და ტარიელს წვეულებაზეც პირისპირ იმიტომ დაუსვეს თავიანთი ქალი, რომ ვარაუდი ფაქტებით დაედასტურებინათ. ისიც ხომ კარგად გვახსოვს, ხვარაზმშას ძის მოკვლის შემდეგ როგორ ყვიროდა ფარსადანი: **„ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგიან: მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან, რა ნახიან ერთმანეთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან“**.

ტარიელი, წინა ღამით ვარსკვლავებს რომ ეთამაშებოდა და მეცხრე ცაზე იყო, მეფე-დედოფალმა ისე დაანარცხა ძირს, რომ გულდამწვარი ამბობს: **„ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“**.

მეტი რაღა უნდა ექნათ – სული ამოჰხადეს.

ნუთუ ახლა მაინც არაფერს იზამს დაწუნებული ბიჭი? ნუთუ კვლავ უსიტყვოდ შეურიგდება ბედს და არაფერს შეიმჩნევს, ნუთუ კვლავ ათას მიზეზს მოიგონებს: **„ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა“**, – და გაჩუმდება? თუ ახლა მაინც იბრძოლებს სიყვარულისა და ღირსების დასაცავად?

„მოწმობა დავჰრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი“, – ბედს შერიგებულივით ამბობს იგი და ჩანს, არაფრის გაკეთებას არ აპირებს, თუმცა როგორ არ აპირებს – საბურთაოდ მიდის და შემდეგ დაღლილ-დაქანცული საწოლ ოთახში იმისთვის ბრუნდება, რომ ცრემლები ღვაროს და შიგადაშიგ თვითმკვლელობაზე იფიქროს.

ჩვენი არ იყოს, ნესტან-დარეჯანიც მთელი დღე მის რეაქციას ელოდებოდა და როცა მიხვდა, ტარიელი არაფრის გაკეთებას არ აპირებდა, თავისთან იხმო. სწორედ მაშინ დაინახა ტარიელმა, რომ ქალი კი არა, თურმე ვეფხვი ჰყვარებია.

ასე ქუშად იჯდა და ელვას ჰგავდა თინათინიც, როცა ავთანდილისთვის დიდი დავალების მიცემას აპირებდა. **„ვეფხი პირ-გამეხებულიც“** ელვათა მკრთომელია, ისიც დიდი დავალების მისაცემად ემზადება, მოქმედების გეგმა მასაც დეტალურად აქვს გაწერილი და დაწუნებულ ბიჭთან ერთად ახალ შეთქმულებას გეგმავს.

როცა ნესტან-დარეჯანის დიდი ძალისხმევითა და ტარიელის მრავალგზის შეჯანჯღარებით ეს გეგმა, როგორც იქნა, განხორციელდა, ფარსადანი მიხვდა, რომ ამ გეგმის მომფიქრებელ-დამგეგმავი ამირბარი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ის წარმოიდგინა, რომ მისი თავხედი ქალიშვილი ხატაეთში ომის წამოწყების შემდეგ (რაც, ამ გეგმისგან განსხვავებით, ფარსადანისთვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა) ასეთ ავანტიურაზე წავიდოდა. ამიტომაც, სრულიად უსამართლოდ, ყველაფერი ნესტან-დარეჯანის გამზრდელ მამიდას, დავარს, დაუბრალა და მოკვლით დაემუქრა. ეს მუქარა გაცხარებულ გულზე ნათქვამი არ იყო – დამ იცოდა, რომ ძმა სიტყვას შეასრულებდა და ამიტომაც დაასწრო, თავადაც სასტიკი გადაწყვეტილება მიიღო – ნესტანი ჯერ კარგად დაალურჯა და შემდეგ ინდოეთიდან გადაკარგა, თვითონ კი თავი მოიკლა. ეს გადაწყვეტილება ფუნჯის ბოლო მონასმი აღმოჩნდა ინდოეთის სასტიკი ავტოპორტრეტისა, ისეთისა, ყველასგან ყბადაღებულ ქაჯეთშიც რომ არ დაესიზმრებოდათ.

ინდოეთში უკვე სუნთქვაც შეუძლებელი გახდა და სატრფოს მძებნელი ტარიელიც იქიდან გადაიხვეწა.

ორიოდე სიტყვით იქნებ ისიც ვთქვათ, რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ნესტან-დარეჯანს ასე კატეგორიულად არ სურდა ხვარაზმშას ძეზე გათხოვება.

იმიტომ, რომ ტარიელი უყვარდაო, იტყვის ბევრი.

რა თქმა უნდა, უყვარდა, მაგრამ იქნებ სხვა საფანელიც აქვს ინდოეთის მეფის ასულის ზრახვებს?

ნესტანმა უკვე იცის, რომ ხვარაზმშას ძეზე დაქორწინების შემდეგ ინდოეთის მეფე, ანუ „პატრონი“, თავად ვერ იქნება. როგორც ჩანს, ნესტანის ყურამდე სიტყვასიტყვით მივიდა საბედისწერო თათბირზე მამამისის მიერ ნათქვამი: **„აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა სად მოვნახოთ, რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ“**. ყველაფერი დღესავით ნათელია – ინდოეთის ტახტზე არა ნესტანი, არამედ ნესტანის ქმარი უნდა დაჯდეს, ქვეყნის მომავალ პატრონადაც – **„სახედ“** – სწორედ ის მოიაზრება. მეფის სიტყვა სწორად გაიგო ნესტანმა და ტარიელთან შეხვედრისას განრისხებული და გაღიზიანებული ამიტომაც ამბობს: **„ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა, ეგრეც მე მაქვს პატრონობა...“**

„ეგრეც მე მაქვს პატრონობა...“, ანუ ქვეყნის პატრონი მაინც მე ვიქნებიო, იმუქრება, თუმცა მთლად დარწმუნებულიც არ ჩანს თავის ნათქვამში, რადგან შემდეგ, უკვე დამშვიდებული, ამასაც ამბობს: **„მათ მორჭმულთა მოივლინონ, ჩვენ პატიჟნი გაგვიასდენ, ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ!“**

დასასრული შემდეგ ნომერში

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge